

# ნიშნისა და სივრცის



საქართველოს მხარეთმცოდნეო ინსტიტუტი \* LITERATURULI SAQARTVELO \* ЛИТЕРАТУРУЛИ САҚАՐՏՎԵԼՈ

21 ივნისი, 2013 წ.

№49 (3659)

ბამონის 77-ე წელი

ფასი 1 ლარი



რიშო ამაშუკელი

## საკრის ნაწილი

მიეფინება ცისკრის ზარი  
მცხეთიდან ზედანს...  
ის კი კრეფს იებს,  
თხზავს კონებად  
და წვეთებს აცლის...  
– მიდის ფეხშველი  
ჩემი კალმით ნახატი დედა –  
– ტაძრის კედლიდან გადმოსული  
დედოფლის ასლი!  
გავს ეს სიზმარი  
შეუცნობ და სევდიან ლოდინს,  
ზედაზნის გზაზე მღერის წვიმა  
ასკილის ტყეში...  
მიყვები აღმართს  
ჩემი მძიმე ცოდვების ლოდით,  
და წინ მიმიძღვის დედაჩემი  
ბზის ტოტით ხელში!..  
– ბედი, უნდო და მარბიელი,  
ბრმაა და ყრუა!  
ასკილის ტყეში წყარო როა –  
– იების რუა!..  
რომ არა რწმენა, წამებულის,  
ჯვარზე გაკრულის,  
მე არა ერთხელ  
სიცოცხლეზე ვიტყოდი უარს!..  
... ასკილის ტყეში  
წყარო ტირის ზედაზნის გზაზე,  
ჩქეფს და ლიღინებს,  
ნაღვინარი, ღარის ქვეშ დოქი...  
ეს კი, კვლავ აფრქვევს, ყასაბივით,  
უნმანურ ფრაზებს,  
რადგან გაბედეს  
და არ დადგენ მუხლებზე ჩოქვით!..

## 24 ივნისი – რიშო ამაშუკელის დაბადების დღე. ვულოცავთ!

შავი მთოვარი  
გიშერივით ჩააშრა გუგას,  
მალე სიბერე  
სამუდამოდ დაუშვებს ფარდას...  
... გაქრა სიზმარი,  
ედემიდან დავბრუნდი უკან,  
ყოველდღიური ჯოჯოხეთის  
მოღრეცილ კართან!..  
როგორც ჭურჭელი,  
სული სრულად გაავსო სევდამ,  
ჩანს გიშერივით  
შავი მთვარე თვალების ჭრილში...  
და მიპასუხე:  
– რა განვალეხ უფრორე მეტად,  
წერტილის დასმა,  
თუ ღირსების დაკარგვის შიში???


... „არა პურითა“...  
ქართველობით განვიცდი შიმშილს!..  
ან ნუშის ფშვინვით, შვენირით,  
ველარ დავთვრები...  
... და ჯიჯგნის მინას  
უცხო თესლით მაძლარი ჯიში –  
– მყრალი ხორხოცით  
სასაფლაოს თხრიან აფთრები!..  
– ჩანს,  
საბოლოოდ აერიათ ამათ დავთრები!..  
ხალხს, საარსებოდ,  
დაუტოვეს ჰაერი მარტო...  
თუმც შორით ისმის  
გრივლების გრგვინვა ავდრებით,  
გალობს შაშვი და  
აყვავებულ ხეხილებს ათოვს...  
და მახსენდება სიტყვა-სიტყვით  
ეკლესიასტე:  
– „ვაი ქვეყანავ!  
ბავშვი გიზის ტახტრევანს მეფედ!..  
მრავალსიტყვაა,  
ბრევი, ვისაც ბედი მიანდე...  
დიდებულები  
დილიდანვე ჭამენ და თქვლევენ“...  
სად არა ერთი  
გამოცდილი ფარსადანია,  
სადაც ღალატი  
საპატიოდ იქცა ხელობად!  
უჭირავს ხელში ბორკილები  
ნაკლულ მანიაკს,  
– არის შიმშილი,  
არის ცრემლი,  
არის მკვლელობა!..

მაგრამ დადგება უსათუოდ  
განკითხვის უამი,  
აიზილება ყველაფერი როცა ტალახად!  
– უარყოფელი სულიწმინდის,  
ძისა და მამის,  
დგას სანთლით ხელში,  
პირჯვარს იწერს სხვის დასანახად!

მაჟრჟოლებს მარად  
... „დაბინდული ქლიავის ფერი...“  
და ხმა მთრთოლავი,  
ღვთაებრივი მოხუცი მგოსნის!..  
... შუა აპრილში მოდის თოვლი,  
მოდის და მღერის,  
და სველი ფიფქი  
ალუბლების ყვავილებს კოცნის!..  
უბეში მენყო  
მობრდღვიალე იაგუნდები,  
დღეს კი, მონვეთავს სიტყვა მღვრიე  
სილით და ქვიშით...  
– მონანიებას გვიან ვინყებ,  
გვიან ვუნდები  
მოახლოვებულ  
მოქირქილე სიკვდილის შიშით...  
– შემინდე, ღმერთო!  
ნუ ჩამითვლი ნუნუნში ამას,  
ჯვარწერილ სტრიქონს  
ველოდები, ნიადაგ, დღემდე!..  
მაგრამ, ვაი, რომ  
გადავყევი სმასა და ჭამას,  
და ტაძრის ნაცვლად,  
უფრო ხშირად მარანში ვეგდე!..  
დღეს ბაბილონში მიმათრევენ  
ყელზე საბელით,  
უნდათ ამთქვიფონ უცხო ჯილაგს,  
ზნეს და საქციელს!..  
– იღვრება წმინდა სამებიდან  
სიბრძნის ნათელი!  
და ამიტომაც  
საბოლოოდ ვერ წამაქციეს!..  
... აღარ ჭირდება ამას ახლა  
ნოსტრადამოსი, –  
– მგლები ძიგნიან საქართველოს  
ცხვრების სამოსით!  
– ფუი, ჩვენს ყოფას,  
უარყოფილ კაცობას ჩვენსას!..  
სხვაა პატრონი  
სისხლით მორწყულ კარ-მიდამოსი!..

2007 წ. 21 აპრილი

თამაზ ჯივჯივაძე:



# გაიღვიძეთ, გრიზა ბიძია, დეპოზი ვართ! ციკლიდან: სალამი, მარქსისტებო!

ძვირფასო მკითხველო!

წინამდებარე წერილი, ზუსტად, 25 წლის წინ დაიწერა! იმ დროში ამის გამოქვეყნება თავის განირვას უდრიდა – მაშინდელი „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი, ბატონი ელიზბარ ჯაველიძე ამ რისკზეც წავიდა! მე კიდეც, მის ავტორს, ჭკუა არც ადრე მომეკითხებოდა!.. თავად ეს წერილი კი, მხოლოდ იმ ერთხელ გამოქვეყნდა – შემდგომში, არც ერთ სხვა გაზეთს, ან ჟურნალს, ან თუნდაც რომელიმე კრებულს, ის აღარ გადაუბეჭდავს, – და, მიუხედავად ამისა მაინც, დღემდე შემორჩა მკითხველის მხესიერებას!

ყოველ შემთხვევაში, სათაური მაინც! არადა, ამასობაში, კომუნისტური რეჟიმიც გაქრა თავის „საბჭოთა კავშირიანად!..“ მაგრამ მოვიდა ახალი „აჩრდილი კომუნიზმისა“ – საქართველოში „სააკაშვილის დროება“ შავი ნისლივით ჩამოწვა! დეპოზი ჩარჩენილი კაცის თუ ქვეყნის ბედს რაღა შეცვლიდა! საერთოდ კი, როგორც ჩანს, „დეპოს თემა“ ყველა დროში და ყველა ქვეყანაში, მარადიულია!..

## გაიღვიძეთ, გრიზა ბიძია, დეპოზი ვართ! ახალი ციკლიდან: სალამი, მარქსისტებო!

ეს აღტაცებული შეძახილი, ციკლის სათაურად რომ გამოვიყენე, წარსულში პოპულარული სიმღერის („სალამი ჩიტუნებო!..“) განწყობით არის ნასაზრდოები!

რაკი სიმღერით დავინწყეთ, ლექსიც მოვაცოლოთ!

უფრო ზუსტად, პოეტის ის სტრიქონი გავიხსენოთ, რომელშიც ჩიტო, ჩიტო ნაცარას ეკითხებიან – „ვის უგალობ, ვისა?“

რასაკვირველია, ჩემს ოპონენტ მარქსისტებს მე მსგავს შეკითხვას ვერ დავუსვამ! – რადგან თავისთავად ცხადია, ჭეშმარიტი მარქსისტი მთელი სიცოცხლის მანძილზე – როგორც ტოროლა მზეს! – ისე უგალობს კაცობრიობის ნათელ მომავალს, კომუნიზმს, რომლის აშენებაც, კაცმა რომ თქვას, მგონი კიდევ დავაგვიანეთ!

დიდად ვწუხვარ! – სოციალიზმის ხარაჩოებს მიმდგარი ქართველი მარქსისტების ერთი ჯგუფი ძირითად საქმეს – კომუნიზმის თეორიულ მშენებლობას! – რომ მოვაცდინე და ამ უნიკალური საზოგადოების შექმნისთვის განკუთვნილ დროს ფუჭ კამათში ვატარებინებ!

როგორც ირკვევა, მათი დაინტერესების საგანი მას შემდეგ გავმხდარვარ, რაც ჩემი პუბლიკაციები: „რამდენიმე შენიშვნა...“ და „ლოზუნგების ქვეყანა“ დაიბეჭდა „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე.

დარწმუნებული ვარ, ნაფიც მარქსისტებთან კამათი ადვილი არ იქნება!

მით უფრო, ჩემისთანა კაცისთვის, რომელსაც ამ საკითხისთვის იმაზე მეტი დრო არ დაუთმია, რაც სასკოლო პროგრამით „ყაყიტას ქურდზეა“ გათვალისწინებული!..

ამის მიუხედავად, მზად ვარ, უთანასწორო ბრძოლაში, – როგორც დავით აღმაშენებლის მემკვიდრე იტყოდან – შთავრიალდე!

\*\*\*

ცოტა შორიდან დავიწყებ!

ვისაც თბილისამდე მატარებელით უმგზავრია, არ შეიძლება, მის ყურთასმენას არ შემორჩენოდა ვაგონის გამცილებლის ხმის ჩახლქამდე მისული ყვირილი – გაიღვიძეთ, მცხეთაში ვართ!

მგზავრების ენაზე ეს იმას ნიშნავდა, რომ თბილისში შესვლამდე დარჩენილი ის რამდენიმე წუთი საქმიანად უნდა

გამოგვეყენებინა და ბოლო გაჩერებას მომზადებულნი შევხვედროდით!

გაფრთხილების მიუხედავად – ყოფილა შემთხვევა, – ზოგ გულარხინ მგზავრს პირდაპირ დეპოზი გაუღვიძია!

დაახლოებით ასეთი შთაბეჭდილება მრჩება მარქსიზმის სფეროში მოღვაწე იმ მეცნიერთა ნაწილზე, რომელთაც „კაცობრიობის სანუკუარ ოცნებაზე“ ფიქრში უკანასკნელი გაჩერება გამოპარვით და ბოლო სადგურის ნაცვლად თავი სავაგონო დეპოზი ამოუყვიათ!

ერთი ასეთი მგზავრი გახლავთ ამ წერილის ადრესატი, ბატონი გრიგოლ ბრეგაძე – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პარტიის, ომის და შრომის ვეტერანი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი!

ეს – გრძლად! მოკლედ – გრიზა ბიძია!

\*\*\*

ბატონი გრიგოლი, იგივე გრიზა ბიძია, ორთოდოქსი მარქსისტი! – დაახლოებით სამოცი წელი იქნება, რაც მარქსიზმს ეზიარა და ახლა მის შუქზე სკკპ ისტორიის ასწავლის უმაღლეს სასწავლებელში!

იყო აქტიური კომკავშირელი! იყო საქ. კპ ცკ-ის ლექტორი! იყო საქ. კპ თბილისის კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი!

იყო საქ. კპ ცკ-ის სექტორის გამგე! იყო ვ. ი. ლენინის სახ. თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის საინჟინრო ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, ამავე კათედრის გამგე!

იყო საქ. მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი და საპროფესორო ჯგუფის ხელმძღვანელი!

1967 წლიდან თითქმის დღემდე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სკკპ ისტორიის კათედრის გამგეც იყო!..

\*\*\*

თავს არ გაცოდებთ!.. მაგრამ ამ კაცს ახლა მე უნდა ვეკამათო მარქსიზმის საკითხებზე!

სხვათა შორის, ამ სფეროში მთლად უცოდინარი არც მე გახლავართ! – „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ თითქმის სამჯერ მაქვს ნაკითხული!

ერთხელ – სკოლაში! მეორედ – უნივერსიტეტში!

მესამედ – აგერ ახლა, როცა „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებიდან „მანიფესტი“ – გავაკრიტიკე!

ამ პოლემიკაში ჩაბმის წინ ახლობლებმა მიჩიქეს, კიდევ ერთხელ გადამეკითხა, მაგრამ მე აღარ ვქენი – შემწენული მაქვს, ამ პატარა ბროშურას ვინც ბევრჯერ კითხულობს, უფრო იზნევა!

ა, მაგალითი! გრიზა ბიძია მთელი ცხოვრება ამ წიგნს კითხულობს, მაგრამ არა მგონია, იქიდან შინაარსი ჩემზე უკეთ გამოეტანოს!..

\*\*\*

ვიდრე მე და ბატონი გრიგოლი ერთმანეთის პირისპირ დავდგებოდეთ და საბოლემიკოდ ქცეულ საკითხებს გავარკვევდეთ, იქამდე წესად მაქვს, მკითხველის თვალწინ გავარკვიო – ვის ვეკამათები!

ამჯერად ეს საკითხი, რაკი მისი „ნამსახურობის“ სია ჩამოგივალეთ, გარკვეულია! აქ მხოლოდ იმას დავამატებ, რომ მე, პირადად, მარქსიზმ – ლენინიზმის შრომებზე უფრო „ჭიპმიჭრილი“ კაცი საქართველოში არ მეგულეება!

ამიტომ ისღა დამრჩენია, ბატონ გ. ბრეგაძის რომელიმე ნაშრომი განვიხილოთ, საშუალება რომ გვქონდეს, მეტი წარმოდგენა შევიქმნათ ამ ერუდიტ პიროვნებაზე!

ჩემს ადგილას წესიერი კაცი ასეთ შემთხვევაში ბატონ გრიგოლის ბოლოდროინდელ ნაშრომს გაიხსენებდა, თორემ დრო ისეთია, გრიზა ბიძიას ნაწერები კი არა, გენიალური მარქსისა და ენგელსის „მანიფესტიც“ კი მოაძველა!..

\*\*\*

ერთი-ორი თვის წინ საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ჟურნალში („პარტიული სიტყვა“, 18, 1989 წ.) რუბრიკით „ბედი ქვეყნისა, ბედი მომავლისა“ დაიბეჭდა გრიგოლ ბრეგაძის სტატია „ყველაზე სასარგებლო დამოუკიდებლობა“.

ყველაფერს ბედი ხომ უნდა! – ქვეყნის ბედის ამბავიც ბატონ გ. ბრეგაძის გასარკვევი გამხდარა!

და ისიც, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე, როგორც საქმეში ჩახედულ კაცს ჩვევია, პირდაპირ სვამს კითხვას:

„როგორი დამოკიდებულებაა სასარგებლო საქართველოს თანამედროვე რევოლუციური და გარდაქმნის პირობებში?“

ამ კითხვის პასუხი რომ მეპოვა, აგერ, მეორე წელია ღამე სახლში წესიერად არ გამოთევია! – დავდივარ ბრიფინგებზე, მანიფესტაციებზე, მიტინგებზე...

არ გამომიტოვებია არც მთლად თავისუფლად მჯდომარე და არც თავგვერდ-გადაუტრიალებლად მწოლარე საპროტესტო აქციები...

და მაინც, გარკვეულად კაცმა ვერ მითხრა – როგორი დამოკიდებულებაა სასარგებლო დღეს ჩვენთვის!

ბატონ გრიგოლს კი ეს საკითხი კახნის გადანყვებულ ჰქონია თავის გუნებაში!

„აი, უმთავრესი კითხვა, რომელსაც გვინდა გავცეთ პასუხი“-ო.

ა, კაცი! – ვიყვირე გახარებულმა, ეს სტრიქონები რომ წავიკითხე, – რა კარგია, თითოთოროლა ბრძენი ადამიანი მუდამ რომ გვეყავს საქართველოში!

თუნდაც ბატონ გრიგოლის არსებობა რად ღირს! – ეს რა ურთულესი საკითხი გადაუჭრია ოჯახამენებულს!

როგორი დამოკიდებულებაა უმჯობესი საქართველოსთვის – მკითხეთ და გეტყვითო!

თქვენ აგამენოთ ღმერთმა, გრიზა ბიძია! – როგორ არ გკითხავთ!

და ის იყო, წასალინებლად გავამზადე სტრიქონები „ვის ჰყავს ბიძა ჩემისთანა...“ მაგრამ ერთ-ორ ისეთ ფრანგს მოვკარი თვალი, თქვენს მტერს, მე ელდა მეცა!

„ახლა აუცილებელია ეროვნული პოლიტიკის განახლება... გადაჭარბებული ცენტრალიზმის აღმოფხვრა და რესპუბლიკების სუვერენული უფლებების გაფართოება, მათთვის მეტი ინიციატივიანობისა და დამოუკიდებლობის მიცემა“.

ბატონო გრიგოლ, ჩემო კარგო ბიძია, მართლა გულწრფელად გჯერათ ის, რაც ახლა თქვით?!

„სწორედ ასეთი დამოუკიდებლობა, სსრ კავშირის შემადგენლობაში სრული თანასწორობის საფუძველზე გაძლიერება ყველაზე სასარგებლო და ყოველმხრივ ხელსაყრელი საბჭოთა საქართველოსთვის...“

ეეჰ, ჩემო გრიზა ბიძია, რავარც ახლა ამას მართალს ამბობ, ასე მართლად იარონ ამქვეყანაზე, ვინც „პარტიის ეროვნული პლატფორმა“ შეიმუშავა დღევანდელ ეტაპზე!..

გამჟღავნდა ფესტოსის დისკოს საიდუმლოება. ნათელი მოეფინა ძვ.წ.-ის II ათასწლეულის I ნახევრის ბერძენებმდე...

ფესტოსის დისკო 1908 წელს კუნძულ კრეტაზე აღმოაჩინა იტალიელმა არქეოლოგმა ლუიჯი პერნიემ. ის წარმოადგენს 16 სმ დიამეტრის თიხის დისკოს...

ფესტოსის დისკო მსოფლიოში პირველი ნაბეჭდი ტექსტია, რომელიც 40 საუკუნემდე ასაკისაა. იგი 2500 წლით უსწრებს გუტენბერგის სტამბაში დაბეჭდილ პირველ ევროპულ წიგნს...

მეტად საყურადღებოა ისიც, რომ 1894-1909 წლებში ინგლისელმა არქეოლოგმა სერ არტურ ევანსმა კუნძულ კრეტაზე აღმოაჩინა ათასობით ფიფიფა - A კლასის ხაზოვანი და კრეტული იეროგლიფური ტიპის წარწერები...

ფესტოსის დისკოს, A კლასის ხაზოვანი და კრეტული იეროგლიფური ტიპის წარწერების საიდუმლოების გამხელას განსაკუთრებით ელოდნენ ქართველები, რამეთუ შინაგანად სწამდათ არსებული მეცნიერული მოსაზრებები...

ამ აღმოჩენით ყველაზე მეტად გაიხარებდა იაფეტურ ენათა თეორიის შემოქმედ აკადემიკოსი ნიკო მარი, რომელიც ქართველებს, ბასკებს, პელაზგებს, ეტრუსკებს და რიგ ჩრდილოკავკასიელ ხალხს ერთ მონათესავე ენების ხალხად განიხილავდა...

რაოდენ მართალი იყო დიდი ივანე ჯავახიშვილი, რომელიც ბრძანებდა: „ქართველებს ქრისტეს წინათ მრავალი საუკუნით ადრე უნდა ჰქონოდათ მწერლობა, შესაძლებელია გამოირკვეს, რომ ამ ხანის დამწერლობა მეგრულ-ჭანურ ან სვანურ შტოს ეკუთვნოდეს...“

ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე სტალინმა დაავალა ქართველ მეცნიერებს, ღრმად ჩაწვდილიყვნენ ევროპაში ბერძენების მოსვლამდე მცხოვრები ხალხის ისტორიას, გაერკვიათ მათი ნათესაური კავშირი ქართველებთან...

ჩვენს თაობას კარგად ახსოვს ამ ოციოდე წლის წინ საქართველოს ფილარმონიის დიდ დარბაზში ზვიად გამსახურდიას მიერ წაკითხული მოხსენება, სადაც საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა მეცნიერულად წარმოადგინა საქართველოს ეროვნული მისია და ხმელთაშუა ზღვის აუზის



# ქართული გონის გაბრწყინება

ბერძენებმდე კულტურის შემოქმედ ხალხად ქართველთა წინაპრები აღიარა. უცხოელ მეცნიერთაგან ჭეშმარიტებასთან ყველაზე ახლოს ცნობილი ავსტრიელი მეცნიერი ჰერბერტ ტეიში მივიდა...

ჩატარებული კვლევების შედეგებზე ჰ. ტეიში 1988 და 1991 წლებში მოხსენებით გამოვიდა ბუდაპეშტის საერთაშორისო კონგრესსა და რომის მიკროლოგია სამეცნიერო კონფერენციაზე. მრავლისმთქმელია ჰ. ტეიშის მონოგრაფიათა სათაურები: „იბერიული - დმერეთის ენა“ და „პელაზგური - იბერიული ენა“...

მიუხედავად ამისა მსოფლიო მეცნიერთა უმრავლესობა მაინც დუმდა და ყოველივე ეს სურვილებად და ჰიპოთეზის დონეზე რჩებოდა. მათი უმრავლესობა ფესტოსის დისკოსა და A კლასის ხაზოვანი წარწერების ამოკითხვას ბერძნულ, ფილისტიმურ, ეგვიპტურ, ხეთურ, ებრაულ და სხვა ენებზე დაყრდნობით ცდილობდნენ. ჰ. ტეიშის გარდაცვალებიდან 9 წლის შემდეგ რუსულ ენაზე გამოცემულ წიგნში „დამწერლობის ისტორია“ (2002 წ.), ავტორები გერმანელი მეცნიერები ე. დობლჰოფერი და ი. ფრიდრიხი წერდნენ: „ფესტოსის დისკოს წარწერის გამოფერაში ენათმეცნიერული შტამპები და სტანდარტები უძლეურია, იგი გენიოსის ნიშნავს“.

და ვინ უნდა ყოფილიყო ის გენიოსი, სად უნდა შობილიყო იგი, რომელიც ნათელს მოჰყენდა II ათასწლეულების ხმელთაშუა და ეგეოსის ზღვის აუზში, წინაბერძნული ევროპის ისტორიას, კრეტის, იგივე მინოსური ცივილიზაციის შემოქმედი ხალხის ვინაობას?

და აი, ჭკონდიდელის სხივითა და სიბრძნით მოსილ ძველთაძველ ქართულ მიწაზე, მარტვილის რაიონის სოფელ კურუში 1973 წელს დაიბადა ბიჭი, რომელმაც 17 წლის ასაკიდან თავისი ცხოვრების მიზნად დაისახა ფესტოსის დისკოსა და A კლასის ხაზოვანი წარწერების ამოკითხვა. ძირითადი სპეციალობის - მათემატიკის პარალელურად სწავლობს შუემრეულ, ეგვიპტურ, ხეთურ, სიანტიურ, ქანანურ და სხვა დამწერლობებს; აგროვებს 400-მდე ნახატ-ნიშანს, სწვდება საიდუმლოებას -

თუ როგორ შეიძლება ნახატ-ნიშნებით პროტოქართველურ-კოლხური მარცვლების გადმოცემა. დიდი მიზნის მისაღწევად შეიმუშავა წარწერების ამოკითხვის ალგორითმი, რომელიც ეყრდნობა არა მხოლოდ ფესტოსის დისკოს გრაფიკულ მონაცემებს, არამედ ვრცელდება დანარჩენ წარწერებზე, კერძოდ, არქალახორის ცულის, მალიის ქვის ბლოკისა და ფესტოსის ლარნაკის წარწერებზე, A კლასის ხაზოვანი და კრეტული იეროგლიფური ტიპის დამწერლობებზე.

შედეგი მიღწეული იქნა. ქართველი შამპოლიონი ამხელს ფესტოსის დისკოს საიდუმლოს და ახდენს მის ამოკითხვას - „ჩხოფაი ორონე ნანა“ - „სხივისანო დედამერთო“. გვაუწყებს, რომ 40 საუკუნის წინანდელი ეს სავედრებელ-საგალობელი მიღვნილია „აია-ნეშკარის“ მფარველ პელაზგურ-კოლხური ნაყოფიერების დიდ დედამერთა ნენასადმი ანუ რეა-კიბილესადმი. ეს წარწერა პროტოქართველურ-კოლხურია. იგი პირველი ბეჭდური დოკუმენტია მსოფლიოში, ნიშნული „კოლხური ოქროდამწერლობისა“.

იმავე ალგორითმის საფუძველზე გია კვაშილაგამ ასევე ამოკითხა A კლასის ხაზოვანი და კრეტული იეროგლიფური ტიპის წარწერების მთელი არქივი. გაირკვა, რომ ეს დამწერლობებიც ქართველთა წინაპრების შემოქმედებაა.

რეალობად იქცა ბერძნული მითები და ლეგენდები კოლხეთზე. ფრთები შეისხა ყველა დროის დიდი გეოგრაფის, სტრაბონის 20 საუკუნის წინანდელმა ხატოვანმა გამოქმამ - „სახელმწიფო კოლხეთის დიდებას ღაღადებენ მითები“. ნათელი გახდა, თუ რატომ აღიდებდნენ ქართველთა წინაპრებს ბერძნები. დაიხ, ის ბერძნები, რომლებიც ყველა არაბერძენს ბარბაროსად მოიხსენიებდნენ, ხოლო კოლხებს აღიდებდნენ.

რაოდენ ბედნიერი იქნებოდა დღეს ჰ. ტეიში, რომელმაც პირველმა წამოაყენა ჰიპოთეზა, რომ ფესტოსის დისკოს წარწერის ენა - პელაზგური ენა - პროტოქართველურ-კოლხურია (პროტოიბერიული). გაიხარებდა სერ არტურ ევანსი, რომელმაც პირველმა აღმოაჩინა და შეისწავლა კნოსოსის სასახლე, დაადგინა მინოსური კრეტის კულტურის პერიოდიზაცია, სისტიმაში მოიყვანა და გამოსცა ძველი კრეტული დამწერლობების ნიმუშები, მაგრამ არ იცოდა მისი შემოქმედი ხალხის ვინაობა.

ბედნიერი იქნებოდა ფესტოსის დისკოს აღმოჩენი ლ. პერნიე, ყველა ის უცხოელი და ქართველი მკვლევარი, რომლებიც გამოთქამდნენ მოსაზრებას, რომ პირინეის ნახევარკუნძულის, აპენინის ნახევარკუნძულის, სამხრეთი ბალკანეთის, ეგეოსის ზღვის კუნძულების, ანუ როგორც მას უწოდებენ, მედიტერანიული ანუ პროტო-

ბერიული კულტურის შემოქმედი ქართველთა წინაპრები არიან.

ერთობ სასიხარულოა, რომ გია კვაშილაგას მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენა, შესაბამისობაშია, როგორც ცნობილი უცხოელი და ასევე ქართველი მეცნიერების ნ. მარის, ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას, ი. მეგრელიძის, ს. მაკალათიას, ს. ყაუხჩიშვილის, პ. ბერაძის, აკ. ურუშაძის, თ. გამყრელიძის, რ. გორდენიანისა და სხვათა მეცნიერულ მოსაზრებებთან, ხოლო მისი კვლევის მეთოდები მეცნიერულად სრულყოფილია და მიესადაგება საერთაშორისო სამეცნიერო სტანდარტებს. ყოველივე ეს გია კვაშილაგას უმკვიდრებს ადგილს მსოფლიოში ისეთ ცნობილ აღმოჩენათა გვერდით, როგორცაა, შამპოლიონი, გროტეფენდი, ბიურნუფი, რაულინსონი, ჰინკსი, ოპერტი, ტალბოტი, ჰროზნი, ვენტრისი და ჩედვიკი. მისი სახელი, როგორც ეს ითქვა დიდი ბრიტანეთის ხელოვნების სამეფო აკადემიასა და ლონდონის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე, მალე ღირსეულ ადგილს დაიკავებს ამ აღმოჩენებს შორის.

მე, როგორც რიგით ქართველს, გია კვაშილაგას აღმოჩენა მავსებს ეროვნული სიამაყის გრძობით, მიმტკიცდება რწმენა იმისა, რომ ჩემი წინაპრები იდგნენ ევროპული ცივილიზაციის კარიბჭესთან და წინადადი წველილი შეჰქონდათ ზოგადსაკაცობრიო კულტურის საგანძურში, რომ შედითერანიული სივრცის ძველთაძველი, ბერძენებმდე ცივილიზაციის შემოქმედი ჩემი წინაპრები იღვწოდნენ, ქმნიდნენ და დომინირებდნენ პირინეიდან მოყოლებული ხმელთაშუა ზღვის კუნძულებსა და ნახევარკუნძულებზე, მცირე აზიაში, კავკასიასა თუ მესოპოტამიაში.

ფესტოსის დისკოს წარწერის, A კლასის ხაზოვანი და კრეტული იეროგლიფური ტიპის დამწერლობების გ. კვაშილაგას მიერ ამოკითხვამ კიდევ ერთხელ დაადასტურა - ვინც ქმნის დამწერლობას, ის არის ამ ეპოქის ცივილიზაციის მებაირახტრე. შესაბამისად, ქართული სახელმწიფოებრიობა ახალ სივრცეებსა და კიდევ უფრო შორეულ სამანებს სწვდება, იზრდება ქართველი ხალხის, როგორც მსოფლიო ცივილიზაციის სათავეებთან მდგომის, შემოქმედის როლი და ავტორიტეტი. თუკი აქამდე არსებული მტკიცებებით, ძველი კოლხური სახელმწიფოს ისტორია ძვ. წ.-ის XII საუკუნეს ვერ სცდებოდა, გია კვაშილაგას ამ აღმოჩენის შედეგად სახეზეა ქართული სახელმწიფოებრიობის 40-საუკუნოვანი ისტორიის დამადასტურებელი დოკუმენტური მასალა, რომ ქართველური ტომის - პელაზგების მიერ შექმნილი კულტურა იყო საძირკველი ბერძნული ცივილიზაციისა, რომელმაც დასაბამი მისცა პირველ ევროპულ ცივილიზაციას.

გია კვაშილაგამ კრეტის ქურუმებს დაუკავშირა კოლხი, ლემნოსელი, სამოთრაკელი ქურუმები - კორინთელები და მათი კირბები. აჩვენა, რომ ამ ენაზე მტკიცებდნენ მინოსელები, მათი ლეგენდარული მეფე მინოსი და მისი მეუღლე - კოლხი პასიფაე (აიეტის და), კოლხეთის მეფე აიეტის, აიეტის ქალიშვილი და იაზონის მეუღლე - მედეა, ოდისეოსის მეუღლე კირკე (აიეტის და).

კარგად მოგვხსენებთ, რომ ნებისმიერი აღმოჩენა მაშინ აღწევს მიზანს, როდესაც იგი ფართო საერთაშორისო აღიარებას პოულობს. ამ მხრივ უკვე სახეზეა პირველი შედეგები: 2010 წელს ირანში გამოცემულ 504-გვერდიან ფუნდამენტურ ენციკლოპედიაში „ატლანტიკაში“, სადაც ცნობილი მეცნიერი ტონი ოკონელი ნათლად წარმოაჩენს ძველი ელინისტური სამყაროსა და ატლანტიდის ისტორიას, გია კვაშილაგას აღმოჩენას მთელი თავი აქვს დათმობილი. ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ „ქართველმა მათემატიკოსმა გია კვაშილაგამ შემოგვთავაზა ყველაზე მისაღები და რეალური დემონსტრაცია ფესტოსის დისკოს ტექსტისა, რომელიც შესრულებულია პროტოქართველურ ენაზე და დაბეჭდილია უნიკალური კოლხური სილაბურ-ფლოგრაფიული ოქროდამწერლობით“. ენციკლოპედიის თანახმად, გია კვაშილაგას ეს ნაშრომი, როგორც საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო, რეკომენდებულია მაღალი კურსის

სტუდენტებისათვის, მაგისტრანტებისათვის, დოქტორანტებისა და ამ დარგის მეცნიერთათვის მთელ მსოფლიოში.

ქართველი მეცნიერების სახელი უკვე გასცდა საქართველოს ფარგლებს, დღეისათვის გამოკვლევისადმი უცხოელ სპეციალისტთა დაინტერესება, მას სისტემატურად იწვევენ საზღვარგარეთის პრესტიჟულ სამეცნიერო კონფერენციებზე.

ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ფესტოსის დისკოს აღმოჩენის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი პირველი საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც 2008 წელს ჩატარდა დიდი ბრიტანეთის ხელოვნების სამეფო აკადემიასა და ლონდონის სიძველეების შემსწავლელთა საზოგადოებაში. მსოფლიოში სახელგანთქმულ მეცნიერთა წინაშე გაა კვაშილავა წარდგა მოხსენებით – „კოლხური ოქროდამწვრობის ნიმუშის, ფესტოსის დისკოს ამოკითხვა“. კონფერენციის მონაწილეთა საერთო აზრით – „ამ ისტორიული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის გვირგვინი ქართველი მეცნიერის მოხსენება იყო“.

დღეს, როდესაც მეცნიერები საუბრობენ ქართველთა უძველეს კულტურასა და მის გავლენაზე ხმელთაშუა ზღვის ოთხი ათასი წლის წინანდელ და შემდგომი პერიოდის ცივილიზაციაზე, უპირველესად, გაა კვაშილავას აღმოჩენებს იშველიებენ და მას მონსენიებენ უდიდეს აღმოჩენათა გვერდით.

„თქვენი მოხსენება სრულიად გამორჩეული და განსაცვიფრებელი იყო“, წერს ცნობილი მეცნიერი, დოქტორი ჯ. აიზენბერგი.

„მკვიფარო დოქტორო კვაშილავა, მე წაგიკითხე თქვენი ნაშრომი. იგი ძალიან შთაბეჭდავია. ...თქვენ დაამტკიცეთ, რომ ფესტოსის დისკო არის კოლხური ოქროდამწვრობის ნიმუში. ...ამ ანტიკულტურის დროში თქვენი ნაშრომები არის მაცოცხლებელი ენერჯია. ...თქვენ ბრწყინვალე მეცნიერები ბრძანდებით“, ვერ ფარავს თავის აღფრთოვანებას კანადელი მეცნიერი, დოქტორი რ. მორიტი.

ეს ის ცნობილი მეცნიერი მორიტი, რომელმაც 2010 წელს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან კემბრიჯის სწავლულთა გამომცემლობაში გამოაქვეყნა მონოგრაფია – „ქვეები, რომლებიც მეტყველებენ“, რომელიც მთლიანად მიუძღვნა გაა კვაშილავას ამ აღმოჩენას და ასკვნის: „გა კვაშილავა არის ის მეცნიერი, რომელმაც ახალი ხედვით შეცვალა და შეავსო უძველესი კაცობრიობისა და ცივილიზაციის განვითარების ისტორია“.

არსებითი და პრინციპული მნიშვნელობა აქვს თვით ბერძენი მეცნიერების აზრს ამ საკითხებზე. ცნობილი ბერძენი მეცნიერი ტ. კაფანტარისი საქვეყნოდ აცხადებს: „კოლხებს, რომლებიც მაშინ კრეტაზე სახლობდნენ შეუძლიათ არა მხოლოდ იოცნებონ, არამედ გაითავისონ ის, რომ ისინი ბატონობდნენ ხმელთაშუა ზღვაზე და იყვნენ იმდროინდელი მსოფლიოს ჰეგემონები“. უკე-

თესს მართლაც ვერაფერს ინატრებდა ქართველი. უკვე ნივთიერი და მატერიალური წყაროებით დადასტურდა ისტორიის მამის, ჰეროდოტეს 25 საუკუნის წინანდელი ნათქვამი – კოლხები მთელ სამყაროში არიან განფენილი, კოლხთა წინაპრები, პელაზგები და ეტრუსკები პირველნი ცხოვრობდნენ საბერძნეთის კუნძულებზე.

გა კვაშილავას ეს აღმოჩენა აუცილებელს ხდის გადაიწეროს მსოფლიო ისტორიის მრავალი გვერდი, არსებითად შეცვალოს ევროპაში ბერძნებადელი პერიოდის ისტორია, თავისი კანონიერი სახელი დაუძველდეს მინოსური კრეტის ცივილიზაციას, უფრო ინტენსიურად წარიმართოს კვლევითი სამუშაოები ქართველთა წინაპრების განსახლებისა და მოღვაწეობის შესახებ პირინეის, აპენინის ნახევარკუნძულებსა და ხმელთაშუა ზღვისპირა აზიის, ევროპისა და აფრიკის კონტინენტებზე.

გინაროდენ ქართველნი! მეცნიერულად განმტკიცდა ჰიპოთეზა, რომ ბერძნებადელი ევროპის ცივილიზაციის შემოქმედნი ქართველთა წინაპრები არიან და ეს ზოგადსაკაცობრიო მოვლენა სამყაროს ქართველმა მეცნიერმა, გა კვაშილავამ ამცნო.

„გმირს ყველაზე მეტად უნდა ქებანი“, ბრძანებდა დიდი კონსტანტინე. როდესაც სახეზეა ასეთი დიდი აღმოჩენა, ახლა უკვე დღის წესრიგში დგება საკითხი ამ მიმართებით მეცნიერთა და ფართო საზოგადოების აზრის კონცენტრირებისა, რომ იგი დროულად და სათანადოდ აისახოს ისტორიულ

ლიტერატურასა და სახელმძღვანელოებში; ინტენსიურად წარიმართოს მუშაობა არა მხოლოდ მედიტერიანულ სივრცეში, არამედ მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, სადაც კოლხთა ცხოვრებისა და საქმიანობის კვალი დღემდე შემორჩენილი; გამოიძებნოს ფინანსური და სხვა საჭირო რესურსები ამ სფეროში მომუშავე მეცნიერთა სპეციალური ჯგუფის შექმნისათვის, შესაბამისი მეცნიერული შრომების გამოცემისა და სხვადასხვა ქვეყნებში გასავრცელებლად, რომ იგი ხელმისაწვდომი გახდეს ყველა დაინტერესებული პირისათვის. აუცილებელია, რომ ამ საკითხებზე საქართველოში მოწვეული იქნას საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიო ისტორიისა და სიძველეთა კვლევის ცენტრების, აკადემიების, ინსტიტუტების, მუზეუმების, გამოცემლობების წარმომადგენლები, ცნობილი უცხოელი მეცნიერები და მეცნიერები.

აუცილებელია, რომ დაარსდეს მედიტერიანულ სივრცეში მცხოვრები პროტოქართულურ-კოლხური (პროტოიბერიული) მოსახლეობის კულტურის მეცნიერული კვლევა-ძიების ხელშემწყობი ფონდი.

ეს ყველა ქართველის, უპირველესად, შესაბამისი სახელისუფლებო ორგანოების, ბიზნესმენების, საქართველოზე, კაცობრიობის წარსულსა და მომავალზე ყველა დაფიქრებული კაცის მოვალეობაა.

დემურ ლაღანიძე

ბატონო თამაზ! – მოგესალმებით! მოხარული ვარ ყოველთვის, როცა ამის მიზეზი ჩნდება. სამწერლო სივრცე შემდგურულია და არცთუ სასიამოვნო სუნი ასდის, თუმცა დასაიმედებელიც ბევრია. მე ვიბრძობი ხმაურისა და ყურადღების მიქცევის გარეშე და ასე ვაპირებ გაგრძელებას. მართონს ასეულები იწყებენ და თითო-ორილა ადწევენ ფინიშს. იმის მიუხედავად, თვალში მოგდევართ თუ არა, ვადასტურებ – იყო დრო, ჟამთასეულს პარასკეობით ვითვლიდი. არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ თქვენს დიდებულ გაზეთში არაერთი ბრწყინვალე გვერდი დაგებულა. გილოცავთ

ჩემი სიყმაწვილისა და აწ სიბერის გაზეთის აღდგენას. რაც შემეხება მე – უნდა გახართ! – ცოცხალი ვარ! გიგზავნით ერთ უბრალო, მართალ ნაცოდვილარს. მართალს იმიტომ, რომ მე ტკივილების გამოგონება არ მჭირდება, ზუსად ისე ვცხოვრობ, როგორც ჯანსაღი საქართველოს უღატაკესი ნაწილი!

ქრისტესმთავარი სიყვარულით  
მონა ხარანაული



### მისა ხელაშვილს (ანუ – მე დავილაღე)

ნაკლებად გახსენებენ ძმაო,  
და უფრო ნაკლებად გიგონებენ!  
შენ – ჭაბუკი მარადიული!  
შენ – ნათლით მოსილი ფშაველი!  
მე – ქალაქის არამშობლიური მტერით შეურაცხყოფილი,  
ორმოცდაათ წელს მიღწეული, შენი უმცროსი ძმა!  
შენ მარადიულობით ,, დაღლილი!"  
მე – დაღლილი სამყაროს ფუჭსიტყვაობით!  
მე – დაღლილი მდგრადი განვითარების სიღარიბით!  
მე – დაღლილი ჩემი შვილების სევდიანი თვალებით!  
მე – დაღლილი დედის დაუღლეი ხელებით!  
მე – დაღლილი გულგრილი მზის აბეზარი ერთგულებით!  
მე – დაღლილი ცოლის გამხიარულებული სევდით!  
მე – დაღლილი საკუთარი სიმძიმით!  
მე დავილაღე შემოდგომის ცრუპენტელა სპექტაკლებით!  
მე დავილაღე საათის უტიფარი უდარდებლობით!  
მე დავილაღე შეთანხმებული ბრძოლებით!  
მე დავილაღე დაგეგმილი მშვიდობით!  
მე დავილაღე წინაპართა სამარეთა გუგუნით!  
მე დავილაღე გამაყრებელი სიჩუმით!  
მე დავილაღე ჩემი ნიჭიერების ტოქსიკურობით,  
ჩემი მორჩილების თვალთმაქცობით,  
ჩემი თავმდაბლობის მედიდურობით!  
მე დავილაღე სიკვდილის ჭრელჭრულა სიბრძნით  
და სიცოცხლის გაფანტული სკლეროზით,  
სიყვარულის სადახლო სამსახურში ჩადგომით,  
ძუძუების პროფესიული მოვალეობის გადამეტებით!  
მე დავილაღე მერცხლების საგაზაფხულო ღალატით,  
გვართა ღალადითა და ქვათა დამალობანით,  
მე დავილაღე დაუძალღებელი ლეკვების ნკავ-ნკავით,  
ბურვაკებისაგან შესანსლული თურაშაულით,  
პანტის თანამდებობისათვის შეუფერებლობით,  
მწყერზე ძალადობითა და

პატიოსანი ხეების შეშფოთებით!  
მე დავილაღე ცრუ მენანგეთა გაცვეთილი ნისკარტებით!  
მე დავილაღე ღვთაებრივის ,, ათასიანი" ქლეკით და  
,, გამიზნულად" გამოლტილი არდაბრუნებით!  
მე დავილაღე შეფაკული ღანვებით, სირცხვილის გარეშე,  
ვულკანების თვლემით, გალაქტიკების ბუტიანობით,  
დედამინის ეპილეფსიით , ზარების პროტესტით,  
გულის მტკნარი შეუპოვრობით,  
ცრემლების ცრუ ფილოსოფიით,  
და ფილოსოფიის ღვანღმოსილი კლიმაქსურობით!  
მე დავილაღე სისხლში მოცახცახე ტრაქტატების ჩურჩულით,  
დაშვებული ხელებითა და აფშეკილი ფეხებით,  
თვალეებში დამწყვდეული სულით და  
გადამწვარი წყვილი ნათურით!  
მე დავილაღე ჩემით, შენით, მისით,  
ჩვენით, თქვენით, მათით!  
მე დავილაღე აკინძული ბრუნვით,  
ჩამწკრივებული სერიებით,  
დარბაისელი ხარების კისრებიდან  
გადმოყრილი უღლებით!  
მე დავილაღე სენტიმენტალიზმის  
გრამატიკული გამოლაყებით,  
სისხლიდან დანრეტილი ირმების მხატვრობით!  
მზარეულის მომლოდინე სანამლაავით!  
და უარყოფილი დედოფლისგან  
საკუთარი სისხლძარღვებით  
შემოდობილი საქვეთინოთი!  
მე დავილაღე ძვირფას მუხლებზე  
შემშრალი სიყმანვილით !!!  
ჩემით დაილაღა დაღლა,  
და არა იმიტომ რომ  
ოჩოპინტრე პოეტივით  
მიგურთიმო ,, მაღლა" . . .  
მე დავილაღე დროთა უნმანურობითა, და ჟამთასვლის ხრწნით,  
ნამების გულწრფელობით, ნუთების უმწეობით,  
საათების თეატრალიზმითა და დღეღამეთა უპასუხისმგებლობით!  
მე დავილაღე ა – რა – ფრიით !!!!!!!!



მეა ბაქრაძე

●  
 გავყიდი ლერწმის ბნკარისფერ კაბას,  
 მერე იმ ფულით გიყიდი ანბანს,  
 როცა გადაშლი ცხოვრების დავთარს,  
 თავად გაარჩევ მტყუნანს და მართალს.  
 მიხვდები ვინ ხარ, ვისი რა გმართებს,  
 გავყიდი მძივებს, ვიყიდი სანთლებს  
 და დაუკოცნი ღვთისმშობელს კალთებს  
 შენი ამ ქვეყნად მოვლინებისთვის,  
 განგებისა და უფლის ნებისთვის...  
 გავყიდი ბეჭედს და დაგიმშვენებ  
 ქართული ჩოხით განიერ ბეჭებს,  
 ვიცი, რარიგად უხდებათ ბიჭებს  
 ქართული სულის მოხდენის ნიჭი  
 და მოგუგუნე დედო ზარების  
 ხმა იდუმალი და ახლობელი,  
 როგორც ჰაერი, როგორც მშობელი,  
 წყალი, საკვები, მთები, ველები  
 და მოამაგე თბილი ხელები...  
 ჰო, რა თქმა უნდა, ძველთაძველ სკივრსაც  
 გავყიდი, როგორც ლერწმისფერ კაბას  
 და მოვუნათლავთ მეგობარს შვილსაც,  
 სახელად ალბათ დავარქმევთ საბას.  
 გავყიდი ალბათ (რომ მქონდეს) სახლსაც  
 და თავი ქვასაც უნდა ვახალო,  
 შენ რომ დაგჭირდეს და გაგიჭირდეს,  
 შენს განკაცებას რომ მოვახმარო,  
 მაგრამ ვერასდროს მე ვერ გავყიდი  
 წინ რომ აღმიდგეს მთელი სამყარო -  
 სულსა და სინდისს, მშობლიურ მიწას!  
 რომ არ დამირჩე, როგორც ხიზანი  
 შენსავ მამულში, რომ არ დაკარგოს  
 სიცოცხლემ აზრი, აზრმა-მიზანი...  
 ბოლოს და ბოლოს, გავყიდი წიგნებს  
 მათთვის, ვინც ქვეყნად გზას ვეღარ იგნებს...  
 მას, ვინც საკუთარ ღირსებას იცავს  
 საგულდაგულოდ გადამალული  
 გადასარჩენი უფლის შვილებით,  
 იმედის ჭიგოდ შევეშვებლები...  
 ის, ვინც საკუთარ ღირსებას იცავს,  
 იცავს სიცოცხლეს რწმენას და მიწას...  
 ჭირთა დათმენით და მოკრძალებით,  
 სულთმოფენობის ღვთიურ ძალებით  
 ვდგავართ სიცოცხლის სადარაჯოზე  
 ჩვენ, საქართველოს ამორძალები!  
 გავყიდი ლერწმის ბნკარისფერ კაბას  
 და უსათუოდ გიყიდი ანბანს,  
 მერე გიამბობ ჯადოსნურ ზღაპარს,  
 ლექსს ნავუკითხავთ კახეთში პაპას...  
 ჯერ რას გაიგებ ბარისას, მთისას...  
 და იმედებით გაძედილ ქისას  
 ბალიშქვეშ ვმალავ, გისწორებ საბანს,  
 ხვალ უსათუოდ მოვნათლავთ საბას...

●  
 ეძებ ოაზისს უდაბნოს ხვატში,  
 მზის დაკოცნილი გენვის ტუჩები,  
 არ ვიცი როგორ, მაგრამ თუ მაინც  
 მაგ მირაჟებსაც გადაურჩები...  
 დაგიბრუნებენ ჩემი ქალაქის  
 ჩრდილჩახერგილი გრილი ქუჩები...  
 მერე დაღლილი ჩიტუნასავით  
 ჩემს აივანზე შეიყუჩები,  
 რომ გათანგული სული მოითქვა...  
 მე კი ჯერ კიდევ იმ სიტყვას ვეძებ,  
 სამყაროს შექმნის დღიდან რომ ითქვა  
 და ამ ცხოვრების უდაბნოეთში  
 უგზო-უკვალოდ გაქრა, მოინთქა.  
 ის, ვინც დაეძებს, იპოვის კიდევ,  
 უკიდევანოს რომ გასცდევ კიდევ...  
 უფალმა იცის, მხოლოდ და მხოლოდ,  
 მაგ სუსტი მხრებით რა ტვირთი ზიდე...  
 დროის წამმზომი ჩართულია  
 და ახლა ვხვდები, რა რთულია  
 სივრცის და დროის შეჯვრება...  
 მხოლოდ ერთეულებს შეუძლიათ  
 წამში მარადისის შეჩერება...  
 როგორც სულის ხსნას მაცხოვრის ხატში,  
 ეძებ ოაზისს უდაბნოს ხვატში...

**შვილს ბიორგის**

*(ეგ ზიუპერის „პატარა უფლისწული“-ს ნაკითხვის შემდეგ)*

„შეჩერდით ერთ ხანს, სწორედ ამ ვარსკვლავის ქვეშ და ყმანვილი თუ დაინახოთ, რომელიც იცინის, შეკითხვაზე პასუხს არ იძლევა და ოქროსფერი თმა აქვს, უთუოდ მიხვდებით ვინც არის იგი... და თუ ეს მოხდა, გთხოვთ მანუგეშოთ – შემატყობინოთ, რომ იგი დაბრუნდა“

ქუჩაში, ქალაქში,  
 მტვერსა და ტალახში  
 დავბრუნდი...  
 არ ვიცი საიდან მოვედი,  
 სად გაუჩინარდა ის ასტეროიდი,  
 აქ ვინ მომიყვანა,  
 ანდა ეს ქვეყანა  
 რასა ჰგავს მითხარით,  
 ეგება ამიხსნათ?!  
 ამდენი ცოდვილი  
 ვინ უნდა დაიხსნას?  
 ხელები ჩასჭიდეთ,  
 კაცებო, ერთმანეთს!  
 პატარა პრინცივით  
 თავზე არ დამესხას  
 ის გველი, ღმერთმანი,  
 კიდევ თუ დამგესლავს,  
 ცას თვალზე ვარსკვლავი  
 ცრემლივით მოსწყდება,  
 დაცარიელდება  
 სამყარო სრულიად,  
 რადგანაც სიცოცხლე  
 ნათლის ჩქერალებით  
 დაღვრილ ვარსკვლავებად  
 მოსული სულია...  
 რომ მოვშინაურდე  
 და გველის ნაკებნი  
 დიდი ხნის ნატკენი  
 გულივით მომირჩეს –  
 მოდით, ჩემს სახსოვრად  
 დახატეთ ბატკანი,  
 ჩაკეტეთ ყუთში და  
 სანთლები აანთეთ...  
 უდაბნოს ქვიშაში

პანანა მარცვალი  
 გაბრწყინდა! შეხედე,  
 მზესავით ანათებს...  
 დაიქცა ქვეყანა!  
 კაცებო, რას შვრებით?!  
 როდემდე? – ხომ ხედავთ,  
 ცეცხლს ეთამაშებით!  
 ჩვენ მაინც დაგვინდეთ –  
 უმწეო ბავშვები...  
 რას შვრებით, კაცებო,  
 კაცებო, რას შვრებით!!!  
 ანგელოზებივით  
 რომ შემოგლადლოთ,  
 იქნება ერთხელაც  
 ბატკანი დახატოთ...  
 რწმენით რომ მომირჩეს  
 ეს გული ნატკენი –  
 დახატეთ ბატკანი,  
 მომიშინაურდით...  
 კაცებო, ხატებთან  
 სანთლები აანთეთ!  
 უდაბნოს ქვიშაში  
 პანანა მარცვალი  
 გაბრწყინდა!.. შეხედე,  
 მზესავით ანათებს!..

●  
*„დამრჩა სიზმრების თავსაბურავი  
 და ვარსკვლავებით სავსე ვერანდა.“  
 მ. მთვარელიძე*

დღეს ვერანდაზე მზე დანვეს თითქოს  
 და ფერფლი მიაქვთ კუზით აქლემებს.  
 დუმს მეიგავე და შველას ითხოვს,  
 მზე-ჩანაცრული ღამეს ათენებს.  
 დღეს უსამართლოდ დასჯილ ყრმასავით  
 აყუდებულა კუთხეში სევდა,  
 ღვთით ბოძებული წყალობასავით  
 უსაზღვროებას, ზღვარს მიღმა ხედავ...  
 დღეს შენი სუნთქვით გამთბარ ვერანდას  
 ცა ვარსკვლავებით მოავარაყებს,  
 თუმცა ბოლომდე მაინც ვერ ანდე  
 დარდი სიტყვებს და იგავ-არაკებს.  
 ყალბი ღიმილი, როგორც ნიღაბი,  
 უმშვენებს სახეს მტერს და მოკეთეს,  
 ისევ გადახმა სამოთხის ბალი,  
 დიდოსტატს მკლავი ისევ მოჰკვეთეს!  
 სიკეთის წიაღ, შხამი და გესლი  
 სულ ხელუკუღმა შემოგაყარეს...  
 დღეს დამიზნებით არავინ გესვრის,  
 დღეს სხვა მიზანი უჯობს მოყვარეს!  
 მაესტრო! ფარდა უკვე დახურეს...  
 შენს ვერანდაზე კვლავ ზეობს ზეცა,  
 დღეს მწუხრის ჟამიც მოვიმარხულე  
 და ღამე ლექსებს ფრთებივით კეცავს!

●  
*ნახევრად ირონიული*  
 ავანტიურა მოგენატრა...  
 ადრენალინის გარეშე  
 ეს ცხოვრება ალბათ მოგწყინდა...  
 ლომის ხახაში ხელს რომ ყოფდი,  
 მაშ, რა გეგონა? –  
 დაგიკოცნიდა?!



# პოეზია, „ზაფხული“ გეორგი ნანილი. ნაწყობი ნიღბების დღესასწაულიდან

## შემსმტრელები, ტლანქნი და უკმეხნი

გაგვეცათ, გაგვეცათ!  
 ვჭრით! ვჩეხთ! ვჭრით!  
 ცხელ ოფლს ვღვრით!  
 ცვივიან ხეები  
 ვარჯებით ვეებით,  
 თავში არ დაგვეცეთ,  
 გაგვეცათ, გაგვეცათ,  
 სხვა აღმართს შეებით!  
 გვიცქერით აზიზნი  
 ზიზლით და რა ზიზლით!  
 ვყოფილვართ უწვრთნელნი,  
 უშნონი, უზრდელნი,  
 ჩვენს ოფლზე იცინით!  
 სწორედაც მაგ ოფლით  
 ბრძანდებით კმაყოფით,  
 არ კვდებით სიცივით.

## პოლიშინელები, ანცები, თითქმის ბრანდები

ხართ ხვითქის მღვრელები,  
 ბრიყვები, ბნელები,  
 დადიხართ კაკვით,  
 მორების თრაქვით.  
 ჩვენ ჭკვიანები ვართ,  
 დავდივართ ნებივრად.  
 თუ რამე ტვირთი გვაქვს –  
 ქუდი და ქურთუკი.  
 სულ ჩირთი-ფირთი გვაქვს,  
 ბაზრის წინ ყურყუტი.  
 შიგ ბრბოში შევცვივით,  
 ავტეხთ ალიაქოთს,  
 ერთმანეთს შევცინით,  
 ხალხი რომ წიოკობს,  
 ხალხი რომ წიაქობს.  
 ხვლიკივით გავსხლტებით,  
 გარეგარ გავსხდებით.  
 რაც რა შეგხვედრია  
 ქება და გინება,  
 ჩვენს თვალში ერთია,  
 მხოლოდ გვეცინება.

## მუქთამჭამელნი

დიდნო თუ მცირენო,  
 ტყისმჭრელნო მარჯვენო,  
 თქვენც, მენახშირენო,  
 ხალხი ხართ საჩვენო.  
 თქვენ თუ არ იქნებით,  
 ჩვენც ვერას გავხდებით  
 მაგ ჩვენი ლიქნებით,  
 მდაბალი ნახრებით,  
 ხმების მინაზებით,  
 თავის კანტურებით,  
 ხვეული ფრაზებით  
 იკლიკანტურებით.  
 ცეცხლი საზარია,  
 ციდან რომ ეშვება,  
 დაუსაზღვრავია  
 მისი გავშვება.  
 თქვენ კი მას ჯერ-ჯერზე  
 ქურბში ათავსებთ,  
 მზადდება კერძები  
 ქვაბში თუ ლადარზე.  
 ტაფებო, ქვაბებო,  
 რა სუნი, რა გემო!  
 ყოვლად გასაგები  
 დაგვიძღვის ნადილი –  
 პატრონთან ნაგემი,  
 მუქთაზე, სადილი.

## მთვრალი, თითქმის უგონოდ

მთვრალი ვარ და ვიყო მთვრალი,  
 გავაბიჯო აცა-ბაცად,  
 სიმღერებს და შვება-ხალისს  
 თან მივიტან, მივალ საცა.  
 გადამძალოს ძალმა ვისამ!

გაგრძელება. დასაწყისი „ლს“ №48

იმას ვიზამ, რასაც ვიზამ!  
 ხელი ჰკიდეთ სავსე თასებს,  
 აბა, შევსვათ! ესეც ასე.

მამკობს ცოლი მწარე-მწარით,  
 ერთს არ გეტყვის სასიამოს,  
 ვარ ჭინჭების საკიდარი,  
 ცხვირს უბზუებს ჭრელა სამოსს.  
 თქვეც, ჭინჭების საკიდარნო,  
 მემთვრალენო ჩემო დარნო,  
 გშვენით სმაში სიკისკასე!  
 კიდევ ერთი! ესეც ასე.

თუ მედუქნემ, დღესა მქისსა,  
 ნისიაზე ამა მცესა,  
 შევბრალდები ცოლსა მისსა,  
 თუ ცოლს არა – მოახლესა.  
 აბა, ჩქარა! ნუ ხართ დუნედ!  
 ჭიქა შემომიჭახუნეთ!  
 მაგ წკრიალის გლოცავთ ხმაზე –  
 ესეც ასე! ესეც ასე!

ბოლო თასთან ბოლო ბრძოლამ  
 ვხედავ, ხელიც მომიტავა.  
 დამანებეთ ჩემთვის წოლა,  
 მაინც ფეხზე ველარ ვდგავარ.

## გუნდი

აბა, ძმებო, ნუ შედრკებით,  
 ვიყოთ ლაღად, ვიყოთ შვებით!  
 ეგ ძმაც მშვიდად მივათავსეთ  
 სუფრის ქვეშ და – ესეც ასე!

*(გამოდინ პეროლდისაგან გამოხმობილი ნაირ-ნაირი პოეტები – ბუნებისა თუ კარის მგოსნები, რაინდობის მებოტბენი, ეროტიკული თუ მისტიკური ნყოფის მე-ლექსენი. იწყება ქიში და გნიახი, ერთმანეთს სიტყვას არ აცლიან. ერთი მათგანი მაინც გამოსხლტება და რამდენიმე სიტყვის თქმას მოასწრებს.)*

## სატირიკოსი

ჩემი კალმის შესაფერად  
 ერთი ჟინი მქონდა მუდამ –  
 ისეთების თქმა და მღერა,  
 რისი სმენაც არვის უნდა.

*(ლაშისა და სასაფლაოს მგოსნები ბოდიშს ითხოვენ, რომ ახალგაზრდონილ ვამპირებთან უაღრესად სა-გულისხმო ლაპარაკს შეჰყვენენ, საიდანაც, შესაძლოა, სულ მალე ახალი პოეზია დაიბადოს. პეროლდი ამ საქმეს ამონურულად მიიჩნევს და ახლა უკვე ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟებად გადაცმულ ნიღბოსნებს გამოიხმობს. მათი მორთულობა ახლებურია, მაგრამ ძველს მისადაგებული და გემოვნებით შეთხზული.)*

## სამი გრაცია.

### აგლაია

ვთქვა, გრაცია ნიშნავს რასაც?  
 საბოძვართა შნოს და ლაზათს.

### ჰეგემონე

რას ნიშნავს და იმის უნარს,  
 სიხარულით შეხვდე სტუმარს.

### ევეროსინე

რას ნიშნავს და კეთილ სიტყვას, –  
 სიკეთისთვის მაღლი ითქვას.

### სამი პარკა

### ატროპოსი

უფროსი ვარ დათა შორის,  
 დამევალა ძაფის დართვა,  
 თუმცა დღემდე, გითხრათ სწორი,  
 არა ვმჯდარვარ თითისტართან.



ძაფად შენნა ბედის ხაზი.  
 სუფთად, არა ზიანებით,  
 სელი გინდა ნაზად ნაზი.  
 თითები და – ჭკვიანები.

გინა ცალდით, გინა წყვილდით,  
 ნუ დარბიხართ ოლონდ ცეტად.  
 ცოცხალ ძაფებს გაუფრთხილდით,  
 ადვილია გასაწყვეტად!

## კლოთო

მომაჩერეს მაკრატელი,  
 იმის ნაცვლად, ძაფი ვართო.  
 უფროსმა დამ ხანი მთელი  
 ვერა ქნა რა საწაღმართო.

უგვანი და ყოვლად ფუჭი  
 ქვეყანაზე ლაღად ავლო,  
 დაამინა ხრაჭა-ხრუჭით  
 სამზეო და სამომავლო.

მეც შემინდა იგივე სენი  
 და, რომ აღარ ვცოდო კიდევ,  
 ხრაჭა-ხრუჭებს დავეხსენი,  
 მაკრატელი ბუდეს მიდევს.

შემოგლიმით გულგახსნილი,  
 თქვენი დღე დგას, თქვენი ღამე,  
 შეუმკრთალი გქონდეთ ღზინი,  
 იამეთ და ითამამეთ!

## ლესისი

მე ვარ, ვისაც აზრი მომდევს,  
 საქმე მიმყავს შეუმცდარად,  
 არ ჩქარდება არასოდეს,  
 ნესს ანესებს ჩემი ჯარა.

მიხვევა მკედზე მკედი,  
 უსკვნელად და უბურდველად,  
 არსად – რამე უცაბედი,  
 თავის რიგზე მიდენს ყველა.

მეც შემიდგეს ერთხელ ქარი,  
 ეს ქვეყანა აბრუნდს მოვა.  
 მოდის, მიდის ფეიქარი,  
 ნართი მიაქვს მოსაქსოვად.

## ჰეროლდი


ვისაც აქ ახლა გამოვიხმობ, ვერავინ იცნობთ,  
 გინდაც გულდასმით ნაგეკითხოთ ნაწერნი ძველთა,  
 მათი დანახვა სასიკვდილოს იწვევდა ელდას,  
 დღეს კი სასურველ სტუმრებადაც შერაცხოთ  
 ვინძლო.

ფურიებს ხედავთ – არ ირწმუნებს ალბათ  
 არავინ,  
 ყმანვილქალები სათნონი და კეთილნი თვალად!  
 მაგრამ, ვინც ენდოს, მაგ მტრედების იხილოს  
 ძალა,  
 ხელთ შემორჩება ასპიტები, გესლით მზარავი.

დღეს აქ, ნიღბების ამ ზეიმში, როცა საჩვენოდ  
 თამამად ყბედობს თავის ნაკლზე ყველა რეგენი,  
 წარმოდგებიან სრული სახით ალბათ ეგენიც,  
 ანგელოზებად, არა მგონი, თავი გვაჩვენონ.

გერმანულიდან თარგმნა დავით წერეთლიანმა

# ჩვენარად, ჩარსულთ, ჩვენარად!



გოგი ხარაბაძე

„მე რომ ძმანი მყვან სულეთსა, სამზეოს დასაფიცარნი!“  
 — ამბობს უსახელო ხევსური ერთ დიდებულ ლექსში.  
 მე მგონი, სიცოცხლე სიკვდილით იმიტომ „შვენობს“, რომ ეს არის ერთადერთი უტყუარი გზა, გაიგო, თუ რა არის მოყვასის სიყვარული.  
 მიდიან და მიაქვთ ჩვენი ცხოვრების ნაწილი. მოგონებებში გადააქვთ სიცოცხლე, ძვირფასი და საამაყო.  
 გვიტოვებენ გრძნობას, რომელიც მარტო სევდა და ტკივილი არ არის. ეს არის მათთან ერთად განვლილი ცხოვრე-

ბის შინაარსის განცდა, რომელსაც უბრალოდ ბედნიერებას ვუწოდებთ ხოლმე.  
 მაშ, რა ჰქვია იმ გრძნობას, როდესაც ხვდები, რა ბედნიერება ყოფილა მათ გვერდით დოგმა და ერთმანეთისთვის გაღებული სიცოცხლის წილი.  
 ხსენება მართალთა ქებითა აღესრულებიყო.  
 ესე იგი, სიყვარულითა და რწმენით, რომ მათი ხსენება ჩვენში სიცოცხლის სახმილს აღვივებს.

## ბატონი გიგა...



გიგა ლორთქიფანიძეზე საუბარი ფანტასტიკური რანევსკაიას სიტყვებით უნდა დავიწყო. ის ბრძანებდა, არ ვუყვარვარ რეჟისორებს, მეც მათ არსიყვარულით ვპასუხობ, თუმცა, როცა თეატრში როლებს არ მაძლევენ, ისეთი შეგრძნება მეუფლება, თითქოს პიანისტი ვიყო, რომელსაც ხელები მოკვეთეს... რთულია ეს ურთიერთობები – რეჟისორისა და მსახიობების – სამართებლის პირზე სიარულს ჰგავს, დიდ მოთმინებას, სულგრძელობას, ღირსებას, კაცთმოყვარეობას მოითხოვს... გიგა ლორთქიფანიძეს უყვარდა მსახიობი, ცოდა მისი დაფასება, ეტყობა ეს მის ნამუშევრებს, ოღონდ ბებია – მისი რეჟისურით აქვს ნათამაშები სესილიას, ასინეთაც. „მეტეხის ჩრდილში“ მისი დადგმულია, რუსთაველის თეატრში, სერგო ზაქარიაძე – მენაღე შაქროს როლში. რუსთაველის თეატრიც მისი დაარსებულა. მის, ოღონდ მივიყვებულ, შესანიშნავ სპექტაკლს გავიხსენებ, პოლიკარპე კაკაბაძის „კახაბერის ხმალს“. თავისი ხედვა ჰქონდა, ჩანაფიქრი, მაგრამ იმავე დროს, დიდ შემოქმედებით თავისუფლებას იძლეოდა, ნდობას უცხადებდა მსახიობს ჰაერით საჭიროს მისთვის. ალბათ, ამის შედეგია მთავარი თუ არამთავარი როლების ბრწყინვალე გალერეა მისი სპექტაკლებიდან თუ ფილმებიდან. კიდევ, საოცარი გუმანი, ალლო თუ ინტუიცია ჰქონდა ტიპაჟის არჩევას, თითქმის უტყუარი...

თეატრში არ მოგვინია შეხვედრა. კინოში – ყოველთვის მეძახდა, ერთხელ უარიც ვუთხარი, ნამეტანი ნამუსგარეცხილი კაცის როლი შემომთავაზა, მე კი უკვე ყელში მქონდა ამოსული უარყოფითი როლების აღსრულება. ის ფილმი უჩემოდ გადაიღო და შემდეგზე დამიძახა. მივედი.  
 — აბა, ახლა ვინ არის მოსაკლავი, მოსა... ნავი, გასაყიდი-მეთქი.  
 გულიანად გაიცინა...  
 — ამჯერად საქართველოო, მიპასუხა და ჩრდილო კავკასიელი ბეგის როლზე დამამტკიცა „ნიგნი ფიცისაში“.  
 ერთხელ, ვეხუმრე, თქვენი დაღუპული ვარ, 35 წელი, მთელი საქართველო, კიკუ, კიკუს რომ მომძახის-მეთქი.  
 მე რას მერჩი, ოთარ იოსელიანს მოჰკითხე პასუხი, იმან დაგლუპა „გიორგობისთვეში“.  
 ნიჭიერი კაცი იყო, განათლებული, ჭკვიანი, იუმორითა და წინააღმდეგობებით აღსავსე, მხარში ამომდგომი, სხვისი წარმატებით გამხარებელი, სხვისი კარგის დამნახავი და დამფასებელი. მოღვაწე იყო,

საზოგადო მოღვაწე, ახლა ასეთები, თითქმის აღარ არიან...  
 ერთხელ, სუფრასთან გვიანობამდე შევრჩით, საქართველოზე ვლაპარაკობდით, სიკვდილ-სიცოცხლეზე. სიკვდილი ყველას მინად გვაქცევსო, თქვა ერთმა, სიკვდილს თვალის დადგომია, მთავარია, როგორ იცხოვრებ, რას დატოვებო, განაგრძო მეორემ, ყველა საქართველოს მინად ვიქცევითო, დაამატა მესამემ, მერე იმ მინას რომ დაიფიცებენ ჩვენ დაწავიცარის ნაწილი გავხდებითო, დაასრულა არ მახსოვს, ვინ, შეიძლება ბატონმა გიგამაც, ასე ვეძახდი მას ბოლომდე, პატივისცემის დასტურად...  
 მსუბუქი იყო მისთვის საქართველოს მინა...  
 რატომღაც მასთან ერთად კიდევ ერთი დიდი კაცისა და მწერლის, რეზო ინანიშვილის გახსენება მომინდა.



კადრი ფილმიდან „ნიგნი ფიცისა“



კადრი ფილმიდან „დათა თუთაშხია“

## რეზო ინანიშვილის საშუალებითი ფანქარები

„ლეჩკომბინატში“ მივედი მის სანახავად. ცუდად არ გამოიყურებოდა, ხასიათზეც მშვენიერზე იყო. გამომშვიდობებისას მაგიდაზე ფანქარი, ჩვეულებრივი ფანქარი შევნიშნე, ოღონდ ცოტა უცნაური. ბოლოზე პატარა, მოვარდისფრო საშუალები ჰქონდა მავთულით მიბმული. რა არის-მეთქი, დავეკითხე. ამით ვწერ. რაც მომწონს ვტოვებ, რაც არა და ამ საშუალებით იქვე ვანადგურებო, მიპასუხა.  
 გამეცინა. ვერ წარმოვიდგინე, როგორ შეიძლებოდა იმ „არაჩვეულებრიობების“ წერა ამ უბრალო, პრიმიტიული, თვითნაკეთი „ხელსაწყოთი“?!

იმ დროს უცხოეთში მოგზაურობა ფუფუნება იყო. რუსთაველის თეატრი ხშირად დადიოდა გასტროლებზე. მოვაკელი ცოტა ჩემს დღიურ თექვსმეტ დოლარს და სამი „ფირმენი“ საშუალებიანი ფანქარი ვუყიდე...  
 ... მაგრამ დამაგვიანდა, ვერ მოვუსწარი. დროც იყო არეული... და ამასობაში რეზოც შეუერთდა მარადიულ საქართველოს.  
 დავრჩი ამ სამი საშუალებიანი ფანქრისამარა, თუ მის საოცარ პროზას არ ჩავთვლით.  
 — ვერაფერი მომიხერხებია მათთვის, უკვე რამდენიმე წელია, წვავენ და აფორიაქებენ სულს, გულს, კარადას — სადაც მილაგია...  
 ერთი პირობა, ჩემი საყვარელი პროზაიკოსებისათვის მინდოდა მეჩუქებინა. ისინი ზუსტად სამი არიან, მაგრამ ერთი კალმით წერს, მეორე საბეჭდი მანქანით, მესამეც, თქვენ წარმოიდგინეთ, საბეჭდი მანქანით, ოღონდ გაცილებით ძველით. გადავიფიქრე, არ დავამძიმო ბიჭები-მეთქი.  
 ბავშვებისათვის ვერ გავიმეტე. საფლავზე წაღება გადავწყვიტე, მაგრამ ვერც ეს შეეძელი, შემეშინდა, ვილაღ მანანაღა რომ მისულიყო და, როგორც უბრალო ფანქრები, ისე წაეღო... ჰოდა, ვარ ამ გასაჭირში...  
 ახალგაზრდა მწერლებისთვის მინდოდა მიმემართა, იქნებ ვინმე საშუალებიანი ფანქრით წერო, გამომეხმაურეთ-მეთქი...  
 გავჩერდი.  
 კომპიუტერის კლავიშებს ისე ათამაშებენ, როგორც რიხტერი — როილისას. ეგ არაფერი, ფანქრებს მოეწელება...  
 ნიჭიერი კაცისთვის ფანქრების მიყვანილობა არ დაილევა ამ დალოცვილ საქართველოში, ოღონდ რეზოსავით წერონ და...

„მიყვარს ყველაფერი ძველი, მიყვარს ყველაფერი სადა...“



საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია და გაზეთ „ლიტერატურული საქართველო“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ **გიგა ლორთქიფანიძის** გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

# სიყალბის ავოკატი ბრძელდება (მწერალთა კავშირის ყრილობის ირგვლივ)



მწერალთა კავშირის 23-ე ყრილობაზე ამტყდარი ვენბათაღელვა ვერა და ვერ ჩაცხრა იმის მიუხედავად, რომ კავშირის ხელმძღვანელობამ უკანონოდ ჩატარებული არჩევნების გაუკუღმართებული შედეგი რის ვაი-უშველებლით დაიკანონა. თანამდებობებისა და პრემია-პრივილეგიების შენარჩუნების შემდეგ უფროსობამ აჯანყებულთათვის ფრიად საფუძვლიანად მოიცალა და მღელვარე გამარჯვების აღსანიშნავად ძლევამოსილი საგაზეთო იერიში წამოიწყო. როგორც ჩანს, ზემდგომიდან სმენილი, რომ „გამარჯვებულებს არ ასამართლებენ“. აქედან გამომდინარე, „ოპორტუნისტთა“ ჯგუფის ამბოხს თუ მოითმენდნენ და დროულად არ ალაგმავდნენ, მწერლების მხარედაც პროტესტი მათთვის არასასურველი მოვლენების განვითარებას დაჩქარებდა. ამიტომ ვერ მოინდულს ყრილობაზე გამართული სამარცხვინო არჩევნების ამბავი საქვეყნოდ რომ გახმაურდა და „მტრის“ შესამუსრად „უძლიერესი ფალავანი“ დაიხმარეს.

მიზეზი სწორედ ეს ერთადერთი და განუყრელი ადამიანი ყოფილა და ამდენად, შეთქმულთა ჩაჩუქება-შერისხვაც მას დაეკისრა. ზემოთხსენებმა საჭირობოლო საკითხების განხილვის ნაცვლად საერთო სატიკარის არსზე პირში წყლად ჩაიგუბეს და შეთქმულებს დასტა-დასტად დაწყობილი „ბრალდებები“ წაუყენეს. სიტყვის ბანზე ავლება და მთავარი მოვლენის მორეზარისხოვანი წვრილმანებით გადაფარვა დღეს მწერლებმა კი არა მეზოვევებმა უზადოდ აითვისეს. ასე რომ ნაცადი ხერხი „გაღმა შეედავე, გამოღმა დაგრჩებას“ ყავლგასული ფანდი რა ხანია საშვილთაშვილოდ მოძველდა. ბუნებრივია, ამ „ფალავანის“ დემაგოგიურ მონაჭორს არც გამოეხმაურებოდი, მისი „მართლმეტყველების“ ორბიტაში ჩემი სახელი არ გვარი რომ არ მოქცეულიყო. ყალბ არჩევნებზე ერთი წერილი უკვე დავწერე. რადიოგადაცემასაც არ დავრიდებოვარ. მოკლედ, ჩემი ვალი პირნათლად მოვიხადე, მაგრამ ბრძოლის უნით ატანილმა „ფალავანმა“ თავის გამოჩენა პრესის ფურცლებზეც მოიწადინა, რომ იტყვიან თავი გამოიდო და რადგან ყრილობის თავმჯდომარის მიერ „მხილებულ“ ურწმუნო თომათა მარაქაში მეც ვაკვირე, (გმადლობ უფალო! მართალია მწერალთა კავშირის ვერცერთ პრემიას ხელი ვერ გამოვკარი, სამაგიეროდ ურწმუნო თომას ტიტული ჯაფითა და ხმაურიანი პროტესტით ნამდვილად დამსახურებულად მოვიპოვე!) უხერხულია უფროსობისთვის პასუხი დავადლო. ჩვენი დროის თავმჯდომარეს სიტყვას ვინ დაუჭერს?!

უფალი გოგიაშვილი სტატიის დასაწყისში ბრძანებს, რომ სამასკაციან დარბაზში ერთსულოვნება სუფევდა. ჯერ ერთი, სტატიისტიკური მონაცემების თანახმად (რომელსაც სხვათა შორის თვითონვე ადგენენ) ყრილობას 247 დელეგატი ესწრებოდა. სიზუსტე გაუგებრობის თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებაა. მოგეხსენებათ, აქვე განმარტავ, რომ ჩემი პატივისცემისა და კოლეგიალობის მიუხედავად, არც ბ-ნ ზაურ კალანდაის მომხრეთა „დასაში“ ვირიცხები და არც დანარჩენი მწერლების „განდევითა ლოყას“ ვეკუთვნი, მათთან საერთო ნაცნობობა მაკავშირებს. ჩვენი შეხედულებები მწერალთა კავშირში არსებულ ვითარებაზე ერთმანეთს ემთხვევა. თუ ეს დასაძრახია და სასჯელს ითვალის-

წინებს, თავმჯდომარემ ფაქტებით დაასაბუთოს. წელიწადში რამდენჯერმე რომელიმე კოლეგას შემთხვევით ღონისძიებაზე თუ შეხვდები, მორედ მოსვლა ყოფილა. უკვე ესეც აიკრძალა? წინდაწინ გაგვაფრთხილეთ ვის რაზე და როდის ვესაუბროთ. იმედია კანონში შესაბამის მუხლს უჩუქრად არ გააპარებთ და მერე ფარისევლურ მოქმად-გოდებას არ გააჩაღებთ, აქაოდა უნებლიეთ შევცოდეთო.

შესაბამისად მწერალთა კავშირზე რა ხანია საკუთარი შეხედულება გამაჩნია. ჯერ კიდევ 2000 წელს გამოვაქვეყნე სტატია „ოტარადი“ ყუმბარად რომ აღიქვით. ეს წერილი არც თუ შორეული ეპოქის არქივში ინახება და თუ თავმჯდომარე მხოლოდ თავისთან შეხმატკბილებულ-შეამხანაგებულ ორიოდ გაზეთს სწვალობს და დანარჩენ პრესას ნაკლებ ყურადღებას უთმობს. ეს ჩემი, მით უფრო საზოგადოების გადასახადი ნამდვილად არ არის!

საქმეში ჩაუხედაობა ჭორის გავრცელებას უწყობს ხელს, ხოლო როცა ცნობადობაზე აცხადებ პრეტენზიას ოპონენტების პოპულარობის ხარისხს ცინიკური ადგებით წარმოაჩენ, პიროვნული შეურაცხყოფის ნაცვლად უმჯობესია ფაქტებს დაეყრდნო, თურმე ქვეყნის დედაქალაქში (ბათუმსა და ფოთზე რომ აღარაფერი ვთქვათ) მარტოოდენ მას, გ. გოგიშვილის თაყვანებთან, მისი მქუხარე სახელის წინაშე ქედს იდრეკენ და ჩვენ კი არა ამასთან კლასიკოსების ღვაწლი რა მოსატანია!

როგორც ჩანს თავმჯდომარემ ამერიკული თვითრეკლამა დროის კარნახით უმაღაიტაცა, მისი მხარდამჭერებიც მსგავსი „მოკრძალებით“ ტოლს არ უდებენ. ჩვენმა „ფალავანმა“ ყრილობის გახსნის დროს აკი თავი ვერ შეიკავა და შეკრებილებს ცუდად შენიღბული მედიდურობით შეახსენა ჩვენი დასახელება პრემიების ჩამოთვლით ხომ არ დავიწყეთ. უთუოდ მეამბოხეებს გადაკრა, ეგებ ჩინ-მენდლების ბრჭყვიალმა გავტრას და არჩევნების მოთხოვნა უვადოდ გადასდონო. იქნებ „ცნობადობით“ იმიტომ ვერ დავიკვივნი, რომ კასტრუთი ტიპის რედაქციებში მოწვევლების სათხოვნელად საათობით არ ავტუზუღვარ და პოპულარობის მოსაპოვებლად სინდისსა და თავმოყვარეობაზე ხელი არ ამიღია.

დერეფნებში უსაშველო ყურყუტი იმ ძველი, „დალოცვილი“ დროის მონატრებაა, რომელსაც წესით მწერალთა კავშირის მესვეურნი ყბადღებულნი რეფორმის გატარებისთანავე უყოფმანოდ უნდა გამოთხოვებოდნენ, მაგრამ საქმე უარეხად ჩახლართეს. თავისი ელექტორატის (ეს მოდური ტერმინი მათ ზედმიწევნით ესადაგება) რეკლამითა და დაფორთიანებით ვართულ ხელმძღვანელობას „განდომილები“ რა თქმა უნდა გულზე არ ეხატება. მათი საქციელი აღაშფოთებს. აი, ძველი ინერცია სად მივიწვინებო! მისაღმებთაც მხოლოდ თავისიანებს ესაღმებთ და უდიმიან. ვისაც თავს დაუკრავენ ან თითს დაუქნევენ, ამ მოუწყობელ ქვეყანასა და კავშირში მხოლოდ იმისი საქმე ეწყობა. კოლეგების დასმენითა და დაბეზლებით, ჭორების მიტან-მოტანითა და ინტრიგების ხლართვით პოპულარულიც უცებ გახდები და ჩქაროსნული წვიგების გამოცემაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ტრიუმფალურ დასვენება-მოგზაურობისადაც დაუბრკობლებლად გამოჰკრავს ხელს. რა გასაკვირია, თავმჯდომარეს არ ვეცნობოდე. მე უფროსობის გამომცემლობებისა და რედაქციების კარი არასდროს მიმტვრევია და მწერლობაშიც მხოლოდ საკუთარი ნიჭისა და რწმენის მეოხებით დავმკვიდრდი.

ცნობისთვის დავაზუსტებ: ყრილობაზე კავშირისთვის თუ საპატრიარქოს ავტორიტეტის მოშველიება წონას მატებს, ჩემს ლიტერატურულ გადაცემებს (რომელსაც სხვათა შორის მთელი საქართველო უგდება ყურს), რადგან საპატრიარქოს რადიო

„ივერიით“ გადაიცემა, ამათი ვარაუდით ვითომ ფასი ეკარგება?!

რადგან სტუდიაში ე. წ. ცნობადი გვაქმები ერთხელაც არ მოვიწვიე და გუნდრუკი არ ვუკმე. მათი მტკიცებით ჩემი რეიტინგი ძალადაკარგულია?! ქართული მწერლობის ავტორიტეტს ამგვარი მიკერძოებული ლოგიკა აკნინებს.

საკუთარ თავზე კრინტსაც არ დაეძრავდი, მაგრამ ამათ კავშირში ჩასატარებელ რეფორმაზე პიროვნული აზრის გამოთქმა მორედ მოსვლად აღუქვამთ და ჩვენს „დასამარცხებლად“ ბეჭდაულებელი „ფალავანი“ გამოუგზავნიან! ახლა, როცა საარჩევნო ციბე-ცხელება დასრულდა, კოლეგებს გულახდილად გაესაუბრეთ. ამას წინ რა უდგას?

რადგან ნარცისით თავს საჯაროდ არ ვიქებ, თავი ვერ დავამახსოვრეთ?! მიტინგებზე სიარულს რაც შეეხება, იქ, თქვენი უფროსები სხვებზე ხშირად დაიარებიან (იქ მისვლა როდის აქეთ აიკრძალა კავშირის წევრებისათვის?) და ამაში საგანგაშოს თუ ხედავთ, ჯერ მოყვარეები დააკავეთ და გადაარწმუნეთ პოლიტიკოსებს თავი არ გაუყადრონ, მერე ოპონენტებს უეიჟინეთ ამ „ცოდვისაგან“ თავი მოიზღულდონ. თანმიმდევრული მსჯელობაც ერთ რამედ ღირს! ჰკითხეთ კავშირის წევრებს (მე არ ვიცი და არც მაინტერესებს ვინ ვის ბანაცხვია) ეგებ მათთვის მეც რაღაც გამოიკეთება ქართულ მწერლობაში ოდნავი წვლილიც შემიტანია, თქვენთვის უცნობ თუ ნაცნობ გაზეთებს ხელმძღვრები რომ შევძინე და დახურვას გადაურჩენ. დაჰკითხეთ მწერლები და თუ ნებით არ გამოტყდებიან რათა დამძიმებულ ვითარება უარესად არ გაამწვავონ. ოღესმე შეიტყობთ ეროვნული საქმე ვის დემოკოგიური ლაყაფოთა და ვის უანგაროდ უკეთება! უტყუარ ფაქტს სად წაუხვალთ? პრესას თუ არ ცნობთ ეგებ ოღესმე მოიცალოთ და გადაცემებს მოუხმით, მაშინ დალაგეთ ვინ რისი მაქნისა და რისი უნარი შესწევს.

კავშირის „შემთხვევით“ წევრობას ვის ამდლებთ?

2004 წელს ახალგაზრდებს ჰამლეტის მამის ანრდილივით თქვენი უფროსობა ყველგან წინ არ ეხვეტებოდა? ვიდაც ხელს არ გაძლევთ, უკვე „დაგაიწყდათ“? სხვათა შორის თქვენს მეცნიერებს ჰკითხეთ და გეტყვიან, რომ მე უახლესი ქართული ლიტერატურის მკვლევარი ვარ და ამდენად ჩემი უშუალო პროფესიული მოვალეობაა შთამომავლის სიმაართლე შემოვუნახო. სინამდვილე სიტყვა-სიტყვით მივარდო რათა თანამედროვე ქართულ მწერლობაზე მიუკერძოებელი შეხედულება შემუშავდეს, სხვადასხვა საბუთებისა და უტყუარი ფაქტების შეჯერება-გადამოწმებით, დამოუკიდებლად, თავმჯდომარეებისა და დამხმარე პერსონალის ჩარევის გარეშე შეიქმნას ქართული მწერლობა რითი სუნთქავს, როგორ ვითარდება, რა უჭირს ან რა უხლხნს.

მწერალთა კავშირში ახალგაზრდულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები თვითონ მიგვიწვიეს და როცა ვიდაცის მომხრის ანრდილმა სიტყვა პროოკაციულად გამაწყვეტნა (ეს განხაურებული ფაქტი პრესამ აირეკლა და ამაზე აღარ შეგჩერდები). დარბაზი ერთსულოვნად მომეხრო და ლექსების წაკითხვის შემდეგ მრავლისმნახველი ჭერი ხანგრძლივმა ტაშმა შეარყია. იმ ღირსშესანიშნავ დღეს ყველასთვის პატივსაცემმა პოეტმა ტარიელ ხარხელაურმა მთხოვა მწერალთა კავშირში შევსულიყავი. თავისი კეთილგანწყობის დასადასტურებლად „დიახის“ მიერ გამართულ ლიტერატურულ შეხვედრებსაც ხშირად დასწრებია. ჰკითხეთ ბატონ ტარიელს, ეგებ რეკომენდაციის თაობაზე იხურონ? ბატონი დავით ტაკიძე თქვენთვის უცნობი „დიახის“ შესახებ ტელეფურნალისტს არწმუნებდა, რომ „დიახის“ ქართული მწერლობის სუფთა ეროვნული ნაკადია.

თქვენივე წევრებს რამდენად ენდობთ, ცალკე საკითხავია.

ბატონ ტარიელ ხარხელაურს ისიც ჰკითხეთ, ჟურნალ „ლიტერატურისა და ხელოვნების“ რედაქტორად როცა აირჩიეს, ერთხელ მაინც თუ შეგაწუხე. იქ დატრიალებული ამბები კარგად მომხსენებოდა (ყურები კვლავმაც გამოისხეს ჰონორარიანი რჩეულები თვითონვე ჰყვებოდნენ მიღწეული რა დამცირების ფასად უჯდებოდათ!) თვალსაჩინო პოეტი მოსალოდნელ უხერხულობას ავარდევ, მხოლოდ საკუთარ თავმოყვარეობაზე არ მიზრუნია. თქვენნაირების ნება რომ იყოს, სუნთქვასაც დაგვიშლიდით, შემოქმედებითი ნიმუშების გამოქვეყნებას ვინ დაეძებს, მერე ნიშნ როგორ მოვიგებდით დედაქალაქშიც არავინ ვიცნობთ. თანამოკალმეების ლექსები და მოთხრობები ზედმეტად რომ გებეჭდათ! აი, ამგვარ „სამართალს“ იცავთ და ამკვიდრებთ თავგამოდებით!

„მწერლის გაზეთში“ ჩემი ლექსები ხუთი წლის მანძილზე ორჯერ გამოქვეყნდა. კავშირში როგორც ჩანს, (გაწვერიანებამდე კეთილგანწყობის ნიშნად) მორედ – უკმაყოფილო ადამიანების თვალის ასახვევად, აქაოდა ახალგაზრდებს გზა გაუუკაფეთო!

ერთადერთი კაცი: დიდი პიროვნება და პოეტი შალვა მჭვლიძე იყო, ვინც თავისით ჯერ კიდევ 1997 წელს მოგავგონო, მხარში ამოვივინა და 2004 წლის ყრილობაზე ხმამაღლა განაცხადა: „კავშირის გადასარჩენად ახალგაზრდებს გზა გაუხსენით!“ დიას, ამ ისტორიული სიტყვის ავტორი ხეობობობის სახომი გახლდათ და საქართველოს სიყვარულის გამო საშუალოდ გადასახლებაში იტანჯებოდა. იგი სიმართლისთვის ეწო და „დიახის“ საპატიო წევრობაზე უარი არ უთქვამს, რადგან ჩვენი არც თანამდებობა აინტერესებდა და არც ჩვენს ფინანსურ კეთილდღეობაზე ამყარებდა იმედს. მისი ჩანაწერები გადაიკითხეთ, დღეს-ხვალ კლასიკად იქცევა და ეგებ მას მაინც დაეჯერებოდეს ვინ რას იმსახურებს და იმსახურებდა! იმედია, ადამიანების შეფასებისას ნაკატორდალ პოეტზე მეტ ადლოსა და გამოცდილებას მაინც არ დიჩეებთ!

ვისი შეხედულებაა უფრო სანდო და დამაჯერებელი, ამას მკითხველი თავად მიხედება!

კავშირში გაწვერიანებამდე შერჩეულ კანდიდატს წინდაწინ პოეზიის საღამოს უმართავდნენ, გზას ულოცავდნენ, კოლეგებს აცნობდნენ. ჩემ შემთხვევაში რატომაც ეს წესი დარღვა, მაგრამ ამ გარემოებას არ გამოვიკიდებოვარ. სიტყვამ მოიტანა და ახლა ვახსენე. საკუთარი საღამოსის გამართვის უნით არა ვარ შეპყრობილი და ეტყობა თავი იმიტომ ვერ დავამახსოვრეთ. 2 წლის წინ მშვენიერი პოეტი ქალის ინციტაციით გადაწყდა ჩემი შემოქმედებითი საღამო მწერალთა კავშირის შენობაში გამართულიყო, თანამოკალმეებმა ეს აზრი მოიწონეს. ზოგი მეხუმრა კიდევ, ამდენი ხანია მწერალთა კავშირის წევრი ხარ და შენი საღამოს გამართვა როგორ არ მოგაფიქრდა... მაშინ გამეცინა. არავის არაფრით ვაწუხებ და ჩემ საღამოზე თავის გამოდება მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. როცა არაფერს ვთავაზობენ, რატომ უნდა მიეძლო? ხეყნა-მუდარა არ მომდევს, რადგან საქმის კეთებისას მთავარია ყველაფერი ნებაყოფლობით, გულით და დაუყვედრებლად, რაც მთავარია, სხვისი კარნახისა და ბრძანების გარეშე ვაკეთო. სხვაგვარად საქმე უფასურდება. მე ამგვარ გარემოში გავიზარდე და შესაბამისად, იმავეს ველი. სიტყვის გატყვება რა მოსატანია, მეც ხუთ წელიწადში აქ დავინახე, მაგრამ ხმა არ ამომიღია, შინაური ამბები გარეთ არ გამომიტანია. არჩევნების დროს მოთმინებით ვუცდიდი.

მოკლედ ბოქლომდადებულ დარბაზს ავიწინაგომობით შევაჩერდი, ომის ქარცეცხლი სწორედ მაშინ ავარდა!

ხელმძღვანელობა სიტყვიერად ქართული მწერლობის ისტორიულ შენობას „ათასი

ლიტერატურული საქართველო

ჯურის კონსოლიდირების თუ კაცობრივი ხელისუფლებისაგან კბილებით იცავდა... საქმე საქმეზე რომ მიდგა, მათივე წევრს კომუნარებზე ვინ გადასჯის? ჩვენთან შეუთანხმებლად საღამოს დაგვეკავა როგორ გაბედ, ეს ძვირად დაგივალდა!

სხვათა შორის იმ მანდატის ჩამორთმევითა თუ გაუქმებით დამუქდნენ, დღემდე თვალთვალს რომ არ მინახავს და რომლის ყდაზეც უფროსობის „ერთგულების“ ფიცის დადება არ შეიძლება!

ასე რომ, თავმჯდომარის უღმრთო განაჩენი უმანდატო და მანდატის მწერლების კატეგორიულად დაყოფის თაობაზე გზამკვლევა ნამდვილად არ გამოდგება!

არც ის გეგმები, იმავე დარბაზში საზოგადოების გასაგონად თქვენზე ახლობლებმა ხმადასმულად რომ წამოგაყვირეს: „მწერალთა კავშირი თავისი რესურსებით იმის მეორედ რატიმ არ აკეთებს, რასაც ლიტერატურული სალონი „დაიხის“ სხვების დაუმარებლად (ხელის შეშლა დახმარებად ჯერ კიდევ არ ითვლება?) ახერხებსო“. ამის დამადასტურებელი ფაქტები არსებობს, შეხვედრა ვიდუფრებო აბეჭდილი და სურვილის შემთხვევაში შეგიძლიათ ნაცნობთა არქივში მოიძიოთ. თუ ჩვენს „ცნობადობაზე“ ირონიულად გეღიმებათ, „მწერლის გაზეთი“ საიდანაც ახლა რიხით გვაძუნათობთ, საქმეები ახრი რატომ დაბეჭდვით? პატრიარქული მწერლისა და კრიტიკოსის ბატონი შალვა ამინაშვილის ჩანაწერი როგორ „გამოგეპარათ?“ მან მართლაც დიდი შრომა გასწია და თანამედროვე მწერლებზე არაერთი მოგონება და მოსაზრება ჩაინიშნა.

ანბანის რიგის მიხედვით არც ერთი ავტორი უყურადღებოდ არ დაუტოვებია (რაც მის შინაგან პატიოსნებასა და გულისხმიერებაზე მეტყველებს) და როცა ვერ ჩემზე მიდგა, აღნიშნა, რომ სანამ ჩემი პოეტები ჯერ კიდევ არსებობენ, საქართველოს გადაშენება არ უწყობს! ეს პუბლიკაცია მოიძიეთ ბატონო ჩემო, თორემ უდღეურ ჭორებზე დაყრდნობით თავსაც სასაცილოდ იგდებთ და თქვენი პრესის ორგანოსაც ავტორიტეტს უღასნავთ. თავდასახმის დროს მოწინააღმდეგის ძალას ნაპოლეონიც ითვალისწინებდა. ასე რომ, ფაქტებით იხელმძღვანელოთ ტენდენციურობაში რომ არ გამოხდეთ! ეს ჩემგან არ უნდა გასწავლებოდეთ, ასაკი ადამიანს წესით მეტ გამოცდილებასა და წინდახედულობას სძენს.

თქვენეული „ტაქტის“ ნიშნში კოლეგების დახასიათებისა და გაბერებულ ფურის ეპითეტს იქით არ აღწევს. ბრავო! ამგვარი „შეფასება“ ვის „ვაჟაკობაზე“ მეტყველებს, ცხადზე უცხადესია!

რომელი ფური მეტს იწველის, ამის დადგენა შთამომავლობის მიხედვით, მართლაც კი ნუ წარმოიდგენთ, რომ ცისქვეშეთში ყოველივე ყრილობის თავმჯდომარის გადასაწყვეტია. ამ საქმეში ხელმძღვანელის პოსტი და თანამდებობით საზოგადოების დამინება საბოლოოდ ძალიანაც რომ ეცადოთ, თქვენს სასარგებლოდ არ აისახება.

ცალკეულ პირთა მიმართ გაწეულ შეღავათებსა და ნაცნობობით ჩამორიგებულ პირების სიმრავლეს დრო არ ცნობს. მასზე კასტური (ე. ი. ადამიანური) ზემოქმედება არ ჭრის. ესეც ანბანური ტექნიკით და დასაწინაა თავმჯდომარის მსახურალი მხერა ფამის უჟამობასაც თუ დაუდევრად აირეკლავს. რას ვიზამთ! ვინ დღევანდელ დღეს უწყობს ფეხს და ვინ დროის მიღმა იცქირება. არჩევანის უფლება წესით ყველას გააჩნია და თქვენ ეს უფლება საჯაროდ რომ წაგვართვით, დაფნის გვირგვინზე როგორდა ოცნებობთ?!

ჩაგეტარებინათ სამართლიანი არჩევნები, ყრილობას წესისამებრ გაძლოდით და უბატონოდ ხმას ვინ გაგვემდით? აბა, ვის რაში აინტერესებს კავშირის იერარქიულ წყობაში ეს თუ ის წევრი რომელ საფურსს რის გამო ებღაუჭება?

მწერლებსა და მთელ საზოგადოებას კავშირის მომავალი ადარდებს, და თუ იგი ქართული მწერლობის განვითარებას ხელს უწყობს ადვილად, მატროსოვივით სულ რომ გადაფაროთ, მის დამლას მინც ვერ შეაჩერებთ! საფუძვლიანი ცვლილებების გარეშე კავშირს გადარჩენა არ უწყობს! კრიზისის გახანგრძლივება ხელს ვის აძლევს, უკვე გარკვეულია და ამ თემას აღარ განავრცობს.

როგორც იქნა, მთავარ სათქმელსაც მივადექი.  
ცილისმწამებელთა დამუნათებელ თავმჯდომარეს ღმერთი გაწყობია და ყრილობის დარღვევებზე საუბრისას (შეკითხვა ღია და ფარულ კენჭისყრას შეეხო. კენჭისყრა ჩაიშალა და ა. შ.) კორესპონდენტს რიხით ამცნობს“.

„ – როგორ გეკადრებათ „დაიხის“ ხელმძღვანელი „ჯანდაბისფერი მზის“ ავტორი (ნეტავი ვინმეს თუ წარმოუდგენია, რა ფერისაა ჯანდაბა და მერე იმფერი მზე?!) იმასაც ამბობს, განსხვავებულად მოაზროვნე მწერლებს სიტყვის თქმის უფლება რომ მოეპოვებიან და თავიანთი აზრი გამოხატა, ლამის დიდგორის ომის გადახდა მოუხდათ. არადა თვითონ ზაურ კალანდია ორჯერ გამოვიდა ყრილობაზე. სიტყვა არ შეუწყვეტინებიათ შარლოტა კვანტალიანისთვის. „ჯანდაბისფერი მზის“ ავტორ ქადაგიმეს მე პირადად ვთხოვე გამოსვლა და აშკარა უარი განაცხადა და ჯანდაბის გზას გამიყენა...“

ჯერ ერთი, „ჯანდაბისფერი მზე“ თუ გოგიაშვილის წარმოსახვაში ვერ თავსდება, კომპლიმენტად უნდა მივიღო, რადგან ჩემი რომანი ერთმნიშვნელოვანი ჭორების გადაძვრება როდია, არამედ „ახალი თაობის“ სულიერი დოკუმენტი, კიდევ ერთი საგულისხმო ხედავ“ (ეს ცნობილი მწერლისა და მეცნიერის როსტომი ჩხეიძის წინადადებაა). მაგრამ ინტრიგისმოყვარულ თავმჯდომარეს რომანის არსში წვდომაზე მეტად ცინიზმი ამოძრავებს და „ჯანდაბისფერი მზე“ იმეგარ კონტექსტში ახსენებს, ხელზე ისე დაუხვევია, თითქოს წიგნი ეროვნული ცნობიერების შენარჩუნება-გადარჩენაზე დამატებულ ფიქრს კი არ შეიცავს, არამედ მორიგი მკრეხელური ნაცოლდლარია და ბატონი თავმჯდომარეც მზად არის უმიზეზოდ ათვალწუნებული რომანი (რომელიც სხვათა შორის ახალგაზრდების საყვარელი საკითხავია და დადებითი შეფასების დანაკლისსაც არ განიცდის) ცეცხლს მისცეს. ამგვარი შემართებით გრაფომანებს რატომ არ აკრიტიკებს, როცა რუსთაველიდან დაწყებული გაულანძღავი აღარავინ დატოვებს?! მათი ძვირფასყდიანი „ბესტსელერები“ გაკლენიან პატრონებზე რომ გაჰყვრიან, იმიტომ ერიდებით? წაუკითხავი წიგნის განქიქება სადაური სამართალია? ზოდა თანამედროვე ინკვიზიტორს ვურჩევ იფფასიან დემოკრატიის მოეწვას! თუკი ჩემი შემოქმედება ასე სისხლხორცულად აინტერესებს, არ დავზარდები და დავაკვლიანებ. ეს-ესა გამოვიდა ჩემი პუბლიცისტური წერილების კრებულში: „ვის მივიღოთ ქართული მწერლობა?“ „სიმართლის დამცველს“ აქ ამოიკითხავ ვინ ვაქე და ჯანდაბის გზას როდის ან რა მიზეზით გაუწყენს! თავმჯდომარე ცნობისწადილსაც მოიკლავს და თანამედროვე ქართული კრიტიკის საქმის კურსშიც იქნება. მოკლედ, ორ კურდღელს ერთდროულად დაიჭერს და გზად ეგებ ჯანდაბისფერი მზის შეუცნობელი კონტურიც წამოშეშვლოს.

როგორც ჩანს, მისი მრისხანება „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტთან საუბრისას გამოვიწვიე. მაშინ განვაცხადე, რომ სიტყვის მოპოვების უფლება დიდგორის ომის გადახდას უდრიდა. ზაურ კალანდია ტრიბუნასთან მის გამო დიდხანს შეაყოვნეს. უსიტყვოდაც დატოვებდნენ თავმჯდომარე „ციკლის“ რედაქციის გამორჩენას ისე ენერგიულად აპროტესტებდა. დარბაზში ვითარება იმდენად დაიძაბა, ზურაბ ქაფიანიძის მკვექარე შეძახილი რომ არა: „კაცს ხმა ამოაღებინეთ“, ვინ უწყის თავმჯდომარე საქმის მოსაკვარახჭინებლად რა ფოკუსს გამოავლენდა! ნუთუ ყრილობის ჯაბოქარმა წამყვანმა რეგენდარული მსახიობიც ვეღარ იცნო? რა გასაკვირია, კავშირში ადამიანებს მხოლოდ სარფიანი თანამდებობის მიხედვით ცნობენ და აღიარებენ. ეგ კიდევ რა არის. მთავარი სიურპრიზი წინ მელოდია!

ბოლოს თავმჯდომარე დასძენს, რომ თურმე მე „ჯანდაბისფერი მზის“ ავტორს (ერთი უყურეთ ეს „ჯანდაბისფერი მზე“ როგორ ამინებს საგანგებოდ რომ აბრუნებს!) პირადად მთხოვა გამოსვლა, მე აშკარა უარი განაცხადე და ჯანდაბას გაუყენე. ეს მართლაც მეტისმეტია.

თავმჯდომარის ნათქვამი მტკნარი სიტყვა! გამოგეტყვებით გოგიაშვილის გაცნობის ბედნიერება ჯერ არ მღირსებია! ღმერთი, რჯული, ქუჩაში რომ შემთხვევით სადმე გადამეყაროს ვერ ამოვიცნობ, ასე რომ პირადად ვერ მომმართავდა! აშკარა უარის განცხადება რაღა უბედურებაა. დაე, ამ ყოველმხრივ გაუგებარ და გაუმართავ წინადადებაზე თავი თვითონ იმტვიროს.

როგორც ჩანს, თავმჯდომარეს ძალიანაც უნდოდა მისთვის აუხსნელი ჯანდაბისკენ გამესტუმრებინა, მაგრამ ტყუილსაც საზღვარი აქვს. გასაგებია, რომ ინტრიგა პროვოკაციით ჰამს პურს. მაგრამ ეს ჭარმაგი უფროსთაობელი ასეთ ცინცხალ, სახალხო სიცრუეს თუ იკადრება, ნამდვილად არ ველოდი! ფაქტია, კულუარებში ზურგსუკან გამართული საბრძოლო ხელოვნებით აშკარად მჯანდაბის სანამ მე „ჯანდაბისფერი მზე“ ვწერდი, ესენი ჯანდაბისკენ სავალს გვიკანონებდნენ!

დავიჯერო თქვენს ყველაფერს ჰოპულარობას თქვენი სახის დახეობის სურვილი განსაზღვრავს? გამოდის თქვენი ცნობა საყვარელია! ყალბი ყრილობის სცენარული თავმჯდომარე! პირადად არ გიცნობთ და საამისო სურვილი არც გამაჩნია. უაზრობაა გამოხსული სიცრუის გამო დულში გამოგვიწვიოთ. მით უფრო, პროვოკაციული ტყუილისთვის პასუხი მოგთხოვთ. (ასაკობრივი და სქესობრივი სხვაობა ჩვენზე ჯერ კიდევ ანგარიშგასაწევრი მოვლენაა) წაშში თვალთმაქცობის მორიგი ფიქრებზე ამოხეიქვს. ამიტომ სიმართლეს სახალხოდ ვამბობ: სიცრუეს მოეშვით! მადლობა ღმერთს პირადად არ გიცნობთ. ყრილობაზე სიტყვის თქმა რომ მდომოდა, გარწმუნებთ, თქვენთან ვერ შემაკავებდნენ. ჩემი მოსაზრება წინადადებში გაზეთში პატიოსნად და დაუფარავად გამოთქვი. ყრილობის ჩატარება არც დაგეისზრებოდით როცა მტკივნეულ თემას ჯერ კიდევ წლის დასაწყისში რამდენჯერმე გამოვეხმარე. არასდროს არსად დავმალეულვარ. ყელშიც ამიტომ გეჩხირობით. სიყალბის ალღუმზე შემთხვევით რველუციონერობას არასდროს დაგვეკრიტიკებოდა და მწერლურ მრწამსს ცრულაგებობითა და ცილისწამებით კი არა, ეროვნული საქმით ვიცავ და ვამტკიცებ!

კორექტულობისკენ მოგიწოდებთ! ვინ მოგცათ უფლება განმისაზღვროთ რას ვიტყვი? მით უფრო ცილს რა სინდისით მწამებთ? ფინანსურ პრობლემებს როდის შეგეხებოდა. ერთი მაგალითი მოვიყვანოთ მაინც ვინმეს სალაროში თუ ვინჩრიკები ან ყბადაღებულ ფულს გაფაციცებით ვუთვლი?

მწერალთა კავშირში არასოდეს არავისთვის არაფერი მითხოვია (ერთადერთი წერილის დაბეჭდვის გარდა, რომელიც რედაქციაში უგზოუკვლოდ „დაიკარგა“) ასე რომ, არავის ვალი არ მაღვს! მე ქართული მწერლობის დირსება მტკიცავ და უწინარესად აქ ამის გამო შემოვედი, რათა თქვენთან ურწმუნო თომებს თვალნათლივ ეხილათ, რომ ყველა არ იყიდება, ყველას ვერ გადაიბირებ და შიმშილით სულიც რომ გზდებოდეს ისე არ დაეცემა. ყველასგან გაყვლეული კავშირის დღეინადგავს ვაგვლო მილიონებსა თუ მოჩვენებითი აკურატულობით გამოწერილ მსუყე ხელფასს ედავებოდე!

მწერალთა კავშირის ფინანსური მდგომარეობა ადრე თუ გვიან გაირკვევა დირსების აღდგენას კი პრემიებითა და მილიონებით მაინც არაფერი ეშველება. ამას წყალი არ გაუვა!

არ ვიცი ფინანსებსა და პრივილეგიებს ვინ რა დოზით დაჰკანკალებს ეს ჩემი გასარჩევი არ არის. ფინანსურ მაქინაციებზე დარდით ვინც ათენ-აღამებს, იმას მოპოვებთ. ერთი კია, ამდენი წლის მანძილზე სადავო საკითხები რატომ არ გადაიჭრა? თუ კომისიის წევრებად კვლავ ნაცნობი ადამიანები მოვევლინენ, ძნელი მისახვედრი არ არის აწეწილ-დაწეწილი საქმეების მოგვარებას რატომ არ დაადგება საშველი! მწერალთა კავშირის შიდა განხეთქილებითა და გარედან თავსმოხვეული ომის ქრტიხილით გაჭირვებაში გამობრძმედილ საზოგადოებას ამაოდ აშინ-აფეთებთ. კავშირმა შექმნის დღიდან უამრავი უბედურება იწვინა და ეპოქალურ კატაკლიზმებს ახლავ ვერ აიცდენს. წიგნებზე ჯერჯერობით ხელი ჩვენც მიგვიწვდება და კარგად ვიცით, კავშირი ვისთვის ოქროს საბადოა,

ვისთვის საძალდე. აქ ვინ ლოცულობდა, ვინ სისხლს ანიხევედა და ვინ ანდერძად იბარებდა ოღონდ მწერალთა კავშირის სასახლიდან არ გამომასვენოთ!

ისტორიის გაყალბება კავშირის შენარჩუნების გარანტი ვერ იქნება, სანამ უამრავი ადამიანის სამართლიან პროტესტს ბუხის ბუხილადაც არ გაასაღებთ.

ამბობებულებს ცრუთავაზიანობით „სხვაგვარად მოაზროვნე მწერალთა ჯგუფს“ რომ უწოდებთ და მცირერიცხოვნებას უკეთინებთ, მართლა გვერათ, რომ ყრილობაზე მომხდარი ფარსით მხოლოდ 4 კაცი აღმოფოთდა? ე. წ. „ოპორტუნისტმა“ მწერლებმა ზაურ კალანდიამ, შარლოტა კვანტალიანმა, ვახტანგ ხარჩილაძემ, ბალათურ არაბულმა და კობა არაბულმა (მგონი ქართულ მწერლობაში არც თუ ხელწამოსაკრავი ხალხია) ნაწერები რომც არ დამიბეჭდონ, ხალხის გასაგონად არ უნდა ითქვას, რომ ზაურ კალანდია ძალიან ვაუკაცურად მოიქცა, ილია ჭავჭავაძის პრემიაზე უარი რომ განაცხადა, ეს პროტესტი არ ვახლავთ? როცა ამგვარი ფაქტი ხდება, მაშინ მაინც დაფიქრდით, თქვენზე ვწერს ნიშნისმოგების ნაცვლად ადამიანურად მიმართოთ. არცერთ მათგანს მსგავსი არაფერი უკადრებია პრესის ფურცლებზე. შეგვეუთო, რომ ჩვენ ერთმანეთის შეურაცხყოფაში კი არ უნდა შეგვევიბროთ ერთმანეთს, როგორმე საერთო ენა უნდა გამოინახოს, რაც თქვენ მიერ წარმოებული „პოლემიკის“ დროს პრაქტიკულად შეუძლებელია. ქალბატონი ლალი ბრეგვაძე ორჯერ მყავს ნანახი და როცა მას საეჭვოდ მიტმასნილს უწოდებთ, მარტვებში სისხლი მეყინება. თქვენზე ვწერებს რომ ასე დაუნანებლად იმეტებთ და ქოლავთ, მწერლობას რა დღეს დააყენებთ, უკვე გასაგებია! ყრილობას როგორ სამართლიანად გაუძღვებოდით, იმდენი ტყუილი დაახვავეთ! ჯობდა საკუთარი თავის სრულყოფისთვის მოგეცალათ.

ნებისმიერი კამათის დროს დამამწვევტი ადამიანობის შენარჩუნება!

თანამედროვე საარსელი კლასიკოსი ფორუე ფაროხზადი პოეზიაზე მსჯელობის თავის ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნავს, რომ „– მე ერთი რამეც მწამს და ესაა პოეტად ყოფნა ცხოვრების ყოველ წამსა და მომენტში. პოეტად ყოფნა, ე. ი. ადამიანად ყოფნა. მე ვიცნობ მაგანთ და მაგანთ, რომელთა ყოველდღიური საქციელი არაფრით არ უკავშირდება მათსავე პოეზიას. უკეთ რომ ვთქვათ, ეს ადამიანები პოეტები მხოლოდ ლექსის წერის მომენტში არიან. მერე იცვლებიან და ისევ ერთი ჩვეულებრივი, ხარბი, გაუმაძღარი, უსამართლო, გონებაწაღუნეი, შურიანი და საცოდავი კაცუნები ხდებიან. მე არ მჯერა მათი სიტყვებისა, რადგან ცხოვრებას ამაზე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ, ხოლო როცა ეს ხალხი თავის ლექსებსა და ნაწერებში გულში მჯიდს იცემს და რაღაცას გაჰყვირის ზიზღი მიპყრობს და არ მჯერა, რომ სიმართლეს ამბობენ...“

არ ვიცი თვალსაჩინო მწერლის მოსაზრება რამეც თუ გეუბნებათ.

ერთი რამ უდავოა და გადასინჯავს არ ექვემდებარება: ქართული მწერლობა ერთად აღებულ ყველა კავშირსა და გაერთიანებაზე მალა დგას, უმრავლესობისა თუ უმცირესობის პიროვნულ ერთსულოვნებასაც და პირობითობასაც ასევის აღმატება და გადასწონის!

სანამ დრომოჭმული მსოფლმხედველობა წარსულს არ ჩაბარდება და გაუფროსებული მწერლები კოლეგებს ზევიდან ქვევით მხერას არ ჩამოაცდენენ, საბჭოურ იერარქიულ წყობას არ გააუქმებენ, თანამდებობებსა და პრივილეგიებს ერთხელ და სამუდამოდ, მწერალთა კავშირი ოდინდელ ავტორიტეტს და დანიშნულებას ვერ დაიბრუნებს. ჯერჯერობით კი კავშირის სიყალბით გაჯერებულ სივრცეში თანასწორობის მზე არ ჭიატობს. რა ბედენაა ჯოხს მხოლოდ ერთ რიგით თავმჯდომარეზე თუ გადატყენენ. ამით საქმე უკეთესობისკენ არ იცვლება. ჯერჯერობით კვლავ სიყალბე მძვინვარებს და სათაყვანო წინაპრების სახელებით ვაჭრობასაც აღარავინ აღარაფრად დაგიდევს...



ჩამოსხმდებოდნენ ხოლმე რეკლამის ფოტოგრაფიურ სახეებზე სისულელე და აპოკალიფსი და აფრიკული „მითოლოგიის“ ბომონდზე ჭორაობდნენ. მოგესალმები მკითხველო! პირველ რიგში, გილოცავ და ვილოცავ, „ლიტერატურული საქართველოს აღდგენას! მოკლედ მოგახსენებ რუბრიკის „ინტერვიუ - 25-ე კადრის“ შესახებ. ეს ჟანრობრივად გახლავთ მხატვრულ-ალეგორიული, ჟურნალისტური გარეგნობისა და სატირულ-პუბლიცისტური ხასიათის სინთეზი. აქ სხვადასხვა თემებთან დაკავშირებით, როგორც ჟურნალისტის, ასევე ინტერვიუერის პოზიციიდან ფილმის ან წიგნის პერსონაჟები, ისტორიული პირობები და უცხოპლანეტელებიც კი ისაუბრებენ. რუბრიკის მიზანია, გამოეხმაუროს ქვეყანაში თუ მსოფლიოში მიმდინარე სოციალურ, კულტურულ, პოლიტიკურ და სხვა მნიშვნელოვან, აქტუალურ თუ მივიწყებულ მოვლენებს. აქვე ხაზგასმით

აღნიშნავ, რომ ინტერვიუში გამოთქმული შეხედულებანი და მოსაზრებანი, არ გამოხატავს ავტორის პირად დამოკიდებულებას.  
მაშ, ასე: ვთავაზობთ სენსაციურ და ექსკლუზიურ ინტერვიუს სოციალისტური სახალხო ლიბის არაბული ჯამაჰირის პირველი სექტემბრის დაიდი რევოლუციის მძურ ლიდერსა და წინამძღოლ მუამარ კადაფთან, სამყაროს ყველაზე ცხელი წერტილიდან.  
ინტერვიუ ჩაწერილია მუამარ კადაფის გარდაცვალებიდან სამი საათის შემდეგ. მოამზადა გაზეთ „The Hell Times“ დაუდგენელმა ჟურნალისტმა. არამატერიალური ლინგვისტიკიდან ჩვენთვის გასაგებ, ლეთისმშობლის წილხვედრ ენაზე თარგმნა უცნობი პოლიგლოტის კრემაციურებულმა ფერფლმა.  
(ინტერვიუს ვთავაზობთ უცვლელად, სტილის სრული დაცვით)



ქოს! კურტ კობეინმა კიდევ ჩემს კლიპში მინდა, გადავიღო. ჯოჯოხეთიაო, ამაზე ნათქვამი მოვლენები და ადამიანებიც სტიქიურად სტერეოტიპული და ტრივიალური არიან. ფრიდი უკიდურესად დამორგუნველ პირობებში აღმოჩნდა, დედამისი, მისდა საუბედროოდ, სამოთხეში მომხვდარა და ეს საცოდავი კიდევ მთელი დღეები უიძოდოდ მასტურბირებს. ნიცშესთან ღმერთი თავისი ფეხით მისულა! ეს ხომ ჯოჯოხეთია, ამის იქით ვერც ფანტაზია მიდის და ვერც აზროვნება ეწევა...

გასაგება და რამდენად ფოტოგრაფიური ხართ? ცეკვა იცით? რომელია თქვენი საყვარელი მსახიობი? თქვენი საყვარელი მომღერალი?

ძალიან მიყვარს „ბრეიტანსი“, ერთი-ორჯერ თავზე ტრიალიც ვცადე. თუმცა ჩემმა რამდენიმე ქვეშევრდომმა დამინახა და შემდეგ მათთვის თავის წაცლა მომიწია. მსახიობებიდან ჩემი რჩეული ევა გრინია და უკრანელ ქალებს ვაზუბადებ კიდევ! ვერ ვხვდები, რა მოსწონთ ანჯელინა ჯოლიში! ხოლო მომღერალს რაც შეეხება, სოფო ნიჟარაძე და ვასტინ ბიბერი. საოცარად ენერგული ხმა და სტილი აქვთ. არ შეიძლება უსმენდე და ტანში არ დაგპურძლოს. ნამდვილად ნიჭიერი და მსოფლიო დონის ვარსკვლავები არიან! თუმცა, სამწუხაროდ, ერთ დროს ლიბიაში ჩამოყვანაზე ვერცერთი დაკითხვამ.

მიუხედავად იმისა, რომ სულ რაღაც სამი საათია, რაც აქ იმყოფებით, ალბათ, გაიგებდით არჩევნების შესახებ. ხანგრძლივი შფოთვისა და საკმაოდ მწვავე წინასაარჩევნო კამპანიის შემდეგ, როგორც იქნა, არჩევნები თავის ლოგიკურ დასასრულს მიუახლოვდა და ახალმა საპარლამენტო უმრავლესობამაც გადაიბარა ხელისუფლება. როგორ შეაფასებდით შედეგებს? ასევე საინტერესოა, წარადგენთ თუ არა თქვენს კანდიდატურას მთავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე?

რა საჭიროა კანდიდატურა, საარჩევნო ყუთები და სხვა მსგავსი ლობერული ნიჭი და ძეხვი. როდესაც სახელმწიფო გადატრიალებას ვაწყობდი... ანდა არ გვიანდა, ჯანდაბას! მოკლედ თუ საჭიროდ მივიჩნეე, სახელმწიფო გადატრიალებას მოვახდენ. ახალი უმრავლესობის რა ვიცი, ჯერჯერობით ვერაფერი გავუგე. თუმცა მოსალოდნელი იყო მათი გამარჯვება.

გასაგება, მაგრამ უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ საკმაოდ სოლიდური და სერიოზული კონკურენტები გეყოლებათ თუნდაც სახელმწიფო გადატრიალების საქმეში. ამასთან დაკავშირებით რას ფიქრობთ?

ეგ არანაირ პრობლემას წარმოადგენს, ნელ-ნელა ყველას ჩამოვიცილებ. თუმცა მეც მსურს მშვიდი ცხოვრება და მეშურების წერა. ასე რომ, წინასწარ ვერაფერს ვიტყვი, კონკრეტული ვადების დასახელებას ნუ მომიხოვთ! დასაწყისისთვის ჩემი წიგნის ტირაჟირებას და გავრცელებას დავიწყებ. ამას ძალიან მალე გავაკეთებ!

თქვენს ყოფილ ბიოლოგიურ განზომილებაში, ანუ დედამიწაზე დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ აღდგენამ. რას იტყვით, თქვენი ინტერვიუ იქ რომ დაიბეჭდოს?

მაგ გაზეთის მთავარი რედაქტორი ვინ არის?

თამაზ წიგნისაა...

თამაზ მაგარი კრიტიკოსია! მასთან პოლემიკის მსურველებს ვურჩევ, უარი თქვან ამ სურვილზე! გაზეთს აუცილებლად გამოვიწერ!

და მაინც, თქვენი ინტერვიუ, რომ იქ დაიბეჭდოს?

ხუმრობთ არა?! მე და ლიტერატურა ისე ვართ, როგორც გარემოვაჭრეები და გადასახადები!

და ბოლოს, პოლიკონიკო მუამარ კადაფ, არავინ გწერთ?

სამწუხაროდ, ფოსტა გამიტყვის! ვგავარ ახლა მე დიქტატორს?..

გიორგი შირცხალაიშვილი

# ინტერვიუ მუამარ კადაფისტან

ბატონო მუამარ, როგორ ფიქრობთ, თქვენი სიკვდილით მოკვდა თუ არა დიქტატურა? ამასთან, თქვენ საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში მართავდით ქვეყანას; ამბობენ, ძალაუფლებამ შეჩვევა იცისო, რამდენად და როგორ ეგუებით ახალ გარემოს?

ჩვენ გვეთანხმება დასავლეთის ცივილიზაციამ თავისი ტრანსკორპორაციული მასშტაბებით, რომელიც ჩვენს ღირებულებებს ეწინააღმდეგება და ცდილობს წავგართვას ჩვენი ისტორია. ჩემი სიკვდილი არაფერს ცვლის, მთავარი დიქტატორიც და რედაქტორიც დასავლეთია. მე ვიყავი აფრიკის მეფე და არა დიქტატორი, აფრიკის ჩეკევერა. მეტი საქმე არ მქონდა, ჩემი აშენებული სხვისთვის დამეთმო. რა შუაშია ძალაუფლება, ჩემს მმართველობას ალაპის და ხალხის ნება ედო საფუძვლად. ის რაც მოხდა, გახლდათ ალაპის წინააღმდეგ აჯანყება! ხომ გახსოვთ ცხონებული ჩარკვიანის სიმღერა: „იოლაად მისაჩვევიო, როგორც თამბაქოლი“... ჰოდა, ძალაუფლებაც ეგრეა!

თქვენზე ამბობენ, მეტად გამძვრალი და წინდახედული ნადირალა იყო. მეტიც, თქვენი ერის ზოგიერთ წარმომადგენელს დღესაც სწამს, რომ თქვენ მაგიურ ძალას ფლობდით, როგორი შეგრძნება გაქვთ ჯადოსნური კვერთხის ჩამორთმევის შემდეგ?

დასავლეთის პოლიტიკური მამამთავრები მიზანმიმართულად ცდილობენ, თავიანთი გაცვეთილი, დრომოჭმული, დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას ყველგან, სადაც ხელი მიუწვდებათ. ისლამური სოციალიზმი ერთადერთი და უნიკალური იდეოლოგიაა. ჩემს ხალხს მე ვუყვარდი, ამაში ეკვი ომის უკანასკნელ წუთებშიც არ შეპარვია. მე ვიბრძოდი ბოლომდე, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, რათა ჩემი ხალხი გადაეხრებინა დასავლური შავი ჭირისაგან!

თვალეებზე გატყობთ, რომ არ იტყუებით! მაგრამ ცივილიზებული მსოფლიო მიიჩნევს, რომ დრომოჭმული და, ამასთან, სისხლიანი თავად თქვენი მართვის სისტემა იყო. ქვეყნიდან იტალიელთა განდევნის შემდეგ, თქვენ ლიბიაში დამარხულ იტალიელთა ძვლებიც კი ამოთხარეთ და ქვეყნიდან გაიტანეთ. ცხოველთა დამცველებსაც თვალში ეჩხირებოდათ თქვენი ლეოპარდის ტყავი.

თვალეებში ნუ მიფურებთ! პარლამენტი - ხალხის დამახინჯებაა, პარტიული სისტემა კი დიქტატურის თანამედროვე ფორმა. მე უარვყავი კაპიტალიზმიც და კომუნისმიც და შევქმენი სრულიად ინოვაციური, ზედროული სისტემა სახელწოდებით - „ჯამაჰირია“. არც მთავრობა, არც პარლამენტი, არც გაფიცვები. არავითარი ბიუროკრატიული და სხვა მისთანა ნაგავი. ჯამაჰირია - აი, რა არის ჭეშ-

მარტება! ცხოველთა დამცველებს რაც შეეხებათ, შეეშან წითელ წიგნებს და ჩემი „მწვანე წიგნი“ წაიკითხონ!

თქვენ ასწავლეთ დასავლური შავი ჭირი, რა აზრის ხართ კამიუს შესახებ? როგორც ვიცით, იტალიელები გარდა, ვერ იტანდით ბრიტანელებს, იმის თქმა კი არ მსურს, რომ შოვინიზმი მხოლოდ თქვენ გახსნათებდათ, უბრალოდ იქნებ აგვიხსნათ მიზეზები, თუ არსებობს, რა თქმა უნდა, მიზეზი შოვინიზმის გამართლებისა.

კამიუ გამივია, მწერალია თუ არ ვცდები. არ წამიკითხავს, თუმცა ცუდი კაცი არ უნდა იყოს! ვიცი, რომ ალჟირელების მხარეს იყო. ბრიტანელები კოლონიალისტები იყვნენ, ბრიტანელებს ვერ ვიტანდი, ვერ ვიტან და მომავალშიც იგივე დამოკიდებულება მექნება. თქვენ ვის რას ეუბნებით, დასწევდით ღმერთმა! სავსეა ქვეყანა შოვინისტებით! ჯოჯოხეთშიც კი... და ვერც კი ხვდებიან, რომ აზრი შეიცვალა. ჰოდა, რაღა მე ვიყო პირველი მერცხალი?! მაგალითისთვის ქრისტიანები ავიღოთ, ისლამურ ქვეყნებს აგრესიულობას ვაგბრალევენ, როცა პირველი აგრესორები თავად იყვნენ! ასე რომ, ტოლერანტობის რა მოგახსენოთ, შეგიძლიათ კადრები ნახოთ, მეც ტოლერანტობის უმაღლეს მწვერვალებში აღვესრულე...

თქვენ გაბუნდოვანებისა და გასაიდუმლოების დილოსტატსაც გიწოდებდნენ და თავადაც აღნიშნავდით, რომ ორაკულის სიბრძნის სტადიაში იმყოფებოდით. დღეს, სიკვდილიდან სამი საათის შემდეგ, რას იტყვით ამაზე?

გაბუნდოვანება ამერიკული სპეცსამსახურების, რომის პაპების, პატრიარქების და კიდევ სხვა მსგავსი ბიუროების საქმეა. რა მაგის პასუხია და ალექსანდრე, ხომ იცით - მაკედონელი?! მისი ცხენიც გეცოდინებათ - ბუცევალოსი?! ჰოდა, ყოველ დამით ეკატერინესთან დადის თურმე... არ ვიცი, რამდენად შეესაბამება სიმართლეს, თუმცა როგორც ყვითელ პრესაში წერენ, ალექსანდრეს ეკატერინე ჰყვარებია და რაც ეს ამბავი გაიგო აუჩქარებია კენტავრად უნდა გადავიკეთო თავიო. დღე-ღამე საუკეთესო ქორეგების ძებნაშია. ხომ ხვდებით საითკნაც მიმავს საუბარი?

ანუ... ანუ... ანუ...

რა ანუ, ანუ, ანუ?

ჟურნალისტური ტერმინია ასეთი! თითქმის უკლებლივ ყველა ჟურნალისტი ვიყენებთ. ანუ ხომ ხვდებით?! ანუ იმის თქმა მინდა, ანუ რაო ალექსანდრე მაკედონელი?

რა და, სულ გადავიწყდა ამხელა ჯოჯოხეთის მართვა. ვიდაც ქუჩის მსახიობები ყოველ დღეში უხარისხო სპექტაკლებს დგამენ... კიჩია ყველგან! „მარშუტკის“ მძღოლიც კი კიჩია... თქვენ წარმოიდგინეთ, სკოლის უკან სიგარეტი

მდგარი გოგონაც კიჩია... დიქტატორებს დაზღვევა გაგვიუქმეს... მეტროს ამოსასვლელებში დეკორაციული გარემოვაჭრეები მოაშენეს, ან თავად ამოვიდნენ, არ ვიცი. თუმცა რას გაიგებ, ყველას თავისი გასჭირვება. მოკლედ სპექტაკლს „ქოსობა“ ჰქვია, დასწრება უფასოა. ეს კიდევ აშენებს ალექსანდრეებს, ეძებს ქორეგებს და ფერად ლენტებს იწერს amazon.com-იდან. მე ერთი ჩემი პატარა მუამარია და მიშენებული ლოჯიც მყოფნის!..

ღმერთო ჩემო, „მუამარია“ როგორ წმინდანურად ჟღერს, როგორც ავე მარია... თითქოს თავად სიტყვიდან ამოდიოდეს ღმერთი შუქი და ზეციური სისპეტაკე... ავე მარია - მუამარია. აი, ეს არის სასწაული, როცა სიტყვიდან ასე თვალნათლად გადმოვიდინება მირონი.

იდიოტო, გაჩუმი! ღმერთს ყველგან ჩამწერები აქვს დამონტაჟებული. ვინ იცის, ახლა იგუდება სიცილით! სიტყვის სასწაულობა არ ვიცი, მაგრამ მართლა სასწაულია, ასეთი უგუნური როგორ ხარ?! ვეღარ გავიგე ტენდენციაა, თუ უბრალოდ ვაკანსია მოითხოვს, რომ ჟურნალისტები მაინცდამაინც იდიოტი უნდა იყოს, ან როგორც მინიმუმ გაუნათლებელი?! წყობიდან გამოვიდი და როცა წყობიდან გამოვიდვარ, საკუთარ თავს არ ვგავარ! ვგავარ ახლა მე დიქტატორს? გეკითხებით, ვგავარ-მეთქი?!

ნუ დელავთ, ბატონო მუამარ! ყველა ხომ ასეთი არ არის. ბატონო მუამარ, სწორად გამოგეთ, იდიოტები მერე ვხვდებით, თავიდან ისე რა იდიოტები ვართ ხოლმე. არ მესმის, რატომ ითხოვენ ჩვენგან გმირობას. მთავარია, პოლიტკორექტულობა იყოს დაცული.

თქვენს სახეს ძალიან კარგად აჩვენებთ! მოახერხეთ და ის კითხვები დასვით, რომელიც თავად გაინტერესებთ... ერთი ხელწერა გაქვთ სუყველას... არა, დამაცადეთ!.. როდესაც სამხედრო გადატრიალება მოვაწყე... ანდა ჯანდაბას! რა აზრი აქვს ამაზე საუბარს.

ბატონო მუამარ, იმ მეწამული გზით, სისხლითა და უამრავი სიკვდილით მორწყული რევოლუციით, ისტორიული მნიშვნელობებითა და ქალწულებით დატვირთული თქვენი ბიოგრაფიიდან, ალბათ, მკითხველს ძალიან აინტერესებს, რას ვერ აპატიებდით საყვარელ ადამიანს? ერთგულებას!

სხვა თემაზე გადავიდეთ. როგორ მოგწონთ აქაურობა? გამართლდა თუ არა თქვენი ვარაუდები ჯოჯოხეთის შესახებ?

ძალიან პრიმიტიული ადგილია. ინფრასტრუქტურა - გაუმართავი, ერთადერთი ცხელი წყალია, რამდენიც გენებოთ და წარამარა, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ეს გაუთავებელი როკ-კონცერტები. ყელში ამოვიდა უკვე, ლამისაა ნავთობივით ამოხეთ-

ლიტერატურული საქართველო



ეკა ქურხული

ნამი

დრო გაირინდა ნეტარ ნამებად და სარეცელად დაუნვა მზერას... ჰო, ამ ნამებად ღირდა ნამება, სიმარტოვის და გლოვის მოთმენაც! დასავიწყარში ნაზად მქარგავდა ლაბირინთები ვეება თვალთა და ტკბილ ბურანში გრძნობით მქარგავდა ნამი, რომელიც წლებს აღემატა. ნამი ნამია, სარეცელი - დრო მიჰქრის და ვრჩებით მოგონებებად...

იმ ნამებისთვის გმადლობ, უფალო, დასავიწყებლად რომ გვენანება!

ყალბი სიმშვიდე

უძირო თვალთაგან მიმზერს წარსული, ურცხვად მიმიშვლებს სულში ნამარხ, შეფუთულ ვნებას, ვგრძნობ, სადაცაა დაიმსხვრევა ყალბი სიმშვიდე, თუ ერთი ნამით გაგრძელდება მდუმარე მზერა.

ზედმეტი

მე გაუკვალავ თოვლში მივდივარ და ნაზად მათოვს... ვერაფერს ვხედავ, ვერავის ვამჩნევ, არავის ვნატრობ...

თეთრი ცხენები მიჰქრინან თოვლში, ღამე კენტიან...

ღმერთო, უშველე, ვინც მესამეა, ვინც ზედმეტიან...

მაზეიმე კვირტის აფეთქება!

როცა ქარი დამარცხდება მზესთან, როცა ყინულს ჩამოიდნობს მთები, დარიალის ჭიუხებში, თერგთან, ვით ირემი, ისე ავყვირდება!

ვიცი, მოვა ეს ძახილი შენთან, სანთელ-საკმელს არ ერევა გზები! არ შემრისხო, შესძელ პატიება, თორემ გული არ გეგონოს თერგი...

ოდეს ქარი დამარცხდება მზესთან, ოდეს ყინულს ჩამოიდნობს მთები, მაზეიმე კვირტის აფეთქება, შეერთება მაზეიმე ჩვენს!



დამარცხებული სიყვარული

დამარცხებული სიყვარული, ალბათ, სულ მალე დაემგზავრება თბილ ქვეყნებისკენ მქროლავ წეროებს...

საით წავიდე? ბელურასავით რად ველოდები კვლავაც გაზაფხულს, შეჩვეულ ბუდეს რატომ ვერ ვტოვებ?!

გიყვარდეს!

უნდა გიყვარდეს, რომ დედამინა გეჩვენოს ციციქნად!

ახედო ზეცას და აფრენის ძლიერმა ჟინმა აღმოდებული შენი არსება აქციოს ჩიტად!

უნდა გიყვარდეს, რომ დედამინა გეჩვენოს ციციქნად!

ვერ გავიმიტა

დღეს თვითონ ვუძღვნი ყვავილებს ჩემს თავს, შენ კი შორეულ ზმანებად დამრჩი... როგორ მსურს, წარსულს ჩაბარდეს ცრემლი, მომცილდეს ყველა ლაქა და დარდი!

არ შემიძლია, დავინყებას გადავულოცო ის, რაც მარგუნა წარსულში ბედმა. ახლა ჩემს ირგვლივ მრავალი დაძრწის, მაგრამ მე მაინც დავდივარ კენტად...

არ მინდა, ღმერთო, მასკარადები, არც ნაადრევად სულის სიბერე. თუმცა სწრაფად დაჭვნა ის ყვავილები... გადასაყრელად ვერ გავიმიტე!

ჩაბრუნებული პარლამენტი სხობაზე (სატირა დაწერილია ხელისუფლების ცვლილებამდე)

უმრავლესობის გაცხარებული დეპუტატი მესამე მიკროფონთან: - პრეზიდენტი კაცი, ადამიანი ამხელა ქვეყანას მართავს და იმის უფლება ალარა აქვს, რომ სრულფასოვანი სიამოვნება მიიღოს?!

ოპოზიციონერის წამოძახილი ჩაურთავ მესამე მიკროფონთან: - კი, მაგრამ ლიმიტი და პირთა წრე არ განვსაზღვროთ? მაჟორიტარების ბელადი პირველ მიკროფონთან: - ლიმიტი? რის მიხედვით? თქვენთვის შეიძლება ერთიც ბევრია, ვილაცისთვის სამიც ცოტაა! მთავარი აქ ლიმიტი და პირთა წრე კი არა, კანონპროექტში ჩადებულ პრინციპია. პირველი ის, რომ ქალს, რომელიც პრეზიდენტს მოეწონება, უფლება არა აქვს, უარი უთხრას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს მას ჩათვლება ქვეყნის სასარგებლო სამსახურისთვის განზრახ თავის არიდებად და დაეჭვმდებარება სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას!..

წამოძახილი ოპოზიციის უკანა რიგებიდან: - ველარ გამოგვიშვია სახლიდან ცოლები! სპიკერმა ჩაქუჩით დააკაკუნა: - 30 წამი მხოლოდ პროცედურაზე! გთხოვთ, გამორთოთ მიკროფონები! გმადლობთ. გააგრძელეთ კანონპროექტის წარდგინება... ობერ-პოლკანი რიხიანად აგრძელებს: - პირველ პრინციპზე ჩემმა კოლეგამ უკვე ისაუბრა, რაც შეეხება მეორე დებულებას, იგი ეფუძნება როტაციის პრინციპს. იმისათვის, რომ მუდმივად ხდებოდეს სიამოვნების მიმნიჭებელ პირთა წრის ახალ-ახალი კადრებით ჩანაცვლება, რათა ხელისუფალს მოყირჩება არ დაემართოს და მისი ქმედითუარიანობა არ დაქვეითდეს და იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი ქვეყნის რესურსები ამ თვალსაზრისით მწირია, რეგულარული საჰაერო რეისები დაინიშნება უკრაინაში, ბალტიისპირეთში, პოლონეთსა და დასავლეთ ევროპის სამ-სამ ქვეყანაში, კერძოდ, ესპანეთში, იტალიასა და საფრანგეთში... პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან უკვე გამოიყო თანხა. მინდა დაგამშვიდოთ, ის არც ისე გრანდიოზულია, როგორც თქვენ გინდათ წარმოაჩინოთ ამომრჩევლის წინაშე.

წამოძახილი უკანა რიგებიდან (სუპერ-ჯონდოს ხმას წააგავს): - ეს ხომ ქვეყნის გამასხარავებაა, ამის პრეცედენტი მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს! ობერ-პოლკანი უმალ შეჰყვებს: - აი, აქ ჩანს თქვენი არაკომპეტენტურობა! ჩვენი კანონპროექტი ჰაერიდან მოტანილი კი არ არის, იგი გარკვეულ ისტორიულ ფაქტებსა და წინამძღვრებს ეფუძნება. გავიხსენოთ ისრაელის ყველაზე დიდი მეფე სოლომონ ბრძენი, რომელსაც ოფიციალური მონაცემებით, 700 ცოლი და 300 ხარჭა ჰყავდა და სწორედ მისი მეფობის დროს ყველაზე აყვავებული ქვეყანა იყო ისრაელი. აღარაფერს ვამბობ სხვადასხვა სულთნებზე, რომლებიც უდიდეს იმპერიებს მართავდნენ... განა ისრაელში დავით მეფისა და ხეთელი ურიას ცოლის - ბათშებას და საქართველოში ლაშაგორგის და ველისციხელი ქალის შემთხვევა არ სცემს პასუხს ყველა თქვენ მიერ დასმულ შეკითხვას ლიმიტთან და პირთა წრის განსაზღვრასთან დაკავშირებით? სწორედაც, რომ ლაშა-გიორგი ყველაზე ტოლერანტული და პროგრესული ადამიანი იყო ქართველ მონარქთა შორის. აღარაფერს ვამბობ კლემპატრას სასიყვარულო კავშირებზე იულიუს კეისართან და მარკუს ანტონიუსთან. თანამედროვე მაგალითები გნებათ? გავიხსენოთ საფრანგეთის პრეზიდენტის ვალერი ჟისკარ დ'ესტენისა და „ემანუელას“ ვარსკვლავ სილვია კრისტელის, ჯონ კენედისა და მერლინ მონროს, ბილ კლინტონისა და მონიკა ლევისკის სასიყვარულო თავგადასავლები... (უმრავლესობას მიმართავს) ხო გახსოვთ, მონიკა?

მხიარული წამოძახილი მაჟორიტართა რიგებიდან: - მაგი, ლევისკის ასული იყო ხელიდან წასული! ობერ-პოლკანს „ატმასკა“ ესიამოვნა და უფრო აიქაფა ენა: - კოლეგებო, მაგის შეფასება მომავლის საქმეა, ამ შემთხვევაში არსებითი ისაა, რომ ჩვენ კანონპროექტს მყარი ისტორიული საფუძველი აქვს და იგი, ამ კონკრეტულ მოცემულობაში ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს შეესაბამება, რის გამოც მოგიწოდებთ, მხარი დაუჭიროთ მას!

წამოძახილი (ისევ სუპერ-ჯონდოს ხმას წააგავს): - რა მხარი უნდა დაუჭიროთ, შენ ხომ არ... სპიკერი ჩაქუჩით ჩაერია: - კორექტულობისკენ მოგიწოდებთ! ვთხოვ მანდატურებს, ყურადღება მიაქციონ ცალკეულ გამოხტომებს!.. შეწყდა კამათი! მით უმეტეს, დარბაზში ქალბატონებიც არიან, ვფიქრობ, ისინი ჩვენგან მეტ პატივისცემას იმსახურებენ. ვერც პროცედურულ საკითხებზე ვეღარ ჩავიროთ! არა! გთხოვთ, ჩართოთ კენჭისყრის რეჟიმი! ყურადღება, მიმდინარეობს კენჭისყრა! დღეს, ჩვენდა სასიხარულოდ, ქვორუმი უჩვეულოდ მაღალია! ვაცხადებ კენჭისყრის შედეგებს: ას ათი ხმა ოთხის წინააღმდეგ, თავი შეიკავა ხუთმა დეპუტატმა, ხმათა უმრავლესობით...

ჩაქურტებული დეპუტატი დაფეთებული წამოძახებს: - მოიცა! ვერ მოვასწარი პულტზე თითის დაჭერა, ჩემი ხმაც დაამატეთ! სპიკერი სახეზე გაბადრული ლიმიტით: - გთხოვთ, დაამატოთ ბატონ ელდორადოს ხმა. გმადლობთ. მაშ ასე, გილოცავთ კოლეგებო, ას თერთმეტი ხმა ოთხის წინააღმდეგ, თავი შეიკავა ხუთმა დეპუტატმა - „საქართველოს კანონი „პრეზიდენტის გელფრენდების შესახებ“ მესამე მოსმენით მიღებული! (მთელი ძალით ურტყამს ჩაქუჩს!) გმადლობთ.

ოთარ ჯირკპალიშვილი





მესიზმრა ერთხელ, რომ ზღვის ნაპირს, უფალთან ერთად, მივუყვებოდი და ლაუვარდ ცაზე, როგორც კერანზე, ვხედავდი ჩემი ვარდასული ცხოვრების დღეებს. დღე დღეს მისდევდა და ქვიშაზე აშკარად ჩანდა ნაკვალავის ორი წვეილი – ჩემი და უფლის. მაგრამ აქა-იქ უცებ შევნიშნე უფალი კვალის და გამახსენდა განსაცდელნი ვარდასულ დღეთა. მაშინ წარმოვთქვი: „უფალო ჩემო, მე ხომ ვიწამე და დაგპირდი, რომ ვიცხოვრებდი შენთან და შენთვის, შენ კი დამპირდი, რომ არასდროს მიმტოვებდი. რად არ იყავი ჩემთან სწორედ მძიმე წუთებში?“ მან მიპასუხა: „შენ ხომ იცი, როგორ მიყვარხარ და რომ არასდროს დამივლიხარ მე შენ ეულად. თუკი ქვიშაზე მხოლოდ ერთის ნაკვალავია, ეს ის დღე იყო, როცა ხელით დაგატარებდი“.

„უკალი ქვიშაზე“  
(ლათინური წესის ქრისტიანთა ლოცვებიდან)

ეპ, ვის გააკვირვებ, უსამართლობის მსხვერპლი გაეხდი. მაგრამ ასეთი მძაფრი განცდა იშვიათად გამჩენია. მეონია, რომ გამაუპატიურეს. გამომცემელმა, აქამდე დამსაქმებლად რომ მივიჩნევდი, ნაცვლად იმისა, დაეფასებინა ჩემი შრომა, არც მეტი, არც ნაკლები, დამაყარა, უცერემონიოდ „მომიტეხა“ გასამრჯელოს ერთი მესამედი. ამჯერად ნამეტანი ქნა, თორემ კი ვხვდებოდი, რა ხვითოც იყო, მას არც ჩემი პროფესიონალიზმი ეუბნება რამეს, არც მადლიერების გრძნობა გაჩნია, როდესაც ნახევარფაბრიკატებისგან ნამდვილად სრულყოფილ პროდუქტს ვუქმნი და თან სამუშაოს შესრულების შეკვეცილ ვადებზეც არ ვწუწუწებ. ეს რა კარგი სულელი ვიზოვნეო, ფიქრობს ალბათ, როდესაც გამომცემლად მიცქერის დაჭყეტილი, ინტელექტუალური თვალებით, შიგ ეშმაკუნები რომ დაურბიან და მწვანე დოლარებს სახეიძო დროშებით უფრიალებენ. პროფესიონალი, თან სულელი...

სიმართლე რომ ითქვას, არ მაინტერესებს მისი ხედვა, რადგან ისიც საკმარისია, მე რას ვფიქრობ მასზე. როცა ვშორდებოდი, თვალებით ვუთხარი, ღირსი არა ხარ, ჭინჭრის ტოლთი გაგიჟეროს კაცმა კანჭები და სულ „ჩეჩოტკა“ გაცეკვოს-მეთქი? აბა ასეთს იმას ხომ არ ვუამბობ, კარგი დროების ხანაში რას ვგრძნობდი გემბანზე გადამდგარი, როდესაც ორი შეყვარებული ვეშაპის თამაშსა და შადრევანთა ფრქვევას ვუცქერდი; ან იმ მშვენიერი მაისის დღეებზე, როდესაც პარიზის ქუჩებში ველური წაბლი ყვაოდა; იმასაც, რომის ერთ პატარა ეკლესიაში, მიქელანჯელოს „მოსეს“ წინ რომ ვმდგარვარ მსხვილი ჯაჭვის ბარიერთან და გენიოსის უროსგან ჩაჭეჭვილ მუხლისთავს მხოლოდ ერთი ხელის გაწვდენა მაშორებდა და ვრწმუნდებოდი, სამყარო ნამდვილად შენში რომაა, თავად ხარ მთელი სამყარო, ოღონდ შექმელი და იწამე... და იყავი მადლიერი. არა, ეს მასთან სასაუბრო ენა არაა.

ამიტომაც ამეკვიპა ფრაზა კი არა, ფრაზის დასაწყისი, ჩემს უცეცხლოდ

წვას რომ უწყობდა ხელს და ხმაურიან ქუჩაზე გეზდაკარგული მივყავდი.

„ერთხელაც იქნება და...“  
ჩვეულებრივი, უწყინარი სიტყვები ალესილი მახვილებით ამომზიდოდნენ სულში, შესაფერისი კონტექსტის სხვა სიტყვებს უხმობდნენ. მეც გაფაციცებით დავიწყე მათი ძეგნა, რათა გამერკვია, რა იქნება ამ ერთხელაც, ასეთს რას მოვიმოქმედებ.

როგორმე უნდა მოვიხელთო დასრულებული აზრი, არ უნდა გამისხლტეს, არ დამეკარგოს, ქარამოტივით კი არ გადამიქროლოს, არამედ შევძლო, ვაქციო ხორცშესხმულ მიზნად... ეს მაგიური „ერთხელაც იქნება და...“ მერე? მერე? აი, როგორი შეჯობრია საკუთარ თავთან!.. საკუთარი ღირსების დასაცავად, სწორი არჩევანისთვის. საკადრისის მისაგებლად ასე მაშინაც არ მიმტვრევია თავი, როდესაც სუროგატმა მღვდელმა ჩემი მიცვა-



ლალი ბრძვამამ-კახიანი

ლებულებისთვის, დიდმარხვისას მოსახარში ხორბლის კურთხევაზე მითხრა უარი და უფალს უღალატა. ეპ, ანდრია, ანდრია! პირველწოდებულის სახელი მაინც არ ერქვას! მაგრამ, აბა მე ვინ დამნიშნა იმ უბადრუკის ცოდვითა განმკითხავად; არც ჩემი პროფესიული სამყაროდან, სხვაგვარად რომ ვთქვა, დარღვეული ევრეგორიდან ამოგვსლილი ქალი-ავაზაკის უგვანობების საპასუხოდ გავრჯივარ დიდად, ვისაც თავის დროზე ვუწინასწარმეტყველე, ბარაბას გზა დამერითან რომ არ მიდლოდა, თანაც ისეთი ზუსტი გამოვლექი, თავდაც მივიკრის. მართლაც ბარაბას იმიჯით ცხოვრება ხვდა წილად, რადგან ვერ ძლია სიხარბეს – უმდაბლეს ცთუნებას. გაზეთები აჭრულდა სამარცხვინო სტატიებით. მის ფოტოებზე ქვეყანამ იხილა ნამდვილი სახე, უნილბო და შეულამაზებელი, თხელ, გაწევილი ტუჩებზე, ჩვეულებისამებრ, გადღაბნილი მაამებლური ღიმილის გარეშე.

ფოტოებიდან უმეტესობა მაგონებდა ფინია ძაღლის სახეს, ჩემი მოთხრობის მთარგმნელის სახლში სტუმრად მისული რომ დამკინა. სწორედ მის ბოროტ კბილთა ღრჭენას ვხედავდი საგაზეთო ფოტოებში. მაინც ვინ ახერხებდა, ასე ოსტატურად დაეჭირა ქალი-ავაზაკის დაღრვევი პირში ავადმძინარ კბილთა გაალმასებული სივრაგე?... საკუთარ ბოროტებაზე მძინვარება პატივცემული თავმჯდომარე, თუ იმაზე, სხვებზე რომ შეიტყვევს? სულით ხორცამდე შემძვრელი იყო, გეტქირა მისთვის, იმდენად, გულში უნებლიეთ ვფიქრობდი, ნეტა ღამით რანაირად სძინავს, ნეტა მიწა რად არ ეწვის ფეხქვეშ-მეთქი.

მაგრამ ეს „ერთხელაც იქნება და...“ სულ სხვა რანგის ტკივილმა დაბადა. გაგრძელებაც ისეთი უნდა ჰქონდეს, მისი მოსმენისას ხელები აიფაროთ სახეზე და წამიერად შეიჩროთ სუნთქვა. დიან, ასეთი, რადგან იგი საკუთარ თავს მინდა მივართვა საჩუქრად. საკუთარი ღირსების ფარად გავიხადო.

გზას ვადგავარ უცნობ ადამიანთა ნაკადს შერთული. ტყემალი ყვავილობს – გადათორებულა ქუჩის გადაღმა გორა. ნეტა ისე მომაცხოვინა, შემეძლოს ვიარო და ბუნების მშვენიერებას ვუძღვნა დღეები, აზრი მივადევნო მის საოცრებას, თუნდაც ერთი ბროწეულის ხის ცხოვრებას. მაგრამ ამისათვის მეორე სიცოცხლე საჭირო. მე კი მხოლოდ ერთი მაქვს და იმასაც არსებობისთვის ბრძოლას ვანდობ. ამიტომ არ შემიძლია ჩავწვდე არსს იმისას, რაც ვარშემო, ჩემს გარეშე ხდება და რასაც შეეჩვია თვალი.

უი, ელვირას ვხედავ! პოლიეთილენის გატენილ პარკს მოათრევს. მოკლე, ჩქარჩქარი ნაბიჯებით გადაუზვია გზიდან, ძველი სკვერის ნარჩენში შევიდა, რომელიც, დროის მოთხონილებისამებრ, იყიდე-გაყიდეს ვენებას აყოლილ წვრილ-წვრილი სუპერმარკეტების მფლობელებს ჯერჯერობით გადარჩენოდა.

ჟანგისფერდადებულ ფიჭვის ხეს მიადგა. პარკი ხის ძირას დადო. ერთხანს გამტერებთ უცქირა ხეს, გვეგონებოდა ლოცულობსო, მერე ზროზე დააწყო ხელისგულები, გაიჩინდა.

რამდენი ხანია, აღარსად შემხვედრია, უნდა დაველაპარაკო! მეგონა, წავიდა ესპანეთში, რომელზეც ასერიგად ოცნებობდა. არა, თურმე, ისევ აქ წვალბოს. ვიცი მისი ისტორია, თავად მიაბმო.

სამშობლო კარგა ხნის წინ დატოვა მუსულმან ქმართან ერთად, შუა აზიას

მიაშურა. ისრაელში გოგონები სამხედრო ვალდებულები არიანო, ჩემს რებეკას კი ჯარში ვერ გაუშვებდი, ხომ იცი, იქ სულ ომებიაო.

უცებ გამახსენდა თითქმის უხმარი, მეუღლის სამხედრო „დუბლიონკა“, რომლის შიგნითა ბეწვს ისევ ასდის ცხვრის სუნი. აივანზე გვიკიდა, ოკუპაციის მუზეუმს გვინდა მივცეთ. ამჯერად კი გავიფიქრე, ელვირას ვაჩუქებ, გამოიყენებს-მეთქი.

ამ ქალმა პირველი ნახვისთანავე მოახდინა ჩემზე შთაბეჭდილება. გაწონასწორებული ადამიანია. ერთთავად საკუთარ პრობლემებზე ლაპარაკობს, მაგრამ ამას ახერხებს მშვიდად, ისე, რომ არ გამძიმებს, ინტერესითაც კი უსმენ. „იცით, ესაპანეთში წასვლა იმითმომ გადაწყვიტე, გავიგე იქ მუსიკის მასწავლებლები სჭირდებოდათ“. თურმე მუსიკოსი ყოფილა. ამიტომაც, თუმც ერთი შეხედვით, იქნებ ცოტათი შერევილად ჩაგეთვალა, მაინც ინტელიგენტის შთაბეჭდილებას ტოვებდა. სრულებით არ ახასიათებდა ფამილარობა, თავის გაკვირვებაზე ისე ვიამბობდა, ოღონავ გაბოროტებას ვერ შეატყობდი. წვრილ, მაყვალვით შავ, ეშხშიმქრალ თვალებში ენით გამოუთქმელი მიმტეველობა ედგა ყველაფრისადმი. ბავშვური გაცეცებით შემოგყურებდნენ ეს თვალები და გაიბულებდნენ, გაგებოვარებინა ჩუმი ტკივილი ადამიანისა, ცხოვრებამ ვეება ტალღასავით რომ გადაუარა, კენჭებით ჩაფლა ფსკერზე. თხოვნით არაფერს გთხოვდა, მხოლოდ სურდა, შენც გცოდნოდა მისი ამბავი. მეტი არაფერი. დაუსრულებლად გამოხატავდა გაცეცხას ადამიანთა სისასტიკის გამო, იმის გამო, თუ ამოდენა ცისქვეშეთში რით ვერ გამოინახა მისთვის თავშესაფარი. „ჩვენს კარზე სულ აკაკუნებენ, სულ გასასლებით გვემუქრებიან, რადგან ქირას ვერ ვიხდით. ხან სად ვიხიზნებით მორიგ გასახლებამდე, ხან სად. თანაც ბევრნი არიან. სამინებლბა ეს კაკუნე, ერთ სიკვდილს ვათავებ.“

– ვინ არიან? – კითხე მაშინ.

– როგორ გითხრათ, არ ვიცი... პირზე ერთი და იგივე აკერიათ – წადითო! მერედა, სად წავიდეთ? სიამოვნებით წავიდოდი ესპანეთში, – გახეობრებულივით იმეორებს იმავს, – საბუთების მოსამზადებლად ბევრი ფულია საჭირო. სადა მაქვს! ეკლესიას მივმართე, მასესხეთ, იქიდან გამოვიგზავნი-მეთქი. მოძღვარმა, სადა მაქვსო! თანაც წირვებზეც არ დადიხარო. ვიყავი ხოლმე. უკან ვიდექი, მაგრამ რა!.. ოღონდ ფულს ნურავის უხსენებ... არადა ნათქვამი მაქვს, ქრისტი რომ გამომეცხადა. მერე ქრისტიანულად რომ

მომნათლეს იქ, ყაზახეთში. სინაგოგაშიც ვცადე... იქაც, რა ფული, რის ფული, აი, თვეში გვაქვს ზედმეტიო (ეს საზვასმით თქვა), აიღე, წადი და მეტი აღარ მოხვიდეო.

– რატომ? – გავიკვირვე.

– ქრისტიანი თუ ხარ, აქ რა გესაქმებაო?

– მართლა ხარ ქრისტიანი, ელვირა? ტუჩებს წინ ბურცავს, ოღონავ ჩაფიქრდება:

– ქრისტიანები დამეხმარნენ, როცა ვითხოვე, მიშველეთ, აქ ჩემს რებეკას ძალიან უჭირს, ღამ-ღამობით ძილში ყვირის, აქაური ჰავა არ უხდება-მეთქი. ერთი კვირაც არ გასულიყო, მოდის ვიღაც „სორა“, ტანხანელი ზანგი. ოფისში წადი, უთხარი ლორეტამ გამოგზავნაო. ქაღალდებს მოცემენ და თბილისის ჯგუფში ჩაწერები, სამ დღეში წაწვალაო.

რა გგონიათ? ზუსტად ასე მოხდა. ჩავესხეს რაღაც ჯაბახანა თვითმფრინავში. რებეკა დედაჩემს ჰყავდა ჩახუტებული. ექვსი თუ შვიდი საათი ვიფრინეთ და აქ დაგვსვეს. უპ, რამდენი ხალხი იყო! მშვირები, ყველას „ჰუმანიტარკა“ ეჭირა და ჰამდნენ.

– რა „ჰუმანიტარკა“?

– ყუთები, მუყაოსი. ზედ „პრიატნოვო აპელიტა“ ეწერა.

– რა, რუსები გვეხმარებოდნენ?

– არა, არა, გერმანელებისა იყო, ავსტრიელების, უფრო სწორად, მაგრამ ჩვენთვის, პოსტსაბოლოებისთვის განკუთვნილი. მაშინ ფარულად უტევედნენ ამ მონსტრს.

– რომელ მონსტრს?

– იმპერიალისტურს. ვერ მიხვდით? რუსების იმპერიალისტებს. ამბობდნენ, რუსეთი რომ არ გაცოფდეს, არ უნდა მიოღესო.

– და თქვენ გატევედნენ, საქართველოსკენ მომავალთ?

– აბა! იმდენი ხალხი იყო... იმ-დენი... ზღვა ხალხი... ნეტა ახლა ასე ესპანეთში გამამგზავრონ!..

– ქართული როგორ ისწავლე, ელვირა?

– ძალიან მოვიხდომე. მამაჩემს ჰქონდა ენებისადმი მიდრეკილება. მას ვგავარ. იცით, რა ღირსეული კაცი იყო? პატიოსანი. ახლა ასეთები აღარ არიან. სადაც ვცხოვრობ, იქ ჩემისთანები ბევრია, მამაჩემისთანა – არც ერთი.

– ვხედავ, სულ საქმიანად მიდი-მოდიხარ, სულ ჩქარობ, – შეგცვალე საუბრის თემა, – რას აკეთებ ასეთს?

– რას უნდა ვაკეთებდე, – მომიგო მშვიდად, – პობო ვარ. ჰუბუბუ. ასე ამერიკელები ამბობენ. ნიშნავს მოხეტიალე მუშას. თუ გინდა, მაწაწაწა, – აჰასპერი... მოკლედ, რა ვიცი... ცოტა-ცოტა შავ სამუშაოს ვმოულობ. ენას ვიკავებ. მთავარია, ენა შეიკავო და გენდობინ. დღის ბოლოს ბაზარში ბოსტნეულის ნარჩენებს მამლევენ.

ეს ყველაფერი ელვის უსწრაფესად აღმიდგა მესხიერებაში. ვუცქერდი ადამიანს, რომელიც ჩიტივით ცხოვრობს მიწაზე.


შემამჩნია, როგორც კი მისკენ გავემართე. სიხარულს ვერ მალავს, გაასხარა ჩემმა დანახვამ. ადვილზე გაშემდა, იცდის სახეანთებულო, თითქოს რაღაც დიდ ნობათს ელოდეს. მივესალმე, როგორ ხარ-მეთქი, გულწრფელად მოვიკითხე, თან მოვემზადე უკვე მრავალგზის მოსმენილი მისი პრობლემების კვლავ სასმენად, თუ როგორ უკაკუნებენ კარზე, როგორ მოითხოვენ, წადითო. და მთელი რიგი ტირილები იმაზე, არავის გულთან რომ არ მიაქვს მისი გაჭირვება, სირთულეები ესპანეთში გამგზავრების შესახებ.

მაგრამ ელვირას მსგავსი რამ თავში არ მოსვლიდა. მხოლოდ ხელი აიშვირა ფიჭვის ხისკენ და დანანებით თქვა:

– ხედავთ, რა დღეშია? ხმება.

(დასასრული მე-16 გვერდზე)

# სააზროვნო პრობლემები და აქტიურობა



უსაზღვროდ მიხარია, რომ ლაზარესავით აღმდგარი ჩვენი უსაყვარლესი გაზეთის „ლიტერატურული საქართველო“ ფურცლებზე თავის მცირე, პროზად დაწერილ, ძვირფასი თვლების მძივად ასხმულ ჩანახატებს აქვეყნებს მრავალმხრივი ნიჭის დიდებული პიროვნება, არქიმანდრიტი მამა ადამი (ერისკაცობაში – ვახტანგ ახალაძე).

ღვთის განუხრელ მსახურებას იგი, გამორჩეული მედიკოსი, დოქტორი, ფუნქციონალური ნაშრომის („ბიოთეკა: გენეზისი, არსი, მერმისი“) ავტორი, ბუნებრივად უთავსებს ქართული სიტყვის თავყვანის ცემამდე მისულ სამსახურს. ზედმეტი თქმა იმისა, რომ ყოველი მისი ქმედება და ნააზრევი მთავარ ღირებულებას, უმაღლეს ზნეობას ემყარება.

შარშან მამა ადამი გამოსცა ლექსების მობრძლი, ძალზე მნიშვნელოვანი კრებული „მარადისობის მონატრება შებინდებისას“, რომელმაც მკითხველთა ერთსულოვანი მონონება და აღიარება დაიმსახურა.

ამ წიგნში ცხადად გამოჩნდა რამდენი საქვეყნო ნუხილის, ტკივილის მატარებელია ეს მხურვალე მამულიშვილი (აფხაზეთის მოუნელებელ ტრაგედიაზე მასავით მძაფრად ცოტა ვინმეს თუ დაუნერია), მაგრამ მის სათნოებით მფეთქავ გულში ყველაფერს მშვენიერება, სიკეთე, მოყვასის უანგარო სიყვარული გადასწონის. ასევე ცოტა მეგულება ამქვეყნად მასავით უფაქიზესად რომ გრძობდეს და განიცდიდეს „მინის პოეზიას“.

მოულოდნელი სრულებითაც არ ყოფილა, რომ მამა ადამის პროზაული მეტყველებაც დიდი ოსტატობით არის აღბეჭდილი, რაშიც უმალ გვარწმუნებს საკრალურ რიცხვად, შვიდად განწილული წინამდებარე ტექსტი „ხმა შუადღიდან (სიტყვები პროლოგითა და ეპილოგით)“.

მთის წყაროსავით კამკამა ამ იშვიათი ქმნილების ავტორი სენაკში მლოცველი ბერის მოკრძალებითა და გზნებით გვესიტყვება თავისი სამაგალითო ცხოვრების შუადღიდან, როდესაც ქრისტეს ხატად მიჩნეული, ყოველგვარი სიცოცხლის დასაბამად და მასაზრდოებლად ცაზე მბრუნავი უპირველესი მნათობი – მზე – უმაღლეს ნერტილში იმყოფება და თავის ძალას დაუზოგავად, მთელი სისასებით ავლენს.

ცალკე სათქმელია, თუ რაოდენ მზრუნველობას იჩენს მამა ადამი უცხოეთში, კერძოდ, თურქეთში მცხოვრებ თვისტომთა, თანამოძმეთა მიმართ და ამაზე საქართველოსთვის თავშენიერული გმირის, ახმედ მელაშვილის გულის-შემძვრელი შინაგანი მონოლოგიც მეტყველებს, რომელიც ახლო მომავალში ბიოგრაფიულ რომანად უნდა იქცეს.

მამა ადამი ეკლესიის წმინდა კედლებსა თუ საჯარო გამოსვლებში ყოველთვის იმ წყალგაუვალ ჭეშმარიტებას ქადაგებს, რომ რელიგიის, მეცნიერებისა და ხელოვნების ერთმანეთისგან გათიშვა ყოველად დაუშვებელია, რადგან მათი შერწყმის გარეშე ღვთაებრივი ჰარმონია არ მიიღწევა.

ბიბლიის, მსოფლიოს უდიდეს თეოლოგთა და მეცნიერთა, შემოქმედთა საუკუნეებში გამოტარებულ სიბრძნეს ეფუძნება ის ურყევი შეხედულება, რასაც ენციკლოპედიური მასშტაბისა და განზოგადების, მრავალ დარგში მოპოვებული ცოდნის შემადგამელი წიგნის – „ბიოთეკის“ – შვიდი თავიდან ერთ-ერთში ვკითხულობთ:

„ადამიანის სხეული, მართალია, ენათესავება სხვა ცოცხალ არსებათა სხეულებს და მათი მსგავსია, მაგრამ ადამიანის სხეულის ღირსება შეუდარებლად დიდია ყველა სხვა არსებათა სხეულებთან შედარებით, ისევე როგორც ადამიანის სული შეუდარებლად აღმატებული ყველა იმ სულიერ არსებასთან შედარებით, რაც კი შემოქმედის სიტყვით შექმნილა დედამიწაზე...“

ამ მოკლე წინათქმეში ცალკეული უმშვენიერესი ადგილების მოტანას განზრახ მოვერიდე, არ ჩავთვალე საჭიროდ; მტკიცედ ვარ დარწმუნებული – „ხმა შუადღიდან“ – ეს მეტად თავისებური და ახალი „თვალთა“ სხვებსაც ისეთ სიამოვნებასა და ნეტარებას აგრძნობინებს, როგორც მისი ნაკითხვისას თავად მე განვიცაადე.

ემზარ კვიციანი

### პროლოგი

ხმა მინდა მოგანვინოთ, ხმა შუადღიდან.

თუ კაცის ცხოვრება ერთი დიდი დღეა, მე ახლა სწორედ რომ შუადღე მიდგას, მარტული შუადღე, როცა არც თაკარა მზე იცის და არც მთლად უმზებობაა. ერთი სხივი მაინც გამოუპარება მოდარაჯე ღრუბლებს და გულში ჩამომხედავს. გული ბევრ რამეს იტევს.

ეგებ თქვენც მომაპყროთ გულისყური და ჩემმა გულმა და თქვენმა გულებმა ერთხანს ერთად წარმოთქვან ლექსად, გალობად თუ ლოცვებად ქცეულ ქართულ სიტყვათა ჯერი, ერთად აახმოვანონ ქნარი ან შეეხონ ქარისა და დროის სულთა კლავიშებს, ან გაიხსენონ მომავალი – თუ რაგვარად უჩინარდება მზის დისკოსი ზღვასა და ცას შორის...

რამდენი რამ მაქვს სათქმელი. მინდა ხმა მოგანვინოთ, ხმა ჩემი ცხოვრების შუადღიდან.

უფალო, შეგვენიე...

### სიტყვა პირველი

შუა გაზაფხულის ზარმაცი თოვლი ნელიად უფიცებს ცალ გვერდს გათამამებული მზის სხივებს, სანამ მეორეს ჩრდილში ანებივრებს. თან გული ეწურება. წვეთ-წვეთად მოჟონავს წყლად ქცეული ფიფქები. კოხტა გორაკის მშვენიება – გაზაფხულის ყვავილებით ლამაზი თოვლის სისპეტაკე ისეა გატრუნული მარადისობაზე ფიქრსა და ლოცვაში, რომ ცხვირწინ ატუზულ აღსასრულს ზედაც არ უყურებს. განა მის თვალწინ არ გაქრა ხეობის თოვლი. იმას ტყის თოვლი მიჰყვა, მერე საყანე ფერდობების თოვლიც გაქრა. ახლა, ალბათ, სკოლის ეზოს თოვლის ჯერიც დადგა... რახანია, თვალდახუჭული იწვა გორაკის თოვლი და ითვლიდა დამდნარი ფიფქების წვეთებს... წვეთ-წვეთ-წვეთ... ყოველი წვეთი გორაკსა და

თოვლობას კი აშორებდა, მაგრამ, იცოდა, ზღვისა და ზეცისკენ მიაქანებდა.

თოვლობა არ შეიძლება არ ჰყვარებოდა. თოვლობასთან განშორება აბა სევდას როგორ არ მოჰკვრიდა. აკი ფიფქობა არც ახსოვდა. თოვლობა იყო მისი ცხოვრების ნარსულიც და ანწყობაც. დნობა, ნაკადულობა, ჩანჩქერობა, მდინარეობა, ზღვის მიღეთის წყლებში აღრევა და ჩაკარგულობა შეუცნობელი მყობადი იყო და იმის იქით კიდევ უფრო შეუცნობელი რამ იწყებოდა, რასაც მინისაგან ნასწავლ სიტყვას – მარადისობას – ეძახდა. ვერ კი გაეგო სად იწყებოდა ეს მარადისობა: ოკეანეში, ჰაერში თუ ღრუბლებში...

არც ეს გორაკი ელეოდა ადვილად. ლოყაზე ლოყამიდებული დებივით გაატარეს ზამთარი ერთად. გორაკის თოვლმა შეცივება ხომ არა და არ იცოდა: იქით ათობოდა გორაკის მინას, უვლიდა და ინახავდა საგაზაფხულოდ.

მინა მადლიერი იყო და მოფიქრალი. მისთვის ეს, ვინ იცის, მერამდენე თოვლი იყო. ყოველ წელს ხომ ახალშობილი, ნორჩი თოვლი მოდიოდა, ჩვილივით ლამაზი, უსაშველოდ გულუბრყვილო და დაუფიქრებლად კეთილი.

სულ რომ თოვლით დაიფარებოდა, სიამაყე კი ეპარებოდა მაშინ გორაკის მინას. არც გაღმა მთა იყო ჯერ ასე სულ ერთიანად გადათეთრებული და არც სოფლის ტყე.

თავად კი მინა იყო და მინად რჩებოდა. იმდენი ტკივილი ახსოვდა, იმდენი ოფლი და იმდენი სისხლი, რომ ყოველი ახალი თოვლი სინორჩის გამო ეცოდნებოდა და იმით არაფერს უამბობდა ამაზე.

მინა იყო და სიტბოც ახსოვდა. ეს სიტბო სისხლის სუნსაც ავიწყებდა, დაჩოქილი დედაბრის მუხლების სიტბო... ვიდრე ძროხები ზალახობდნენ, მაყვლოვანში შემალული გულმზურვალედ რომ ავედრებდა უფალს ქვეყანას, სოფელს, კერძას, სახლულს... გაყინული ხელებისა და მუხლისთავეების სიტბოც ახსოვს. იმ ქარში, თოვლჭყაპსა და უმთვარობაში ანკი როგორ ამოიარა გორაკის ფერდობი. ისევე მაყვლოვანში დაემხო პირქვე. ხე-

ლებს რომ ცისკენ აღაპყრობდა, სველ ღანვებზე დაცვარული ცრემლი წვიმის წვეთებს აფარებდა თავს.

მინა იყო და სიხარულიც ახსოვდა. ეს სიხარული ვაებასა და გოდებას ავიწყებდა, ხმაწამყვადარი ხალხის სასოებითანი სიხარული.

წილიდან რომ შემოანათა სახელდახელოდ ჩვრებში გადასარჩენად გახვეულმა ჯვარ-ხატმა, რომ უნდა აღმოხდომოდა, ის გმინვა სულში ჩაიბრუნა და თოვლი რომ დაფარავდა, იმას ნატრობდა, იქნებ ძილში მაინც არ ამოვიგმინებდე და ჩემს სულისკვინსაც ოდენ ჩემს გულ-ღვიძლს დავაკორტინებდეთი...

გორაკის თოვლი კი ამასობაში თვალდახუჭული იწვა და ითვლიდა დამდნარი ფიფქების წვეთებს... წვეთ-წვეთ-წვეთ...

### სიტყვა მეორე

ქართული მინაც ზეცაა.

პასუხად ელას, რომ შემომჩვილა, სამყაროში ცივად, მამავე!

გცივა, შვილო? ვაი მამაშენის კაიკაცობას, რომ ვერ გათბობს. ვერც ლოცვა შეასმენინა ცოდვილმა გამჩენს... არც ნაწყალობევი შემის დახერხვა ეხერხება ნათხოვარი ხერხით, არც ფულის შოვნაშია მარჯვე... გეცივება, აბა, არ გეცივება?

ჰო, მაგრამ, აი, ის პალტო რომ გქონდა?! კი, გეთანხმები. ადამიანო, უფრო იმედად, ვიდრე სუსხისაგან მოსამყუდროებლად. გაცრეცილს ვერც ფერს გაუგებდი კარგად და ვერც ქსოვილს, ფოლაქები კი ყინულისფერი ჰქონდა, დიდი, ჩვენი ბუხრის ჯაჭვისთვლებისოდენა ცივი ფოლაქები. გაცვდა, ალბათ... იმ გაზაფხულზე გიმოვე, მთელი ზამთარი რომ იწექი ფილტვების ანთებით, და დათვი რომ დაგესიზმრა, თბილი, კეთილი დათვი. იმ დამის მერე დავიწყეთ: მე – გულისძგერა, შენ – გამოკეთება.

პალტო კი აპრილში მოგიტანე. ისეთი მზიანი დღე იდგა, გეგონებოდა, აქაურობას ზამთრის სავალი ბილიკების უკაცრელობა

და სიშიშვლე არც არასოდეს გაჰკარებია და ანი ხომ ვეღარ გაბედავს და ველარაო.

შენ ლექსის სტრიქონები გამოგყავდა რუდუნებით.

როცა წერ, კაცს ეგონება, ხელსაქმობსო! ჰო, თითქო ხეზე კვეთავ ან ქარგავ რასმეს. თვალს ისე მილულავ, ვითომ მთელი ქვეყნის ანგელოსები აქ მოფრენილან და იმით უგდებ ყურსაო.

მამინ მახსენდება, რომ მე და შენ ერთი და იგივე ლურჯი ფრინველი გვიყვარს, შურდულივით რომ ეშვება სიმალიდან მარადისობაში...

ჩვენც ჩიტები ვართ. ერთმანეთს ფრთებს ვუსწორებთ, დამტვრეულ, ნატკენ, სისხლშემხმარ, ჯოუტ და უძინარ ფრთებს...

ხომ არ დაგავიწყდა, პატარავ, მთავარი – ვიფრინოთ! ჩვენ სხვა ჯიშისანი ვართ. ერთი კია – ისე და იქ უნდა ვიფრინოთ, მშობლიურ მინას რომ დავყურებდეთ სულ. ჩვენთვის ეს მინაც ზეცაა. შორეთში ფრთები გვიძიმდება და ვარდნას ვინცებთ...

ვარდნა სიკვდილმაც იცის. ოღონდ ამის არ გვეშინია! ჩვენ მხოლოდ იმის გვეშინია, მინას არ აცვდეთ, ქართულ მინას. იგი ხომ დედაცაა! მერე როგორი მზრუნველი, როგორი თბილი და მოსიყვარულე. მთელი წინაპრები და იმედები მისთვის არა გვყავს მიბარებული?! ჩვენც დავიმარხავს და შეგვიტკობს, თუ ტყვიამ გვინია, ან დათვმა დაიგვიანა.

... გცივა, შვილო?

მოგიკვდეს მამა, თუ შენს გასათბობად ცის დასალიერისკენ გაფრინდეს და სული არ აუკენსდეს: – აქ, ამ შორეთში რომ უსულოდ დავენარცხო უჩემწინაპრის-სისხლო, უცხო მინას, რა მეშველებო...

აკი, გითხარი, ჩემო გათომილო შვილო, ჩვენთვის ქართული მინაც ზეცაა-თქო...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ცხადია თუ სიზმარი – ვერ ვარკვევ. ბნელა და მინც ვხედავ. მსუბუქად მიფრინავ. ლივლივით მივიწვი. არ მიკვირს, რომ კედელში თავისუფლად გავცურე. ვინანე – მოემკვდარვარ და ეგ არის! ჩემს სხეულს, ერთდროულად, ვხედავ შორიდანაც, ახლოდანაც და შიგნიდანაც... თითქოსდა ვარ, ოღონდ უგულოდ. ამავე დროს, იგი ფეოქავს, მაგრამ შორეთში. მიდამო ნაცნობია... ფშავია. შუაფხვია. ლაღი იახსრის წმინდა მთა. მომცრო ეკლესია, სადაც ასვენია ჩემი გული... რამხელა გაზრდილა! ნეტავ მკერდიდან როგორ ამოაღწია უნებლად? ამ სალოცავის ვიწრო კარში როგორღა შეეტია? მის გარშემო ვხედავ სიყვარულს და პერანგივით შემოპკვრია. უნებარესი სიმშვიდეა. შიშები დახცილან. მიკვირს, თუმცა ძალიან არა – ფშავში ხომ ვარ, გული სალოცავშია, მაგრამ... აჭარაში, ბათუმის თავზე ვაკეთებ ირაოს... ჩემი ძველი მეგობრის, თამაზის სახლის ერთ უბნელეს, უფანჯრო ოთახში ვარ გამოტყობილი გულად... მოვრალმა გაიღვიძე. დამავიწყდა სად ვარ და დავასკვენი, რომ სამარეში, კუბოში ვავცილებდი... ახლა ხელებს ნელა ავწვდი მალღისკენ და თუ ფიცარს შევახე, მამასადამე – დამმარხეს. თავისუფლად ვსუნთქავ... რაღა თქმა უნდა – ჩამოყოლილი ჰაერით ვსულდგმულობ... მთავარია! მთავარია, რომ სული არ მეხუთება, თორემ სიკვდილი აქ რა სახსენებელია? ხრჩობისა გვეშინია, არყოფნისა – არა! კიდევ კარგი, გული ჩემი, იახსრის უმშვენიერეს ეკლესიაშია, თორემ თავისას მომთხოვდა... უგულოდ ვიძირები სიმშვიდეში. სულ არ მენაღვლება – სად არის ხორცი, სად არის სული... დიას! არსებობს სიტყვა „უსულგულო“, მაგრამ არ ვდარდობ... ამის მაგიერ, ჩამესმის ხალხურ საკრავთა ანსამბლის მიერ შესრულებული მუსიკა. გოგონები უკრავენ და ტირიან. ამათგან ერთი, მრავალი ათეული წელიწადია მიყვარს უსასრულოდ და მისი ხმა სულის ძაფებს მიწნავს... არც სიცოცხლეზე ვფიქრობ და არც სიკვდილზე...

გაოცებათა უკუნეთია. ვხედავ ჩემს მეუღლეს, შვილებს, მეზობლებს, ერთმანეთს ნაღვლიანად ესაუბრებიან. შაკებში გამოწყობილან და ხანდისხან ფაციფუცობენ... ყოველივე ნათელია, მაგრამ აქ რატომ დგანან ბაბუა-ბებიები, მამაჩემი და დედაჩემი, ამას ვერასოდეს ვეღარ ამოვხსნი! ანდა – ყველა ძალი, ვინც ბავშვობიდან ჩვენ გვყოლია, რატომ მიწოლილან კედელთან? ვითომ მეორედაც გარდავიცვალე? მასსოვს უცნობი მღვდელი, რომელიც მეკამათა: მეორე სიკვდილი არ არსებობსო. განრისხებულმა კინადამ ყურში წავავლე ხელი, მაგრამ... მშვიდად ვკითხე: მამაო, რატომ არ კითხულობთ სახარებას? რატომ არ იცი, რომ ითანეს გამოცხადებაში მეორე სიკვდილი რამდენჯერმეა ნახსენები?

განა ანაფოროსანმა არ უნდა იცოდეს რომ:

ვისაც ყური აქვს ისმინოს, რას ეუბნება სული ეკლესიებს – გამარჯვებულს ვნება არ ექნება მეორე სიკვდილისაგან.

მოძღვარმა ხომ უნდა იცოდეს, რომ:

ნეტარი და წმიდა ის, ვისაც აქვს წილი პირველ ადვანტში; მასზე ხელმწიფება არა აქვს მეორე სიკვდილს.

ბერმა ხომ უნდა იცოდეს, რომ:

სიკვდილი და ჯოჯოხეთი ჩაყრილ იქნენ ცეცხლის ტბაში, ეს არის მეორე სიკვდილი, ცეცხლის ტბა.

მორჩილმა ხომ უნდა იცოდეს, რომ:

ხოლო მხდალთა და ურწმუნოთა, შებიღწულთა და მკვლელთა, მესავთა და გრძნულთა, კერპთაყვანისმცემელთა და ყველა ცრუთა ხედრი ტბაშია, რომელიც იწვის ცეცხლითა და გოგირდით, რომელიც მეორე სიკვდილია.

ვიცი, განა არ ვიცი, რატომაც ვარ საფლაოზე. დეკემბრის ქარია. წესით, იგი არ უნდა იყოს კუდიანი... თურმე, სასაფლაოს სივრცის ფოთლებიც ჩვეულებრივად კვდებიან... მეგობრის საფლავის ქვას დავცქერე. შუაზე გადატეხილა. ფოთოდან ძველებურად მიმზერს... ირგვლივ განძარცული იასამნებია. დაჟინებით შევცქერე. რასაც ვეძებ, ჭეშმარიტად ვიცი. იქნებ

გვიმამ დავლიანობი

# მეოთხედი


## მრავალფეროვანი

იმიტომ ვერ ვაგნებ, რომ სასაფლაოზე ბრძანდებიან? ბევრი არიან და ამხელა ფართობზე ნუთუ ერთმა მინც ვერ გამოიღო თავი? რატომ ვერ გამოიხაფხულა ამ ზამთრის დასაწყისში, უფსკრულისფერ და მართლაც შავ ღღეში? რაო, მისი ყვავილი განა არ ესაჭიროება პირველი სიკვდილით გარდაცვლილებს? საოცარია ღმერთიანი – ხუთ დეკემბერს, მინც და მინც განსვენებული საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის დღეს, რამ აყვავილა იასამანი ნაძალადევში, ჩვენი ეზოს დამრეც ფერდობზე? თანაც, ოცდაათმეტრიან მწკრივში, მხოლოდ თეთრმა იასამანმა გაიკეკლე და ყოველგვარი შეცდომის გარეშე გაიფურჩქნა! ამის მიზეზს ვერც ვერასოდეს ჩავხვდები, მაგრამ ეჭვის უფლება რომ დავიტოვო, ვინმე რაიმეს მეტყვის საყვედურად? ჯერ ხომ ზესვასვენივარ და მინც ცოცხალი ვარ? საოცარია მოხვევთა კილოკავი! „ზესვასვენივარ“ და „ზესასვენივარ“ ჩემმა მეგობარმა, მოხვევებ, შალვა კახალიკაშვილმა ახსენა. დავიმახსოვრე და სიცოცხლის გაცოცხლებით მეტი უფლება მივანიჭე... მძებო და მეგობრებო, ჯერხნობით ზესვასვენივარ ანუ მიწის ზემოთ ვარ, თუმც მკვდარი ვაზლავართ სხეულთ, თორემ... ჰაეროვნად დავაბიჯებ მუხათგვერდში, წელში გადატეხილ საფლავექვას ვუმზერ... ნეტავ კი მხოლოდ ქარის ნახელავი იყოს.

ქარმა მტვერში გარეული წვიმის წვეთები შემომაყარა. ვიდაცის საფლავთან შექნერი. სად არის წარწერა? გვარი – არა! სახელი – არა! ფოტო – არა! ვაჰ! ვინ ხარ ძიბობილო! ასეთი ძვირფასი ქვით შეუმკაით შენი სამარე, არაფერი გაკლია და... ნუთუ ანდერძი დატოვე – არაფერი აღარ მინდა თქვენიო? ყოჩაღ შენ! ჯიბრიანი, უფრო კი თავისნათქვამა ყოფილხარ, თუმც... წვიმა შეაშრა თუ არა, სტრიქონი დავლანდე: „მე აქ არა ვარ“. ავოე! როგორ თუ არა ხარ? მაშ ეს ამხელა საფლავი რომ წამოუჭიმიათ შენს ჭირისუფლებს, რას ნიშნავს?

მივიხედ-მოვიხედე და საკუთარ თავს ვკითხე: ნეტავ ხომ არ დავივიციე? არ მასსოვს, არაფერი გამიგია, მაგრამ ირგვლივაც ვერაფერ ვაივო? შიშის ბუნჯელები დამეხვა... როგორ და რანაირად, კაცო? „მე აქ არა ვარო, რომ მეუბნები, მაშ საით ხარ? ვითომ მომჩვენა? კულოსანზე კაცი რომ ფიქრს დაიწყებ, მკვდარი ხარ თუ ცოცხალი, მინც რაიმეს გაგიჩაღიჩებს... კეთილი ძმოსან, მკვდარი აქ, ამ საფლავში არ არის, როგორც თვითონ ამბობს, მაგრამ სადღაც ხომ აუცილებლადაა? მეხუმრება? დამცინის? და მე, კიდევ ამათი გასამასხარავებელი ვარ? სიბრაზემ წამომიარა, მაგრამ ვფიცავ ყველა ჩემს გარდაცვლილს, ქვის გადამტვერვის სურვილი არ გამჩენია...

წვიმამ უმატა. მტვერმა იკლო. კვიპაროსს შევეფარე. გამეშხული გავცქერი უცნაურ სამარეს, რომლის გამგებელი, სახელად მკვდარი, მეუბნება – მე აქ არა ვარო... წვიმის ნაკადი შეწყდა თუ არა, ტანში გამცრა – სტრიქონს გაგრძელება ჰქონია. თავიდან ბოლომდე წავიკითხე: „მე აქ არა ვარ, შემოდგომის ვენახები მოუკრეფიათ.“ აუჰ! ეტყობა, ეს საბრალო,



ვამდა: „მე აქ არა ვარ, შემოდგომის ვენახები მოუკრეფიათ“.

დარბაზში აღარ შევედი. წინ და უკან მიმოვივიარე... რა თქმა უნდა, არ მჯერა არა დღევანდელი დღისა, არც საღამოსი, არც შუალამისა, რომელიც უკვე ახლოვდება... ნაუმა მართლაც გამოჩნდა, გადამეხვია და მკითხა – ბიჭო, საიდან მოდიხარ, ხელები და სახე გაყინული გაქვსო. საშიში ვარ-მეთქი? – კითხე. გაცოცხლა: მართლა მუხათგვერდში იყავი? კი, სასაფლაოზე... რატომ, მიზეზს ვერ გეტყვი... მოიცა, მოიცა, რას მღეროდნენ ახლა მუსიკოსები? ააა! „პატარა გორი დილია?“ ნეტავ რა მომივიდა? რატომ მოვივიარე სასაფლაოდან? ნაუ, ბიჭო, შენ ხარ? ვიდაცა მასსოვს: ვინ არის ნაუმა? ამ შუალამისას, წესით და რიგით, შენ აქ არ უნდა იყო... ვინა ხარ, რას მესაუბრები? რატომ ძიბვილობთ? მოშორებიდან ნაღვლიანად იკითხეს; ხელი მოჰკიდეთ გასინჯეთ, ძვლები და თმა შერჩენილი აქვს თუ არა? უცბად მოვიახრე: ამ ვირისთავებს სასაფლაოდან გამოქცეული მკვდარი ვვინვიარ, მაგრამ... ამ ჩემს მეგობარს, კუბოების საამქროს უფროსს რაღა დამართა? ანდა მომღერლები რატომ მღეროდნენ საფლავზე წაწერილ სიტყვებს? რატომ ვიყავი სასაფლაოზე? რატომ ვეძებდი ზამთარში აყვავებულ თეთრ იასამანს? რატომ მინტერესებდა, ვინ ამსხვრევს მარმარილოს საფლავექვებს?

ვეძებ პასუხს და ჩამესმის ჩემი სამი გარდაცვლილი მეგობრის მიერ ნამღერი „ბერიკაცი ვარ ნუ მომკლავ“... არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდა სიმღერა. არ მასსოვს, რა დროა. არ ვიცი – რომელი თვეა, მაგრამ ცხადივც მესმის დიალოგი: ძმაო, აქაურია? აქ ცხოვრობს? არ ვიცი მეგობარო, პირველად ვხედავ... მეც ახალი მოსული ვარ. მეზობლებიც ირიბად მიმზერენ. თან, მცივა და მეშინია...

სიჩუმეა. წამიერია... დაბოლოს, დარდინი პასუხია: პირველად ძნელია... ასეა... მერე მიჩვევი... განათლები... დაისვენებ და გეცოდინება სულ ყველაფერი, რისი გაგებაც მარადჟამს გაინტერესებდა... ასე იცის... ნუ გეშინია... რას იზამ, არც პირველი ხარ, არც უკანასკნელი... მთავარია ზეს არ ესვენო... დანარჩენი მეორმოცე მრავალფაშიერმა იცის...

ამ სიტყვებმა უცბად ამანთო. ჟრუანტელმა დამიარა. ხელები გამოთბა, ძველებურად გავთამამდი შარიაანად დავიძახე: მე თქვენი დედა, თქვენი!.. ვის ატყუებთ? სად არის ოცდაცხრამეტი მრავალფაშიერი? ვინმემ იცის? აბა, ადევით ახლა, თითოეული მათგანი მიმღერეთ, თორემ შუბლში ნახვრეტს გაგიკეთებთ! შეაგნეთ! სადღერძო გამოგონეთ! დალიეთ! გამაგონეთ... გამაგონეთ ეგ თქვენი ნაქები, მეორმოცე მრავალფაშიერი!

# ბაბელის ნასისლფასევი

ცნობილია ლიტერატორმა, რუსთაველი პრაიმის ლაუარატმა თამაზ კვაჭანტირაძემ ახლანდ ნიგნად გამოსცა მის მიერ თარგმნილი ისააკ ბაბელის ოცი მოთხრობა და ორი პიესა. გთავაზობთ ამ ნიგნიდან ერთ-ერთ მოთხრობას და თარგმნილის წინათქმის ფრაგმენტს.

ისააკ ბაბელი, XX საუკუნის დიდი მწერალი, საყოველთაო თვალსაზრისით, „უთარგმნელი“ ავტორია;

და თუ ვინმე მაინც იკისრებს ამ მწერლის თარგმნას, მას, ჩემი აზრით, სხვა უამრავ თვისებათა შორის ერთი აუცილებლად უნდა ჰქონდეს – სითავსებელი ყველა ყველა და, ამ თვისების დეფიციტი, ალალად მოგახსენოთ, არასოდეს მიგრძნია; მაგრამ აქ მთავარი სხვა რამ გახლავთ: ბაბელის თარგმნაში მე ბაბელივე მეხმარებოდა, კერძოდ, ავტორის დამოკიდებულება თარგმანის მიმართ, გამოხატული მის ერთ-ერთ შედეგში „გი დე მოპასანი“:

„თარგმანში მოპასანის ცინტალი, მოსხლეტილი და ვნებით დატენილი ფრაზის კვლით კი გამჭრალიყო. ბენდერსკაის გულისგამაწვრილებელი სიზუსტით ეთარგმნა ყოველი ფრაზა, ღუნედ და უსიცოცხლოდ – ისე, როგორც წინათ წერდნენ ებრაელები რუსულად...“

ამრიგად, ბაბელის აზრით, თარგმანის ღირსება არ განისაზღვრება ტექსტის ასოს ზუსტად გადმოღებით. ანუ – „გულისგამაწვრილებული სიზუსტით“; მთავარი და გადამწყვეტი ტექსტის სულის ადეკვატური გადმოტანაა მეორე ენაზე. ტექსტის სული კი – ეს, ცოტა არ იყოს, მოუხელთებელი ფენომენი – მაშინ შეიძლება ადეკვატურად ნათარგმნად მივიჩნიოთ, თუ იგი, მეორე ენა-

ზე გადატანილი, დედნის ანალოგიურ ემოციურ ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე. ამ მიზნის მისაღწევად მთარგმნელს, ჩემი აზრით, უფლება აქვს ტექსტს გადაუხვიოს, შეცვალოს რეალიები, სიტყვები, სახეები. მთარგმნელისეული ამ სითავსებელი ერთგვარ გამართლებად ის განცდა მიმაჩნია, რომელიც ასეთ დროს მეუფლებოდა – რაც უფრო ვმორდებოდი ტექსტს (ცხადია, გონიერების ფარგლებში), მით უფრო ვუახლოვდებოდი ბაბელს.

\* \* \*

ისააკ ბაბელი 1894 წელს დაიბადა ოდესაში, ხელმოცარული ებრაელი ვაჭრის ოჯახში. ნიჭიერ ბავშვს წიგნის სიყვარული და სიბრძნისკენ ლტოლვა გენეტიკურად მოსდგამდა – ბაბუამისი რაბინი იყო. სიმამრისეული შეისწავლა რამდენიმე ენა და თავდაპირველად ფრანგულად დაიწყო მოთხრობების წერა. კომერციული სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1916 წლიდან, ბაბელი – უსამსახურო, უკაპეიკო, უპასპორტო – პეტერბურგშია და რედაქციებში ამაოდ დაძრწის: ყველა ურჩევს წერას თავი დაანებოს და დახლში ჩადგეს. წლისთავზე ხდება სასწაული – გორკი თავის ჟურნალში უბეჭდავს ორ მოთხრობას, შემდგომ კი „ხალხში მიაღწენს“. შვიდი წლის განმავლობაში ბაბელმა უამრავი რამ ნახა და განიცადა: იყო რუბინეთის ფორტზე, იბრძოდა ბუდიონის ცხენოსანთა არმიაში, მსახუ-


რობდა ოდესის გუბკომში, რეპორტიორობდა პეტერბურგსა და თბილისში.

1924 წლიდან იწყება ისააკ ბაბელის ინტენსიური ლიტერატურული მოღვაწეობა – გამოდის მისი გახმაურებული „ცხენოსანთა არმია“ და „ოდესის მითხრობები“. ბაბელის თხზულებები მაშინვე ითარგმნა ძირითად ევროპულ ენებზე – გერმანულად, ფრანგულად, ინგლისურად. ამჟამად მისი წიგნები ხუთსავე კონტინენტზეა გამოცემული.

\* \* \*

ბაბელის პროზაცა და დრამატურგიაც, გარეგნული ნიშნებით, თითქოსდა კამერულია, მაგრამ, თუ მათ ჩავერდებოდით, მწერლის შემოქმედება შინაგან მასშტაბობას გამოკვივლენს: „კამერული“ წყლის წვეთიც, მაგრამ მიკროსკოპში იგი ოკეანისებურ ბობოქარ სურათს გვიჩვენებს... ბაბელი თავად ბეცი გახლდათ, მაგრამ მზერა მიკროსკოპისა ჰქონდა – ხედავდა და ჩვენც გვანახებდა წვეთ წყალში ოკეანის თვისებებს.

ბაბელს აქვს ოსტატის ხარბი, უზუსტესი თვალი: დეტალებში, თითქოსდა სასხვათაშორისოდ დაგდებულ ფრაზებში, შექმნილების თამაშში, დაკვირვებულ მკითხველის თვალწინ სასწაულებრივ ამოიზიდება აისბერგის დაფარული ნაწილიც; ყოველი ფრაზა აკეთებს იდეალ მრუდს და ზუსტად ხედება სამიხუნს. „მე ტკბილი მინდა, წითელი“, – ღვინოზე ნათქვამი



ეს დამაკვირვებელი ფრაზა პიესა „მარიამი“ სხვანაირადაც იკითხება: აქ არის ნატვრა, წყურვილი „ტკბილი რევოლუციისა“ – მათობელა, განმწმენდი ცეცხლისა, რომელსაც ფარვანასავით დასტრიალებდა თავს ისააკ ბაბელი.

განმწმენდი ცეცხლი შთანთქმელიც აღმოჩნდა – 1940 წელს საბჭოურმა ტოტალიტარულმა რეჟიმმა ისააკ ბაბელი დახვრიტა.

ამ წიგნს სახელად „ნასისლფასევი“ დავარქვი – ისააკ ბაბელმა არა მარტო გადატანითი აზრით მოიხისლფასა, არამედ რეალურად დანთხული სისხლით მოიმუშაკა ის მხატვრული შემკვიდრება, რაც მისგან დავგრჩა.

თამაზ კვაჭანტირაძე

## ი ე ს ო ს      ს ო ლ ე ჯ ა

ცხოვრობდა დამლაგებელი არინა სასტუმრო „ლუერის“ მთავარი შესასვლელის კიბის ქვეშ, სერიოგა კი, უმცროსი მეზობე – უკანა შესასვლელთან. ყვარობდნენ ერთმანეთს და გაუჩინა ტყუპი არინამ თავის კუროს. დრო მიდის, არ ჩერდება, არინაც არ მომცდარა – ისევ დაორსულდა; მეექვსე თვეში ჩადგა და – აერიათ დავთრები: სერიოგა სალდათში მიჰყავთ, რჩება ქალი ოთხი წლით უკაცოდ. არინამაც მიუკიბ-მოუკიბავად აჯახა თავის საყვარელს: – ოთხ წელს ვერ დაგელოდები, ჩემო სერგუნი, ოთხ წელიწადში მე სამ ბაღს კიდევ გამოვაგორებ... სასტუმროს დამლაგებლებს, იცი შენ, კაბა ნამოხდილი გვაქვს, ნომერს ვინც ქირაობს, ურია იქნება თუ უარესი ღვთის წყრომა, მის ხუმტურებზე უნდა ვიაროთ. დაბრუნდები სალდათიდან – მე ათასჯერ ნახმარი დაგიხვდება, საშოგადალილი... ხედაც არ შემომხედო-იქნება...

– შეიძლება, – მოიქექა ქერო სერიოგამ. – ჰოდა, უნდა გავთხოვდე, საქმროებს ვერჩევი. ჯერხნობით ორი მეძლევა: ზედამხედველი ტროფიმიჩი, ვირგლა კაცი, და ისაია აბრამიჩი, შებენებელი მნათე, მუხლებში რომ მოისუსტებს, მაგრამ რას დავებებ: ყელში ამომივიდა თქვენი ჯანი, ძვალრბილი გამიერთიანა ამ თქვენმა ჯანმა... ვშობ სამ თვეში, ჩვილს თავშესაფარში მივცემ და ერთ-ერთს ცოლად გავყვები.

ისმინა ეს ყველაფერი სერიოგამ, ისმინა, მერე შეიხსნა ზვანჯარი, ნაკუნცხა არინა და – მიდი, ბიჭო – უბაყუნებს და უბაყუნებს თავდაუზოგავად.

– ნამეტანსაც ნუ გვანებები, – ეუბნება არინა, – შენს გაკეთებულს ანებები, სხვისას კი არა.

მოკლედ, დაიღვარა მამაკაცური ოფლიც და ქალური ცრემლიც, მაგრამ გამოსავალს ვერ მიაგნეს. დააღირა მაშინ ქალმა თავი, მივიდა იესო ქრისტესთან და ეუბნება:

– ასეა და ასე საქმე, უფალო იესო, მე დამლაგებელი არინა ვარ, სასტუმრო „ლუერის“ დან, ტვერსკიზე რომაა... დამლაგებელს, მოგეხსენება, კაბა ნამოხდილი აქვს; ნომერი ვინც დაიქირავა, ურია იქნება თუ სხვა უარესი ღვთის წყრომა, იმას უზამს, რაც მოეხუმტურება. იქ, მიწაზე, მონა შენი სერიოგა დაიარება, მეეზოვე... გაუჩინე ტყუპი შარშან იმ ჩემი ცოდვილი საყვარელი...

და ყველაფერი წვრილად ჩაუკაკლა უფალს...

– ის შენი სერიოგა სულ რომ არ გამოცხადდეს სალდათში? – გამოსავალს მიაგნო მაცხოვარმა.

– პოლიციელი ნაბუნძულებს...

– პოლიციელი არ გამხსენებია, – ჩაქინდრა თავი უფალმა, – მისმინე, იქნებ შენ შეგეგნახა თავი უცოდველად?

– მთელ ოთხ წელიწადს? – შეიცოცა არინამ, – ნაცნობი სიმღერაა, უფალო, შენ რომ კაცმა გისმინოს, ხორციელი ადამიანი ნელქვეით არც უნდა გაგეჩინა. მერედა, ნამატი საიდან? თუ რამეს მისაშველებ, ნაღმართიანად მისაშველებ.

უფალი ნამონითლდა – ქალმა მტკივნეულ კოფრზე დააბიჯა – მაგრამ არ შეჰკამათებია: ყურზე რომ ვერ იკოცნი, ეს უფალმაც უწყის.

– რას გეტყვი, იცი, უფლის მხევალო, ცოდვილო ქალწულო არინა, – აუნყა ქალს მაშინ უფალმა თავის დიდებოში, – დაბოდალობს აქ, ზეცაში, ანგელოზი ერთი, ალფრედი ჰქვია; უსაქმურობისაგან ლამის სულ წავიდეს ხელიდან... მე ბუზუნუნება და შემოშტირის – რა მიქენი, უფალო, ეს შუშპარა ჭაბუკი რას გამაანგელოზებო? მოგცემ შენ, წმინდად დედავ, ალფრედი-ანგელოზს ოთხი წლით ქმრად. შენი კაციც ის იქნება და შენი ვაციც. ესაა, რომ ბავშვს ვერ გაგიკეთებს – ცანცარაა, სერიოზულობა აკლია...

– მეც ეგ მინდა, – შეჰპლადდა ქალწულმა არინამ, – მაგათი სერიოზულობისაგან, ჩათვალე, რომ ორ წელიწადში სამჯერ ვკვდები.

– იმეხედე ტკბილად, არინავ, ასული უფლისაო, აგსრულეობოდეს ლოცვანი შენი, ამინ!

ასეც გადაწყდა – მოჰგვარეს ალფრედი, განწლიკუელი ყმანვილი, ნახი; ცისფერ ბუჭებზე წყვილი ფრთა უმრიალეებს, ბუმბული ფრთებზე ვარდისფრად ეტალეება. ჩაბურჯვანა არინამ ყმანვილი, ცრემლებად იღვრება გულანუყებული, ეფერება და ეფლურტულება:

– ალფრედიო, ჩემო ნუგემო, ხო მარგუნეს შენი თავი...

უფალმა გააფრთხილა არინა, როცა ლოგინში ჩაინვან, ანგელოზს ფრთები მოხსენი – ისინი ანჯამის მსგავსად უმაგრდება მხრებზე – და დილადაე ზენარში შეფუთული შეინახე, თორემ ლოგინში კოტრიალმა და ხელ-ფეხის ფათურმა შეიძლება ფრთები დააზიანოსო – ისინი ხომ ჩვილები სუნთქვისაგან ყოფილა ნაქსოვი.

და აკურთხა კავშირი ესე უფალმა, იგალობა არქიელის გუნდმაც, პირის გასასველებელი კი არაფერი ჩანს – იქსმა-ჭამა არ იციან. დაემუნენ ერთმანეთს ჩახუტებულ ნეფე-დედოფალი აბრემუშის კი-

ბით დედამინაზე, პირდაპირ პეტროვსკი-ზე ცნობილ მალაზიაში და იქ არინამ თავი მოიქაჩლა – ალფრედს ზოლებიანი ნიფხავ-პერანგი და ლაკის ფეხსაცმელები უყიდა, თორემ კაცი პირმინდად ნატურალური სახით იყო წარმოდგენილი.

– ახლა ეს ვიკმაროთ, კუტუკუნებს დაგვიფარავს, სხვა ჩასაცემელს კი მინ მოვიძვეთ, ჩემო სიცოცხლევ.

იმ დღეს არინას ნომრებში არ უმუშავია, უფროსობას დაეთხოვა. მოაკითხა სერიოგამ და ატეხა ერთი ვაი-უშველებელი, მაგრამ არინამ კარი არ გაუღო და შიგნიდან გამოსძახა:

– სერგეი ნიფანტიჩ, მე ახლა ფეხს ვიბან და, თუ შეიძლება, მიბრძანდი აქედან ყოველგვარი აყალ-მყალის გარეშე. სერიოგამ ხმა არ დაუძრავს, ისე გაბრუნდა – ეტყობა, ანგელოზის ძალამ იჩინა თავი.

ვანამა კი მართლაც მეფური გაამზადა არინამ – თავმოყვარე დედაკაცი გახლდათ: ნახევარი შტოფი არაყი, ცალკე – ღვინო, ღვინის ქაშაყი კარტოფილით, სამოვრით ჩაი... ალფრედმა როგორც კი სასმელი – ეს ცხოვება მიწიერი – დაიგემოვნა, ეგრევე მოსწყდა კინა. არინამ სასწრაფოდ ჩამოსხნა ფრთები და ზენარში შეფუთა, ანგელოზი კი საწოლში გადაინვინა.

და უწევს არინას ბუმბულის ბალიშზე, მრავლისმნახველ, ცოდვეთი გადაღესილ ქვეშავებში თეორ-ქათათა სასწაული; არაამქვეყნიური ნათება იღვრება მისგან, ოთახში მთვარის ჩრდილები დარიალებენ, ცისარტყელები ლივლივებენ ირგვლივ. არინა იცრემლება ნეტარებისაგან, მღერის და ლოცულობს. მოგაგვს, არინავ, არინახული წყალობა ამ ნაბილწულ მინაზე და კურთხეულ ხარ დედათა შორის!

ვანამაზე ნახევარი შტოფი ძირამდე დაიყვანეს; ამან უქნათ ის, რომ არინა ძილში თავისი ასურებული, თავისი ექვსთვიანი მუცლით, სერიოგამ რომ გატკეცივადე გამოუბერა, ალფრედს გადაანწვა. არ იკმარა დედაკაცმა, რომ ანგელოზთან იწვა, არ იკმარა, მისი თანამესწროლე კედელზე რომ არ იპურჭყებოდა, არ ხვრინავდა, მყარალ ჰაერს არ უშვებდა უენიდან, ეს ყველაფერი არ იკმარა ასურებული დედაკაცმა და მოინდომა, ანგელოზით გაეთობ თავისი ისედაც გაფარვებული მუცელი... და გაჭყლიტა არინამ ანგელოზი ღვთისა, გაჭყლიტა მთვარალმა, სიხარულისგან ატროებულმა, დაასრისა ლოგინს, როგორც ახალდაბადებული ჩვილი. დაუდგა ჟამი სულთაყრისა ალფრედს და ცრემლები ჩა-

მოინვეთა ზენრიდან, რომელსაც ანგელოზის ფრთები იყო გამოხვეული.

გათენდა, ხეები იდრიკებია. ჩრდილოეთის შორეულ ტყეებში ყოველი ნაძვი მუხლს იყრისა და ლოცულობს.

კვლავაც უფლის ტახტის წინაშე წარმდგარა არინა, ძლიერი, დამპირული ხელით ახალგაზრდა გვამი უჭირავს.

– მოგვიხილე, უფალო... ველარ გაუძლო იესოს სათნო გულმა და შეაჩვენა მან დედაკაცი:

– ყველა ცოფდა შენ მოგეკითხება, არინავ! – ჩემი ილბალიც ეგ ყოფილა, უფალო, – ჩაიწურწურა ქალმა, – მე დამიმძიმებია თურმე ჩემივე ტანი, მე გამომიხდია არაყი, მე გამომიგონებია ჩვენი სული – ეული და ჩურჩუტი სული დედაკაცისა.

– აღარ მსურს გეზაზრო, – მოუჭრა უფალმა, – ანგელოზი გამისრისე, შე თახსირო...

და მყარალმა ქარმა არინა ისევ ტვერსკიზე, მისთვის მისჯილ ნომრებში, ჩახვეტა. იქ კი ყველა თავისას მიერეკება: სერიოგა ნასვლის წინ უბერავს – ახალწვეულია და იმიტომ; ტროფიმიჩი ახლახან დაბრუნდა მივლინებიდან, ხედავს, როგორ გამრგვალეულა არინა; „აიდა, შე ლიპუკა, აიდა, შე სქელტრაკა“, – ესუშრება თავისი ჭკუით.

ისაია აბრამიჩსაც გაუფლა მისი ამბები და იმან ხომ მთლად მოუთავა ხელი:

– მეო, – ეუბნება, – სხვის დაფხმძიმებულ ქალს ცოლად ვერ მოვიყვან, ისე კი, თუ მოისურვებ, მეც შემიძლია დაგაფხმძიმო.

რისი დამფხმძიმებელია, კუილი ეპარება, მაგრამ ამ ხროცმაც ჩაანტიცა სულში. ყველამ აიშვა თავი – სამზარეულოს ბიჭბუჭობამ, მდგომურებმა, ვაჭრებმა – მთელი ქვეყანა დაედო არინას.

დრო მიდის, არ ჩერდება... მოაწია მშობიარობის ჟამმა, მოაწია ჩვენი ზღაპრის დასრულების ჟამმაც.

სანამ შობდა, არინა უკანა კარიდან მოედანზე გამოვიდა, ზეცისკენ აიშვირა თავისი უზარმაზარი მუცელი და აცა-ბაცად ალაპარაკდა:

– ამას ხომ ხედავ, უფალო, მუცელია ჩემი. ბარაბანს არ მოხვედრია იმდენი, რამდენსაც ამას ურაცუნებენ. ვერ გამოგია, უფალო, ჩემს თავს რა ხდება... რას შემართლებიან... აღარ შემიძლია მეტი...

ცრემლებით განზანა იესომ ამის პასუხად არინა, მუხლი მოუყარა მაცხოვარმა ქალს:

– მამაკიე, არინავ, შენს ცოდვილ უფალს, შემინდე, რაც შენ დაგმართე.

– ვერ ეღირსები ჩემგან შენდობას, იესო ქრისტე, – ამბობს არინა, – ვერ ეღირსები.

(დასასრული დასაწყისი მე-12 გვ.)

– ჰო, არ უჩანს კარგი პირი, – შევიცხადე მეც.

– ხშირად მოვიდვარ და ვაკვირდები, ვამხნევებ. მაგრამ სულ უფრო და უფრო ყვითლდება. შარშანდელი გვალვების შემდეგ ცუდად წავიდა ფიჭვების საქმე, – ისე თქვა, ლამის გული ამოვივლიჯა, – შემოთაც ასეა, ძველი ხეივნის გაყოლებაზე. დასანანია, რომ კვლავიან, მე კი არაფრით შემძლია ვუშველო.

გულწრფელად დარდობდა. და გამიხარდა, ჩვენი წუხილი ერთმანეთს რომ ემთხვეოდა.

– აბა, რითი შეიძლება შველა?! – უთხარი დასამშვიდებლად თუ თანაგრძნობისთვის.

– ჰო, სამწუხაროდ... ამიტომ იმასდა ვცდილობ, მოვიდე, ცოტა მოვეფერო, – თქვა ელვირამ.

ჩემს ადგილას სხვას, შესაძლოა, ჭკუადამთხვეულად ჩაეთვალა ეს გასაცოდავებული, ხელ-ფეხშეშუპებული პატარა ქალი, თხელი პალტო რომ დაპატარავებოდა, ღილები აწვევტაზე ჰქონდა. მაგრამ კარგად ვიცნობდი მას და გულწრფელმა წუხილმა მისადმი უფრო მეტი პატივისცემით განმარტოვდა.

– ოჯახში როგორა ხართ, ელვირა? – ვკითხე.

გამოცოცხლდა, სიამაყეშერეული სიხარული მოედო სახეზე.

– იცით, შვილიშვილი მყავს. ჩემი რეპეკა დედაა უკვე. ჩაყლაპავ, ისეთი გოგო გააჩინა. ლამაზი... ლამაზი. ჭკვიანი თვალებით... თავიდანვე გონიერი იყო. გაგიკვირდებოდა, იფიქრებდი, დაბრძენებული

ადამიანი დაპატარავებულია. თვალებით გელაპარაკებოდა, თან ყველაფერს გაგებინებდა. არ ტიროდა, სრულებით არ გვაწუხებდა, თითქოს ზედბოდა, ისედაც არ გვაკლდა პრობლემები. წარმოიდგინეთ, ესმოდა ჩვენი მდგომარეობა.

– ბავშვები წინა ცხოვრებიდან მოდიან, ამიტომ მეხსიერებას აქვს გამოცდილება.

ვოქტი და მაშინვე ვინანე, ზედმეტი მომივიდა-მეთქი. ჯერ ერთი, ასეთი მსჯელობის ადგილი და ვითარება ნამდვილად არ იყო, მით უმეტეს, ასეთთან, როგორიც ჩემი მოსაუბრეა. მაგრამ ელვირამ არათუ გაიოცა ნათქვამი, პირიქით, თავიც დამიქნია, დამიდასტურა:

– ნამდვილად მასეა. ბავშვები ბევრ რამეში ერკვევიან, ოღონდ მერე ავიწყდებათ თანდათან. ყოველი დღე რაღაცას შლის მათი მეხსიერებიდან.

– ეს საიდან იცი, ელვირა?

– წიგნები წავიკითხე რეინკარნაციის შესახებ.

რეინკარნაციის შესახებ... აბა, ესეც შენი ელვირა!

სკვერის მიმდებარე ქუჩიდან მანქანების გუგუნე ტალღებით მოდის. შერეულია ეკოლოგია, მოსვენება არა აქვს. უნდა წავიდე ჩემი გზით, ჩემი საფიქრალი განგავრძო, რადგანაც არ მეშვება ის ადევნებული ერთხელაც იქნება და... ამას კი საშუალება მიეცე მომაკვდავ ფიჭვთან განმარტოებისა, არ შევუშალო ხელი. მაგრამ მაინც ვეკითხები ესპანეთის – მისი ოცნების შესახებ.

– არაფერი გამოდის ჯერჯერობით. პასპორტებიც ვერ გაგვიკეთებია, არ გვაძლევენ, მუდმივი საცხოვრებელი არა გაქ-

ვთო. გაგვირთულდა ყველაფერი, ვისთან არ ვიყავი, მოსმენა არავის სურს.

– აბა, რა უნდა უთხრა... იმასდა ვახერხებ, რომ დამშვიდობების ფორმას ვებნის ასეთს:

– შვილიშვილს ჩემს მაგივრად აკოცე. ამით ვაგრძობინებ, მაინც ბედნიერი ხარ, ეგ სიხარული რომ გაქვს-მეთქი.

ელვირას კი სახე ეცვლება, თითქოს ცივი წყალი გადასხმოდეს. შეკრთა, შეურევბული მზერა მომაგება.

– ეჰ, რომ შემეძლოს... – ამოთქვა მწუხარედ, – ჩემი პატარას ნახვა რომ შემეძლოს... – დაუმატა, – მოგვტაცა იმ ნადირმა. სადღაც სამეგრელოში გადაგვიმალა.

– ვინ მოგტაცათ, რას ამბობ! – გავიკვირე.

– ვიამ, მამამისმა. გაიზრდება და მაშინ ნახავთ, შემოგვითვალა, ძენა არ გაბედოთო. რეპეკა დარდით აღარაა.

ყველაფერს ვხვდები. მისმა თოჯინასავით რეპეკამ, საკუთარი ხელით შეკერილ, პეპელასავით კაბებს რომ იცვამდა ხოლმე, ბავშვი ქორწინების გარეშე გააჩინა. შეკითხვებით აღარ უნდა შევალნო ეს საბარალო, დროა ვეწიო გზას.

ის იყო საბოლოოდ დავაპირე გამოშვიდობება, რომ ელვირამ იყვირა:

– დიტო! დიტო! – ხელი დაუქნია ხე-მთ მიმავალ გრძელთმიან ყმაწვილს, რომელმაც ერთი კი მოხედა, მერე უცბადე მიბრუნდა და გაუტია.

ელვირა წაეტანა ფიჭვის ძირას მდგარ პოლიეთილენის გაბერილ პარკს, ნაჩქარევად ამისნა, ვიას ამხანავია ის ბიჭი, უნდა დავეწიო, იქნებ ბავშვის შესახებ რამე შევიტყუო. ხელი გამომიწოდა, ისე

ჩამომართვა, უზომო მადლობა მითხრა უსიტყვოდ და, თავისი მოკლე, ჩქარი ნაბიჯებით, უკან გამოუდგა გრძელთმიან ბიჭს.

ერთხანს მკლავი ჰაერში დამრჩა. ხელისგულზე ისევ ვგრძობდი ელვირას სუფთა, ხავერდოვანი ენერგეტიკის სითბოს. განა ამ ენერგეტიკათა გადაცემისა და მონაცვლეობის წყალობით არ იქმნება ადამიანური ურთიერთობები? შეხება, მზერა, ფიქრი გზაა ენერგეტიკული წყაროების გადადინების. და უცებ მივხვდი იმას, რაც მტანჯავდა და მაწვავებდა. მივხვდი, როგორი უნდა ყოფილიყო დასასრული ფრაზისა, რომელიც ასე იწყებოდა: „ერთხელაც იქნება და...“ მე რეალური ქმედებით დავასრულედი მას, როდესაც ხელს ჩამოვართმევი ჩემს ხარბ დასმსაქმებელს, მაგრამ, მაგრამ მოეუჭერდი, როგორც კი შემიძლია, უსიტყვოდ, განმარტებების გარეშე, ისე, რომ დიდხანს ხსომებოდა ჩემი ხელი, რომელიც ბოლომდე ეუბნებოდა ყველაფერს, რასაც იმსახურებდა. და ეს იქნებოდა ამ წუთის, ანუ ელვირას წყალობით, რომელიც ახლა ბოლო ძალებს იკრებდა, კვლავ მისდევედა გრძელთმიან ყმაწვილს.

ვიდექი. ვუყურებდი. ვიდექი მანამ, ვიდრე ჩვენ შორის მანძილი იმდენად გაიზარდა, რომ მეზავრთა წყვეტილ-წყვეტილმა ნაკადებმა ამოავსო. „არა, ის ესპანეთში წამსვლელი არაა, ამ მიწას ეშვილა საშუალოდ“.

ნეტავი დაეწიოდეს!.. ნეტავი...

დღეს ქვიშას, ზღვისპირის გასწვრივ, უული კვალი მიჰყვებოდა. მე მას ვხედავდი.

# დუმილი ენა სიტყვაზე

ექვსი გაზაფხული ვერ უბრუნდებოდნენ მერცხლები ბუდეს!.. მწერლები – საკუთარ სასახლეს! რა ბედენაა ექვსი წელიწადი? – სხვისთვის არაფერი!.. მხოლოდ მწერლებს ექცათ იგი ექვს ბიბლიურ დღედ და ექვს გეოლოგიურ პერიოდად! და... აჰა, მეშვიდე გაზაფხული!.. აქ უნებლიედ მახსენდება მაჩაბლის სიტყვები: „შვიდ წელიწადში ერთხელ მაინც გამეხსნას ზეცა!..“ ღმერთმა გაშორთა მაჩაბლის ხედერი, თუმცა ძვირფასმა მწერლებმა მრავალგზის გამოიარეს თავიანთი საკირე. მეშვიდე გაზაფხული კი სინათლის ნამცვრევით გაკრთა გვირგვინის ბოლო – მწერლები თავიანთ სასახლეში გამოჩნდნენ. თუმცა მათ შემოსვლას საკუთარ ჭერქვეშ, დიდი გულისტკივილი და გარკვეული პროტესტიც შემოჰყვა. მიზეზი?! – საკუთარ სასახლეში ყოფნის მკაცრად განსაზღვრული დრო და გრაფიკი, მაგრამ... მწერლები გულუბრყვილო ბავშვებით არიან მაინც – მათ შეუძლიათ მიტევა და იოლად ივიწყებენ წყენას. ეს მე მწერალთა მესამედ შეხვედრისას დაინახე, 2013 წლის 16 ივნისს, მცხოვანი მწერლისა და დიდებული ქალბატონის, დოდო ხიმშიაშვილის 90 წლის იუბილეზე. იმ დღით ბევრი იყო ყვავილები, კიდევ უფრო ბევრი ღიმილი, სიყვარული და...

მაინც ცრემლები!.. მწერალთა სასახლის ბალისკენ გამავალ პატარა, მოაჯირიან პლატფორმაზე ვდგავარ. ამ ადგილას სასახლის წმიდა ადგილს შევარქმევი. მის სამხრეთ-დასავლეთ კედელზე მემორიალური დაფაა გამოკრული, რომელზეც საბჭოურ ტოტალურ რეჟიმს შეწირულთა გვარ-სახელებია ამოჭრეთილი. რეპრესირებულია შორის ჩვენი იმდღევანდელი იუბილარის ძმის – კოტე ხიმშიაშვილის გვარ-სახელიცაა ამოკვეთილი. ქალბატონი დოდო, ვარდებით ხელში, ცრემლიანი თვალებით და ნაზი, ათრთოლებული ხლებით ეაღერებოდა დროში გაჩინდულ ძვირფას ქვას. ეს მისთვის, ალბათ, ყველაზე ძვირფასი და ტკივილიანი ადგილია. საქართველოს თავისუფლებისთვის დახვედრული ჭაბუკის საფლავი დაკარგულია. მხოლოდ აქ შეეძლო დიდისა თუ პატარასთვის ერთნაირად საყვარელ მწერალს მოეგონებინა და დაეტერა თავისი ძვირფასი ადამიანი... კომუნისტებმა საფლავი არ აღირსეს კოტე ხიმშიაშვილს. ოცდამეერთე საუკუნის ნეოკომპანეირლებმა კი ექვსი წლით აუკრძალეს ღვანდროსილ შემოქმედს ამ წმიდა მემორიალთან მოსვლა და... ვარდების მოტანა!.. ექვსი ბიბლიური დღე!

ექვსი გეოლოგიური პერიოდი! თუმცა... მწერლები გულუბრყვილო ბავშვებად რჩებიან მაინც, ბავშვობაშიც და ხანდაზმულობაშიც. მით უფრო საბავშვო მწერლები! მათ შეუძლიათ მიტევა! მათ შეუძლიათ პატიება! მათ „შეუძლიათ“ ტკივილებთან ადაპტირებაც! რადგან: ისინი მერცხლებით თავისუფლები არიან! რადგან: თავისუფლებაა ჭეშმარიტი სიყვარულის მშობელი!.. ძნელია დაცემულ ადამიანზე წერა; უფრო ძნელია ილაპარაკო ამაღლებულ სულზე. მიჭირს... ძალიან მიჭირს ვისაუბრო ხიმშიაშვილის ქალბატონზე, ამ, სულით და სისხლით არისტოკრატ მანდილოსანზე, დიდებულ შემოქმედზე, იმაზე, თუ როგორ შეიძლო ამ ჯოჯოხეთამოვლილმა პიროვნებამ, შეენარჩუნებინა ღიმილი და სიყვარული ჩვენი მარადიული მომავლისთვის... ამოუნურავია ჩვენი ფენომენური, მართლაც ღმერთების ენის ლექსიკური შესაძლებლობა!

და მაინც უძლური ვარ, გამოვხატო ის, რასაც ამ ქალბატონის მიმართ განვიცდი. ჭეშმარიტად, დიდოსტატი უნდა იყო ეს რომ შეძლო. და, რადგან დიდოსტატი არ ვარ სამველად პავლე მოციქულს მოვუხმობ: „კაცთა და ანგელოზთა ენებზეც რომ ვმეტყველებდე, სიყვარული თუ არა მაქვს, მხოლოდ რვალი ვარ მოუღრიალე, მხოლოდ წკრიალა წინწილი. წინასწარმეტყველების მადლი რომ მქონდეს, ვიცოდე ყველა საიდუმლო, და მქონდეს მთელი რწმენა, ისე, რომ მთების დაძვრაც შემეძლოს, სიყვარული თუ არა მაქვს, არარა ვარ. მთელი ჩემი ქონება რომ გავილო გლახკათვის, და დასანავად მივცე სხეული, სიყვარული თუ არა მაქვს, არას მარგია!“ (პირველი კორ., 13:1-3). თქვენ შეუძლებელი შექმელით, ძვირფასო ქალბატონო დოდო! კიდევ დიდხანს, დიდხანს გეგლოთ ამ სიყვარულით, თუნდაც იმ ეკლიან გზაზე, რომელიც შემოქმედისთვის უნილხვედრებია უფალს!..

**P.S.** ბრძენთაგან გამიგია: დუმილი ყოველთვის მეტია სიტყვაზე და, ვიდრე დუმილში განვდგებოდე. მინდა დიდი ბარათაშვილის სიტყვებით გავასრულო სათქმელი: „მამ, დუმილიც მიმითვალენ შენდამი ლოცვად“.

**ნათია გაბელაია**

**მკითხველთა საყურადღებოდ!**  
გაზეთის გამოწერა უკვე შესაძლებელია. ამისთვის საჭიროა დარეკოთ ან მიაკითხოთ პრესის გავრცელების სააგენტოებს: საქპრესა (გურამიშვილის გამზ. №64, ტელ: 2 51 85 18), მაცნე (საირმის ქ. კორპ. №4, ტელ: 2 14 74 22), პრესექსპრესი (ი. ჯავახიშვილის ქ. №86, ტელ: 2 96 23 11), ჯეომედია (გ. ჩუბინაშვილის №50, ტელ: 2 95 51 70), პილონი (წერეთლის გამზ. №113, ტელ: 2 34 77 43), პრესა 2012 (წერეთლის გამზ. №142, ტელ: 2 34 09 35).

გაზ. „ლიტერატურული საქართველოს“ საბანკო ანგარიში:  
ქ. თბილისი სს „პროკრედიტბანკი“  
კოდი: MIBGGE22  
ანგ. № GE61PC0183600100029708



გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციის ყოფილი შენობა